

დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტ - ENIGMMA 2-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

## ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის

### რეგულაცია (EU) 2018/1240

ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) შექმნისა და (EU) No 1077/2011, (EU) No 515/2014, (EU) 2016/399, (EU) 2016/1624 და (EU) 2017/2226 რეგულაციებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა ხელშეკრულებას ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ და, კერძოდ, 77(2) მუხლის (b) და (d) ქვეპუნქტებსა და 87(2) მუხლის (a) ქვეპუნქტს,

ითვალისწინებს რა ევროკომისიის წინადადებას,

გადაეცა რა საკანონმდებლო აქტის სამუშაო ვერსია ეროვნულ პარლამენტებს,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებებს <sup>(1)</sup>,

მოქმედებს რა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად <sup>(2)</sup>,

და იმის გათვალისწინებით, რომ:

(1) კომისიის 2016 წლის 6 აპრილის კომუნიკაციაში „უფრო ძლიერი და ჭკვიანი საინფორმაციო სისტემები საზღვრებისა და უსაფრთხოებისათვის“ ხაზგასმულია ევროკავშირის საჭიროება გააძლიეროს და გააუმჯობესოს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სისტემები, მონაცემთა არქიტექტურა და ინფორმაციის გაცვლა საზღვრის მართვის, სამართალდაცვით და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში. ასევე ხაზგასმულია საინფორმაციო სისტემების ურთიერთთავსებადობის გაუმჯობესების აუცილებლობა. რაც მნიშვნელოვანია, მასში განსაზღვრულია არსებული საინფორმაციო სისტემების სარგებლიანობის მაქსიმალურად გაზრდის შესაძლო ვარიანტები და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი და დამატებითი სისტემების შექმნა, რათა გამოსწორდეს ჯერ კიდევ არსებული საინფორმაციო ხარვეზები.

(2) 2016 წლის 6 აპრილის კომუნიკაციაში გამოკვეთილია რიგი საინფორმაციო ხარვეზები. მათ შორის დასახელდა ფაქტი, რომ სასაზღვრო უწყებებს შენგენის ქვეყნების გარე საზღვრებზე არ აქვთ ინფორმაცია, გათავისუფლებულია თუ არა მგზავრი ვიზის ფლობის ვალდებულებისაგან, როდესაც გარე საზღვარს კვეთს („სავიზო ვალდებულება“). 2016 წლის 6 აპრილის კომუნიკაციაში ნათქვამია, რომ კომისიამ ჩაატარა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შესახებ კვლევა ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) შექმნაზე. კვლევა დასრულდა 2016 წლის ნოემბერში. სისტემამ შენგენის

ზონაში გამგზავრებამდე უნდა განსაზღვროს, რამდენად აქვს სამგზავრო ნებართვა ვიზის აღების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეს, და წარმოქმნის თუ არა ასეთი მგზავრობა უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების რისკს.

- (3) 2016 წლის 14 სექტემბრის კომუნიკაცია „უსაფრთხოების გაუმჯობესება მსოფლიოში გადაადგილებისას: ინფორმაციის მიმოცვლის გაუმჯობესება ტერორიზმთან ბრძოლასა და გარე საზღვრების გაძლიერებაში“ ადასტურებს საზღვრების დაცვის პრიორიტეტულობას. ამასთან, წარმოადგენს კონკრეტულ ინიციატივებს ევროკავშირის საპასუხო ზომების გაძლიერებისა და გაფართოებისათვის, რომელიც გარე საზღვრების მართვის განმტკიცების გაგრძელებას შეეხება.
- (4) მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: ETIAS-ის მიზნების გამოკვეთა; მისი ტექნიკური და ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა; წესების შექმნა განმცხადებლის მიერ სისტემაში შეტანილი მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების შესახებ; ასევე, წესების შექმნა სამგზავრო ნებართვის მიცემასა ან უარის გაცემაზე; მიზნების ჩამოყალიბება, რისთვისაც მონაცემები მუშავდება; ხელისუფლების იმ ორგანოების განსაზღვრა, რომელთაც წვდომა ექნებათ მონაცემებზე და უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების დაცვას.
- (5) ETIAS-ი უნდა გამოიყენებოდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან.
- (6) ის ასევე უნდა გამოიყენებოდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც გათავისუფლდნენ სავიზო ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ არიან ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრები და მათზე ვრცელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004/38/EC დირექტივა <sup>(3)</sup> ან მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის მოქალაქეების ეკვივალენტური თავისუფალი გადაადგილების უფლება, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის, ამავდროულად, არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის უფლებას საბჭოს (EC)No1030/2002 რეგულაციის შესაბამისად <sup>(4)</sup>. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლი 21(1) ადგენს, რომ ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რაც დაექვემდებარება შეზღუდვასა თუ გარკვეულ პირობებს შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე და მათ ასამოქმედებელ სათანადო ზომებს. ეს შეზღუდვები და პირობები დადგენილია 2004/38/EC დირექტივით.
- (7) როგორც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა <sup>(5)</sup>, ასეთი ოჯახის წევრებს აქვთ უფლება, შევიდნენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მოიპოვონ ქვეყანაში შესვლის ვიზა. შესაბამისად, ოჯახის წევრებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან ვიზის აღების ვალდებულებისაგან, უნდა ჰქონდეთ სამგზავრო ნებართვის აღების უფლება. წევრმა სახელმწიფოებმა ასეთ პირებს უნდა შეუქმნან ყველანაირი პირობა, რათა აიღონ აუცილებელი სამგზავრო ნებართვა და, თანაც, უსასყიდლოდ.

- (8) სამგზავრო ნებართვა არ გაიცემა უპირობოდ. მასზე შეიძლება უარი ეთქვას ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც უქმნიან რისკს საჯარო პოლიტიკას, ხალხის უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე, ოჯახის წევრებს შეიძლება მოეთხოვოთ პერსონალური მონაცემების წარმოდგენა მათი იდენტიფიკაციისა და სტატუსის დადგენის მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უსაფრთხოების რისკის შესაფასებლად საჭიროა. ანალოგიურად, სამგზავრო ნებართვაზე მათი განაცხადი მოწმდება მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით და არა მიგრაციის რისკების გამო.
- (9) ETIAS-მა სამგზავრო ნებართვა უნდა მისცეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან მას შემდეგ, რაც განიხილავს, ხომ არ უქმნის ან შეუქმნის რისკს მისი ტერიტორიაზე ყოფნა წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებას, უკანონო იმიგრაციას ან ეპიდემიის გავრცელებას. ამდენად, სამგზავრო ნებართვა უნდა მიუთითებდეს გადაწყვეტილებას, რომ არ არსებობს ფაქტობრივი მინიშნება ან გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რისკის შემცველია. სამგზავრო ნებართვა, როგორც ასეთი, მისი ბუნებით განსხვავდება ვიზისაგან; ის არ მოითხოვს მეტ ინფორმაციას და არც მეტად რთულია განმცხადებლისათვის, ვიდრე ვიზა. სამგზავრო ნებართვის ქონა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ახალი პირობა იქნება. თუმცა, აღნიშნული ნებართვის ქონა ავტომატურად არ ნიშნავს შესვლის ნებართვას.
- (10) ETIAS-მა ხელი უნდა შეუწყოს უსაფრთხოების უფრო მაღალ ხარისხს, არალეგალური მიგრაციის პრევენციას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ვიზიტორთა წინასწარი შემოწმებით მანამ, სანამ გარე საზღვრების გამტარ პუნქტებამდე მივლენ.
- (11) ETIAS-ი ხელს შეუწყობს სასაზღვრო კონტროლის გამარტივებას, რასაც საზღვრის გადამკვეთ პუნქტებში მესაზღვრეები ახორციელებენ. ასევე, უზრუნველყოფს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კოორდინირებულ და ჰარმონიზებულ შემოწმებას, თუ მათ წევრ სახელმწიფოებში გასამგზავრებლად ესაჭიროებათ სამგზავრო ნებართვა. გარდა ამისა, სისტემა დაეხმარება განმცხადებლებს, უკეთ მიიღონ ინფორმაცია თავიანთ ნებართვაზე წევრ სახელმწიფოებში მგზავრობის შესახებ. დამატებით, ETIAS-ი ხელს შეუწყობს სასაზღვრო კონტროლის გამარტივებას, რამდენადაც შეამცირებს ქვეყანაში შესვლაზე უარების რაოდენობას უშუალოდ გარე საზღვრებზე და, ამავდროულად, მესაზღვრეებს მიაწვდის გარკვეულ დამატებით ინფორმაციას დროშებით აღნიშნულ მონაცემებზე.
- (12) ETIAS-ი უნდა ეთანადებოდეს შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS) მიზნებს. მონაცემთა ამ ბაზაში ხვდებიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აკრძალული აქვთ წევრ სახელმწიფოებში შესვლა და დარჩენა, ან იძებნებიან დაპატიმრების თუ ექსტრადირების მიზნით, ან ითვლებიან უგზოუკვლოდ დაკარგულად, ან იძებნებიან სამართალდარღვევაში მონაწილეობის გამო, ან საჭიროებენ ფარულ მეთვალყურეობას თუ საგანგებო კონტროლს. ამ მიზნით, ETIAS-ი სამგზავრო ნებართვის მისაღები განაცხადების შესაბამის მონაცემებს უნდა ადარებდეს SIS-ის შესაბამის ინფორმაციას. თუ შედარებამ აჩვენა, რომ პერსონალური მონაცემები განაცხადში ემთხვევა SIS სისტემის სასიგნალო

ინფორმაციას მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებსაც აკრძალული აქვთ ქვეყანაში შესვლა და დარჩენა, ან იძებნებიან დაპატიმრებისა თუ ექსტრადირების მიზნით, განაცხადის ფაილი არაელექტრონულად უნდა განიხილოს და დაამუშაოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ. ETIAS-ის ეროვნული განყოფილების შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, მიეცეს თუ არა პირს სამგზავრო ნებართვა. თუ შედარებამ აჩვენა, რომ განაცხადების პერსონალური მონაცემები ემთხვევა SIS სისტემის სასიგნალო ინფორმაციას მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ითვლებიან უგზოუკვლოდ დაკარგულად, ან იძებნებიან სამართალდარღვევაში მონაწილეობის გამო, ან საჭიროებენ ფარულ მეთვალყურეობას თუ საგანგებო კონტროლს, ეს ინფორმაცია უნდა გადაეცეს SIRENE-ს ბიუროს და დამუშავდეს SIS-თან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

- (13) პირობები სამგზავრო ნებართვის გაცემისათვის უნდა ეთანადებოდეს SIS სისტემაში აღრიცხული სხვადასხვა ტიპის სასიგნალო ინფორმაციის საგანგებო მიზნებს. კერძოდ, ის ფაქტი, რომ განმცხადებელზე არის სასიგნალო ინფორმაცია იმის გამო, რომ ის ძებნილია დაპატიმრების ან ექსტრადირების მიზნით, ან საჭიროებს ფარულ მეთვალყურეობას თუ საგანგებო კონტროლს, არ უნდა გახდეს სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის მიზეზი იმის გათვალისწინებით, რომ წევრი სახელმწიფო მიიღებს შესაბამის ზომებს საბჭოს გადაწყვეტილების 2007/533/JHA-ს მიხედვით <sup>(6)</sup>.
- (14) ETIAS-ი უნდა იყოს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო სისტემა, რომელშიც შევა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემა, ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება და ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები.
- (15) ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება უნდა იყოს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ნაწილი. მას უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა, რომ იმ შემთხვევებში, როცა განაცხადების წარდგენის ავტომატური სისტემა ამოაგდებს საყურადღებო მონაცემების დამთხვევას, შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა განმცხადებლის პერსონალური მონაცემები იმ პირის პერსონალურ მონაცემებს, რომელთან დამთხვევაც გამოვლინდა. თუ ეს დადასტურდა, ან ექვის საფუძველი კიდევ არსებობს, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა წამოიწყოს განაცხადის არაელექტრონული დამუშავების პროცესი. უნდა უზრუნველყოს, რომ განაცხადის ფაილებში შეიტანოს განახლებული და დაზუსტებული ინფორმაცია, დაადგინოს, შეამოწმოს *ex ante*, შეიმუშაოს, შეაფასოს *ex post*, შეასწოროს და წაშალოს კონკრეტული რისკის ინდიკატორები, უზრუნველყოს, რომ ჩატარებული ვერიფიკაციის გზები და შედეგები სათანადოდაა აღნუსხული განაცხადების ფაილებში. ასევე, მან რეგულარულად უნდა ჩაატაროს განაცხადთა დამუშავების პროცესის აუდიტი და ETIAS-ის დადგენილი შემოწმების წესების შესრულება. ამასთან, რეგულარულად შეაფასოს მათი გავლენა ფუნდამენტურ უფლებებზე, კერძოდ კი, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვაზე. გარდა ამისა, ის პასუხს უნდა აგებდეს რიგი დამხმარე ღონისძიებების განხორციელებაზე, როგორცაა საჭირო შეტყობინებების გაგზავნა, ინფორმაციის მიწოდება და დახმარების აღმოჩენა. ცენტრალური განყოფილება უნდა მუშაობდეს 24 საათის მანძილზე, კვირაში 7 დღეს.

- (16) თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, რომელსაც დაევალება განაცხადების შემოწმება და გადაწყვეტილების მიღება, გასცეს სამგზავრო ნებართვა თუ უარი უთხრას პირს მასზე, ანუღირება გაუკეთოს ან გააუქმოს უკვე გაცემული ნებართვა. ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ასევე ურთიერთობდნენ ევროკავშირის სამართალდამცავ უწყებასთან - ევროპოლთან, განაცხადების შეფასების მიზნით. ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რესურსი თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად ამ რეგულაციით დაწესებულ ვადებში. გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის გასამარტივებლად, ასევე, თარგმნის ხარჯების თავიდან ასაცილებლად და დროული პასუხების გასაცემად, სასურველია, რომ ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები ერთ ენაზე ურთიერთობდნენ.
- (17) დასახული ამოცანების შესრულების მიზნით, ETIAS-მა უნდა შექმნას ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს განმცხადებელმა და, ამავდროულად, წარმოადგინოს მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სამგზავრო დოკუმენტი, ინფორმაცია ბინადრობის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, ცნობები განათლების დონისა და დასაქმების შესახებ, ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრის სტატუსი ან მესამე ქვეყნის მოქალაქის სტატუსი, რომელსაც აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება, თუმცა, არ აქვს ბინადრობის მოწმობა 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის უფლება (EC) No1030/2002 რეგულაციის შესაბამისად; ხოლო თუ პირი არასრულწლოვანია, დეტალები მასზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. ამასთან, უპასუხოს ნებისმიერ დამატებით კითხვას.
- (18) თუ განმცხადებელს ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლია განაცხადის შევსება, ETIAS-მა უნდა მიიღოს მის ნაცვლად სხვა პირის მიერ შევსებული განაცხადი. ასეთ შემთხვევებში განაცხადი უნდა წარადგინოს მესამე მხარემ, რომელსაც მგზავრმა ამის უფლებამოსილება მიანიჭა ან რომელიც სამართლებრივად პასუხისმგებელია მასზე. აღნიშნული პირის პერსონალური მონაცემები აუცილებლად უნდა ჩაიწეროს განაცხადის ფორმაში. მგზავრებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მათი სახელით განაცხადი შეავსონ და წარადგინონ კომერციულმა შუამავლებმა. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ კომერციული შუამავლების მხრიდან გამოვლენილ უფლებამოსილების ნებისმიერ ბოროტად გამოყენებას სათანადოდ უნდა უპასუხოს.
- (19) საჭიროა დაწესდეს განაცხადების შევსებისა და წარდგენილ მონაცემთა თავსებადობის პარამეტრები, რის საფუძველზეც შეფასდება სამგზავრო ნებართვის მისაღებად წარდგენილი განაცხადების დასაშვებობა. მაგალითად, შემოწმებისას არ მიიღება სამგზავრო დოკუმენტები, რომლებსაც ვადა გაუვა სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში, უკვე ვადაგასულია ან გაცემულია 10 წლის წინ. ამგვარი შემოწმება უნდა ჩატარდეს განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდამდე.
- (20) განაცხადის წარდგენის დასასრულებლად, განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს სამგზავრო ნებართვის საფასური. გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვით ან ფინანსური შუამავლის მეშვეობით. ელექტრონული გადახდის უზრუნველსაყოფად

მოთხოვნილი მონაცემები მიეწოდება მხოლოდ ბანკს ან ფინანსურ შუამავალს, რომელიც ფინანსურ ტრანზაქციას ახორციელებს და არ მიეკუთვნება მონაცემებს, რომლებსაც ETIAS-ი ინახავს.

- (21) სამგზავრო ნებართვათა უმეტესობა უნდა გაიცემოდეს რამდენიმე წუთში. თუმცა, მცირე რაოდენობით განცხადებათა განხილვას, შესაძლოა, მეტი დრო დასჭირდეს, განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებში. ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მოთხოვნა. განმცხადებლის მიერ მიწოდებული დამატებითი ინფორმაციისა ან დოკუმენტაციის განხილვისა და, შემდგომში, შემოწმების მიზნით, ასევე შესაძლებელია საჭირო გახდეს მისი მოწვევა გასაუბრებაზე. გასაუბრება ჩატარდება ძალიან გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკანასკნელი ზომა, მხოლოდ ისეთ ვითარებაში, როცა სერიოზული ეჭვი ჩნდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე. განსაკუთრებული გამონაკლისი ნიშნავს, რომ განმცხადებელთა მხოლოდ 0,1% შეიძლება დაიბარონ გასაუბრებაზე. კომისიამ რეგულარულად უნდა შეამოწმოს გასაუბრებაზე დაბარებულ განმცხადებელთა რაოდენობა.
- (22) განმცხადებლის მიწოდებულ პერსონალურ მონაცემებს ETIAS-ი დაამუშავებს მხოლოდ და მხოლოდ შეფასების მიზნით, განმცხადებლის ევროკავშირში შესვლა ხომ არ ქმნის უსაფრთხოების, არალეგალური მიგრაციის და ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს.
- (23) ამგვარი რისკების შეფასება შეუძლებელია პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე, რომლებიც მგზავრობის ნებართვის შესახებ განაცხადში უნდა ჩაიწეროს. განაცხადებში ჩაწერილი მონაცემები უნდა შედარდეს არსებულ ფაილებში დაცულ ინფორმაციას, მონაცემებს ან სასიგნალო ინფორმაციას, რომელიც რეგისტრირებულია ევროკავშირის საინფორმაციო სისტემასა ან მონაცემთა ბაზაში (ETIAS-ის ცენტრალური სისტემა, SIS, ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS), შესვლა/გასვლის სისტემა (EES) ან ევროდაკი), ევროპოლის მონაცემებსა ან ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში (მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების ინტერპოლის ბაზა (SLTD) ან ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც უკავშირდება შეტყობინებების მონაცემთა ბაზას (TDAWN)). განაცხადებში მიწოდებული მონაცემები უნდა შედარდეს ასევე ETIAS-ის საკონტროლო სიასა და განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებს. პერსონალური მონაცემების შესადარებლად გამოსაყენებელი კატეგორიები უნდა შემოიფარგლოს იმ კატეგორიებით, რომლებიც დაცულია ევროკავშირის საინფორმაციო სისტემებში, ევროპოლის მონაცემებში, ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში, ETIAS-ის საკონტროლო სიასა თუ განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებში.
- (24) შედარება განხორციელდება ავტომატური საშუალებებით. თუ ამგვარი შედარებისას გამოვლინდა განაცხადში მოცემული რომელიმე პერსონალური მონაცემის/მონაცემთა კომბინაციის კავშირი (დამთხვევა) განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებთან, ან პერსონალურ მონაცემებთან, რომლებიც დაცულია ჩანაწერებში, ფაილებსა თუ სასიგნალო ინფორმაციაში ზემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო სისტემებში, ან ETIAS-ის საკონტროლო სიაში, მაშინ განაცხადი არაელექტრონულად უნდა განიხილოს

პასუხისმგებელი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ. ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, ჩატარებული შეფასების საფუძველზე, უნდა გადაწყვიტოს, გასცემს თუ არა სამგზავრო ნებართვას.

- (25) მოსალოდნელია, რომ განაცხადთა უდიდესი უმეტესობა დადებით პასუხს მიიღებს ავტომატური საშუალებებით. უარი სამგზავრო ნებართვაზე, ან მისი გაუქმება თუ ანულირება არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ მონაცემთა ავტომატური დამუშავების საფუძველზე. სწორედ ამიტომ, იმ განაცხადებს, სადაც ავტომატურმა შემოწმებამ საყურადღებო მონაცემების დამთხვევა ამოაგდო, ETIAS-ის ეროვნული განყოფილება არაელექტრონული სახით განიხილავს.
- (26) სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის შემთხვევაში, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. საჩივრები განიხილება წევრ სახელმწიფოებში, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს და შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.
- (27) განაცხადების ანალიზისათვის უნდა გამოიყენებოდეს ETIAS-ის სკრინინგის წესები, რომლებიც იძლევა საშუალებას, განაცხადებში მოცემული მონაცემები განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებს შედარდეს. ეს უკანასკნელნი შეესაბამებიან უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა თუ ეპიდემიის გავრცელების წინასწარ განსაზღვრულ რისკებს. განსაკუთრებული რისკების ინდიკატორთა განსაზღვრის კრიტერიუმები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ პირის სქესსა თუ ასაკს. ასევე, არანაირ გარემოებაში არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ინფორმაციას, რომელსაც იძლევა პირის კანის ფერი, რასა, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური შტრიხები, ენა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, რელიგია ან ფილოსოფიური რწმენა, პროფესიული კავშირის წევრობა, ეროვნული უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, წარმოშობა, შეზღუდული შესაძლებლობა ან სექსუალური ორიენტაცია. ETIAS-ის ეროვნული განყოფილებებისა და სააგენტოების წარმომადგენლებისაგან შემდგარ სკრინინგის საბჭოსთან კონსულტაციების კვალად, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა განსაზღვროს, დაადგინოს, შეამოწმოს *ex ante*, შეიმუშაოს, შეაფასოს *ex post*, შეასწოროს და წაშალოს განსაკუთრებული რისკების ინდიკატორები. მნიშვნელოვანია შეიქმნას ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭო ფუნდამენტური უფლებების საკითხებში, რომელიც უზრუნველყოფს სკრინინგის წესებისა და განსაკუთრებული რისკების ინდიკატორების გამოყენებისას ფუნდამენტურ უფლებათა დაცვასა და პატივისცემას. სამდივნოს ფუნქციას აღნიშნული საბჭოს შეხვედრებისათვის შეასრულებს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ფუნდამენტურ უფლებათა ოფიცერი.
- (28) ETIAS-ის საკონტროლო სიის შედგენის მიზანია, განსაზღვროს კავშირი განაცხადებში მოცემულ მონაცემებსა და იმ პირებზე ინფორმაციას შორის, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულში, ან მონაწილეობდნენ მასში, ან რომელთა დაკავშირებით არსებობს ფაქტობრივი მინიშნება თუ გონივრული ეჭვის საფუძველი, დაფუძნებული პირის ერთიან შემოწმებას, რომ მან

სარწმუნოა ჩაიდინოს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაული. ETIAS-ის საკონტროლო სია უნდა შეადგენდეს ETIAS-ის ცენტრალური სისტემის ნაწილს. ETIAS-ის საკონტროლო სიაში მონაცემები უნდა შეიტანოს ევროპოლმა ისე, რომ არ შეზღუდოს შესაბამისი დებულებები საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/794 რეგულაციიდან (7), ასევე, წევრმა სახელმწიფოებმა. ETIAS-ის საკონტროლო სიაში მონაცემების შეტანამდე, უნდა განისაზღვროს, რომ ეს მონაცემები ადეკვატურია, ზუსტია და საკმარისად მნიშვნელოვანი სიაში ჩასართავად, ასევე ის, რომ მათი დამატება არ გამოიწვევს არაპროპორციულად დიდი რაოდენობის განაცხადთა არაელექტრონულად განხილვის აუცილებლობას. მონაცემები რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს, რათა მუდმივად სწორი და ზუსტი იყოს.

(29) უსაფრთხოების ახალ-ახალი, განსხვავებული ფორმის რისკები, უკანონო იმიგრაციის ახალი ფორმები და ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი მოითხოვს ქმედით პასუხებს თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. რამდენადაც ეს საშუალებები ხშირად მოიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით პერსონალური მონაცემების დამუშავებას, აუცილებელია სათანადო დაცვის საშუალებების შემოღება, რათა პირად ცხოვრებასა და პერსონალურ მონაცემებში ჩარევა შემოიფარგლოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი ზღვარით.

(30) აქედან გამომდინარე, ETIAS-ში პერსონალური მონაცემები უსაფრთხოდ უნდა ინახებოდეს. მათზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს მხოლოდ მკაცრად ავტორიზებულ პერსონალს. არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაშვებული, რომ მონაცემებზე წვდომა გამოიყენებოდეს დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მისაღებად. შენახული პერსონალური მონაცემები უსაფრთხოდ უნდა იყოს დაცული საცავებში, რომლებიც ეკუთვნის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპულ სააგენტოს (eu-LISA).

(31) სამგზავრო ნებართვა უნდა გაუქმდეს ან ანულირდეს მაშინვე, როგორც კი ცხადი გახდება, რომ პირობები მისი გაცემისათვის არ კმაყოფილდებოდა ან მეტად აღარ კმაყოფილდება. კერძოდ, როცა SIS-ში გამოჩნდება ახალი სასიგნალო ინფორმაცია ქვეყანაში შესვლასა და დარჩენაზე უარის შესახებ, ან ინფორმაცია, რომ სამგზავრო დოკუმენტი დაკარგულია, მოპარულია, უკანონოდ მიითვისეს ან ვადაგასულია, SIS-მა უნდა შეატყობინოს ETIAS-ს. ამ უკანასკნელმა კი შეამოწმოს, ახალი სასიგნალო ინფორმაცია ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ვალიდურ სამგზავრო ნებართვასთან. ქვეყანაში შესვლასა და დარჩენაზე ახალი უარის შემთხვევაში, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ პირს უნდა ჩამოართვას სამგზავრო ნებართვა. თუ ეს ნებართვა უკავშირდება სამგზავრო დოკუმენტს, რომელზეც SIS-ში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაიკარგა, მოიპარეს, უკანონოდ მიითვისეს ან ვადა გაუვიდა, ან ანალოგიური ინფორმაცია დაფიქსირდა SLTD-ში, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ეროვნულმა განყოფილებამ უნდა არაელექტრონულად განიხილოს ფაილი. იმავე მიდგომით, ETIAS-ის საკონტროლო სიაში შეტანილი ახალი ინფორმაცია უნდა შედარდეს ETIAS-ში დაცულ განაცხადების ფაილს, რათა შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა ვალიდურ სამგზავრო ნებართვას. ასეთ შემთხვევაში საყურადღებო მონაცემების დამთხვევას ამოწმებს და, როცა აუცილებელია,



ნებართვას აუქმებს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, რომელმაც შეიტანა ახალი მონაცემები, ან წევრი სახელმწიფო, სადაც პირი პირველად გეგმავს შესვლას, როცა მონაცემები ევროპოლმა შეიტანა. სამგზავრო ნებართვის გაუქმება შესაძლებელი უნდა იყოს განმცხადებლის მოთხოვნითაც.

(32) გამონაკლის შემთხვევებში, როცა წევრი სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს მის ტერიტორიაზე მგზავრობის ნება დართოს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ჰუმანიტარული მიზნებით, ეროვნული ინტერესის ან საერთაშორისო ვალდებულების გამო, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გასცეს სამგზავრო ნებართვა, რომელსაც ძალა ექნება მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე და პერიოდში.

(33) ბორტზე ჩასხდომის წინ, საჰაერო და საზღვაო გადამზიდავებს, ასევე, საერთაშორისო გადამზიდავებს, რომელთაც გადაჰყავთ ჯგუფები სახმელეთო ტრანსპორტით, უნდა დაევალოთ მგზავრობა სამგზავრო ნებართვის შემოწმება. თავისთავად, ETIAS-ის მონაცემები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი გადამზიდავებისათვის. მათ უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო წვდომა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ, განიხილონ და გამოიყენონ სამგზავრო დოკუმენტების მონაცემები.

(34) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში შესვლის ტექნიკური მახასიათებლები ისეთი უნდა იყოს, რომ მაქსიმალურად შეამციროს უარყოფითი გავლენა მგზავრსა და გადამზიდავზე. ამისათვის გასათვალისწინებელია სისტემის ინტეგრაცია EES-თან.

(35) წინამდებარე რეგულაციით დაწესებულ ვალდებულებათა გავლენის შესამცირებლად საერთაშორისო გადამზიდავებზე, რომლებსაც ჯგუფები სახმელეთო საშუალებებით გადაჰყავთ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის მოსახერხებელი მობილური ტელეფონის აპლიკაციები.

(36) ETIAS-ის ამოქმედებიდან ორ წელიწადში კომისიამ უნდა შეაფასოს, სისტემის სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული დებულებები რამდენად ეთანადება, შეესაბამება და უკავშირდება 26-ე მუხლს 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციიდან, რომელიც დაიდო ბენილუქსის ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოების მთავრობებს, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის საერთო სასაზღვრო კონტროლის ეტაპობრივად გაუქმების შესახებ <sup>(8)</sup>. გასათვალისწინებელია სახმელეთო ტრანსპორტის არსებული განვითარება. ასევე მხედველობაში მისაღებია 26-ე მუხლსა თუ წინამდებარე რეგულაციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა სახმელეთო ტრანსპორტთან მიმართებით.

(37) მესაზღვრეებმა უნდა შეამოწმონ, მგზავრებს აქვთ თუ არა მოქმედი სამგზავრო ნებართვა, რათა შესაბამისად დაიცვან ქვეყანაში შესვლის შეცვლილი პირობები. აქედან გამომდინარე, სტანდარტული სასაზღვრო შემოწმებისას მესაზღვრეებმა სამგზავრო დოკუმენტების მონაცემები ელექტრონულად უნდა წაიკითხონ. ეს გულისხმობს მონაცემების გამოთხოვას სხვადასხვა ბაზიდან, როგორც ამას ითვალისწინებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)2016/399 რეგულაცია <sup>(9)</sup> (შენგენის სასაზღვრო კოდექსი), მათ შორის, ETIAS-ის სისტემიდან, რომელიც იძლევა განახლებულ ინფორმაციას სამგზავრო

ნებართვის სტატუსზე. თუ ნებართვა არ არსებობს, მესაზღვრემ უარი უნდა უთხრას მგზავრს ქვეყანაში შესვლაზე და დაასრულოს სასაზღვრო შემოწმების პროცესი შესაბამისად. თუ არსებობს სამგზავრო ნებართვა, მაშინ გადაწყვეტილების მიღება - შეუშვას თუ არა მგზავრი ქვეყანაში - დამოკიდებულია მესაზღვრეზე. ETIAS-ის მონაცემების გარკვეული ნაწილი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მესაზღვრეებისთვის, რაც დაეხმარება მათ თავიანთი ფუნქციის შესრულებაში.

(38) თუ ETIAS-ის ეროვნული განყოფილება წევრ სახელმწიფოში მიიჩნევს, რომ სამგზავრო ნებართვის მისაღებად გაკეთებული განაცხადების ზოგიერთი ასპექტი მოითხოვს შემდგომ შემოწმებას სასაზღვრო უწყებების მხრიდან, მას უნდა შეეძლოს წითელი დროშით აღნიშნოს გაცემული სამგზავრო ნებართვა - ეს ნიშნავს რეკომენდაციას, მგზავრს ჩაუტარონ მეორე რიგის შემოწმება საზღვრის გადაკვეთისას. შესაძლებელი უნდა იყოს ამგვარი დროშით განაცხადის აღნიშვნა წევრი სახელმწიფოს თხოვნითაც. როცა პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება მიიჩნევს, რომ განაცხადების განხილვის პროცესში გამოვლენილი საყურადღებო მონაცემების დამთხვევა არ არის მართებული ან არაელექტრონული განხილვა აჩვენებს, რომ არ არსებობდა სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის საფუძველი, მას უნდა შეეძლოს შესაბამისი სამგზავრო ნებართვა მონიშნოს დროშით. ეს გაამარტივებს სასაზღვრო კონტროლს, რადგან სასაზღვრო უწყებებს მიაწოდებს ინფორმაციას ჩატარებული შემოწმების შესახებ და შეამცირებს საყურადღებო მონაცემთა ამ დამთხვევის უარყოფით გავლენას მგზავრებზე. შესაბამისი სამოქმედო მითითებები სასაზღვრო უწყებებისათვის, თუ როგორ იმუშაონ სამგზავრო ნებართვებზე, პრაქტიკული სახელმძღვანელოს სახით უნდა შემუშავდეს.

(39) რამდენადაც სამგზავრო ნებართვის ფლობა არის ქვეყანაში შესვლისა და ყოფნის პირობა გარკვეული კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, წევრი სახელმწიფოების საიმიგრაციო სამსახურებს უნდა შეეძლოთ კონსულტაცია გაიარონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან, როცა წინასწარ შემოწმდა მონაცემები EES-ში და იქ მოძიებამ აჩვენა, რომ EES-ში არ არის არანაირი ჩანაწერი, რომელიც აღნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნას. წევრი სახელმწიფოს საიმიგრაციო სამსახურს უნდა ჰქონდეს წვდომა ETIAS-ის ცენტრალური სისტემის გარკვეულ ინფორმაციაზე, განსაკუთრებით, მგზავრების უკან დაბრუნების კონტექსტში.

(40) ტერორისტულ და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულებთან ბრძოლისათვის, ასევე კრიმინალური ქსელების გლობალიზაციის გათვალისწინებით, სავალდებულოა, რომ ტერორისტული და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციაზე, გამოვლენასა თუ გამოძიებაზე პასუხისმგებელი ორგანოები (შემდგომში „დანიშნული ორგანოები“) ფლობდნენ საჭირო ინფორმაციას თავიანთი მოვალეობების ქმედითად შესრულებისათვის. ამ მიზნით VIS-ის მონაცემებზე წვდომის ეფექტიანობა უკვე დადასტურებულია, რადგან ეხმარება გამომძიებლებს, მიაღწიონ არსებით წინსვლას ტრეფიკინგის, ტერორიზმისა თუ ნარკოტიკებით ვაჭრობის შემთხვევების გამოძიებაში. VIS არ მოიცავს მონაცემებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან.

(41) ETIAS-ში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა აუცილებელია ტერორისტული დანაშაულების პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიებისათვის, როგორც აღნიშნულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)2017/541 დირექტივაში <sup>(10)</sup> ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების, რომლებიც აღნიშნულია საბჭოს 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებაში <sup>(11)</sup>. ზოგიერთი განსაკუთრებული გამოძიებისას და მტკიცებულებათა თუ ინფორმაციის დაზუსტებისათვის იმ პირზე, რომელიც ეჭვმიტანილია მძიმე დანაშაულში ან მძიმე დანაშაულის მსხვერპლია, დადგენილ ორგანოებს შეიძლება სჭირდებოდეთ ETIAS-ის მონაცემებზე წვდომა. ETIAS-ში დაცული მონაცემები შეიძლება საკვანძო აღმოჩნდეს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაუყოვნებელი ქმედებაა საჭირო. ETIAS-ის მონაცემების ხელმისაწვდომობა ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნით, წარმოადგენს ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ფუნდამენტურ უფლებაში, იმ პირებთან მიმართებით, ვისი მონაცემებიც ETIAS-ში ინახება. აქედან გამომდინარე, მონაცემები უნდა იყოს კარგად დაცული და გაიცემოდეს წევრი სახელმწიფოების დანიშნულ ორგანოებზე ოდენ უმკაცრესი პირობებით, რომლებიც გაწერილია წინამდებარე რეგულაციაში. ეს უზრუნველყოფს, რომ ETIAS-ში დაცული მონაცემები გაიცეს მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი შეზღუდვებით, იმ დოზით, რაც აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნებისთვის, სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმე კომპანიის - შპს „ციფრული უფლებები ირლანდია“ - გარშემო <sup>(12)</sup>.

(42) კერძოდ, ETIAS-ში შენახულ მონაცემებზე წვდომა ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნით, უნდა მიეცეს მხოლოდ დანიშნული ორგანოს შესაბამის განყოფილებას, მხოლოდ დასაბუთებული მოთხოვნის შემდეგ, სადაც განმარტებული იქნება ამის აუცილებლობა. გადაუდებლად საჭირო შემთხვევებში, როცა საჭიროა ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის შედეგად სიცოცხლის გარდაუვალი საფრთხის თავიდან აცილება, დანიშნული ორგანოებისათვის ინფორმაციის მიცემისთანავე უნდა შემოწმდეს, დაკმაყოფილდა თუ არა ინფორმაციის გაცემისათვის აუცილებელი პირობები. ამგვარი *ex post* შემოწმება უნდა ჩატარდეს გადაუდებლად, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს შვიდი სამუშაო დღისა ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნის შესრულებიდან.

(43) აქედან გამომდინარე, აუცილებელია წევრმა სახელმწიფოებმა გამოყონ საგანგებო დანიშნული ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან, გამოითხოვონ ინფორმაციაზე წვდომა განსაკუთრებული მიზნებისთვის, რაც გულისხმობს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციას, გამოვლენასა თუ გამოძიებას.

- (44) წვდომის ცენტრალური პუნქტ(ებ)ი უნდა მოქმედებდეს დანიშნული ორგანოებისაგან დამოუკიდებლად და აუცილებლად ამოწმებდეს, რამდენადაა დაცული ETIAS-ის ცენტრალური სისტემის წვდომის პირობები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.
- (45) ევროპოლი ინფორმაციის მიმოცვლის ჰაბია ევროკავშირში. ის საკვანძო როლს თამაშობს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაში, როცა საქმე ეხება საზღვრებს შორის სისხლისსამართლებრივ გამოძიებას და დანაშაულის პრევენციას, გამოვლენასა და გამოძიებას მთელს ევროკავშირში. შედეგად, ევროპოლსაც უნდა ჰქონდეს წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან მისი საქმიანობის ფარგლებში და (EU)2016/794 რეგულაციის შესაბამისად, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საჭიროა, რომ ევროპოლი დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციაში, გამოვლენასა თუ გამოძიებაში.
- (46) სისტემატური ძებნის თავიდან ასაცილებლად, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დამუშავდეს, როცა ეს აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიებისათვის. დადგენილმა ორგანოებმა და ევროპოლმა მხოლოდ მაშინ უნდა მოითხოვონ ETIAS-ის მონაცემებზე წვდომა, როცა აქვთ დასაბუთებული ეჭვი იმის სარწმუნოდ, რომ ამ წვდომის შედეგად მიიღებენ ღირებულ ინფორმაციას ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიებისათვის.
- (47) ETIAS-ში პერსონალური მონაცემები არ უნდა ინახებოდეს იმაზე დიდხანს, ვიდრე ეს აუცილებელია იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ეს მონაცემები შეგროვდა. ETIAS-ის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ განმცხადებელთან დაკავშირებული მონაცემები ინახებოდეს სამგზავრო ნებართვის მოქმედების პერიოდის მანძილზე. ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, მონაცემები შეიძლება სისტემაში დარჩეს მხოლოდ განმცხადებლის მკაფიო თანხმობის შემდეგ, მხოლოდ ახალი განაცხადის განხილვის გასამართლებლად. უარი სამგზავრო ნებართვაზე, ან მისი გაუქმება თუ ანულირება მიანიშნებს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს განმცხადებლის მხრიდან. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მონაცემები უნდა ინახებოდეს მისი გამოტანიდან ხუთი წლის მანძილზე, რათა ETIAS-ს შეეძლოს უშეცდომოდ გაითვალისწინოს მაღალი შესაძლო რისკი, მომდინარე განმცხადებლისაგან. თუ მონაცემები, რომლებიც გადაწყვეტილების საფუძველი გახდა, უფრო ადრე წაშალეს, მაშინ განაცხადების ფაილი უნდა წაიშალოს შვიდი დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, პერსონალური მონაცემები აღარ უნდა ინახებოდეს.
- (48) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცული პერსონალური მონაცემები არ შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს რომელიმე მესამე ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან კერძო პირისათვის. თუმცა, როგორც ამ წესის გამონაკლისი, მესამე ქვეყანას შეიძლება გადაეცეს პერსონალური მონაცემები, მკაცრი წინაპირობების საფუძველზე, თუ ეს აუცილებელია რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადად, მგზავრის უკან

დაბრუნების მიზნით. თუ არ არსებობს ადეკვატური გადაწყვეტილება, აღმასრულებელი აქტის სახით, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)2016/679 რეგულაციის შესაბამისად, ან სათანადო დაცვის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც ტრანსფერი ექვემდებარება რეგულაციას, გამონაკლისის სახით, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ ETIAS-ში დაცული მონაცემები გადაეცეს მესამე ქვეყანას მგზავრის დაბრუნების მიზნით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ტრანსფერი აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესის მაღალი მიზნებისათვის, როგორც ეს ნათქვამია რეგულაციაში.

(49) ასევე შესაძლებელი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების მიერ ამ რეგულაციის შესაბამისად მოპოვებული პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნისათვის მხოლოდ გამონაკლის გადაუდებელ შემთხვევებში, როცა საქმე გვაქვს ტერორისტულ დანაშაულთან ასოცირებულ მოსალოდნელ საფრთხესთან ან საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ასოცირდება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულთან. ადამიანის სიცოცხლის საფრთხეში მოიაზრება საფრთხე, წარმოშობილი პირის მიმართ ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად, როგორცაა სხეულის მძიმე დაზიანება, ადამიანების ორგანოებითა და სხეულის ნაწილებით უკანონო ვაჭრობა, გატაცება, უკანონო დატყვევება ან მძევლად აყვანა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ან პორნოგრაფია და გაუპატიურება.

(50) ETIAS-ის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, განსაკუთრებით, მესამე ქვეყნის მოქალაქეებში, რომელთაც მოეთხოვებათ სამგზავრო ნებართვა, აუცილებელია საჯარო ვებგვერდების მეშვეობით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ETIAS-ის შესახებ, მათ შორის, ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და სამგზავრო ნებართვის მისაღები პროცედურები. ასევე, ხელმისაწვდომი იყოს მობილური ტელეფონის აპლიკაცია ETIAS-თვის მისამართად. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე ლიფლეტების მეშვეობით ან ნებისმიერი სხვა სათანადო საშუალებით. ამასთან, სამგზავრო ნებართვის მოთხოვნის შემთხვევაში, პირმა ელექტრონული ფოსტით უნდა მიიღოს შეტყობინება მის განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაციით. ასეთი შეტყობინება ასევე უნდა მოიცავდეს ევროკავშირში და ეროვნულ დონეზე გამოყენებადი კანონმდებლობის ბმულებს.

(51) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის დიზაინის, განვითარებისა და ტექნიკური მენეჯმენტისათვის აუცილებელია ზედმიწევნით ზუსტი წესების დადგენა eu-LISA-ს პასუხისმგებლობების კუთხით. ETIAS-თან მიმართებით ასევე უნდა დადგინდეს წესები საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს, წევრი სახელმწიფოებისა და ევროპოლის პასუხისმგებლობების კუთხით. eu-LISA-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფასების ზრდის რისკებს და უზრუნველყოს კონტრაქტორთა საკმარისი მონიტორინგი.

(52) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No45/2001 რეგულაცია <sup>(14)</sup> ვრცელდება eu-LISA-სა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს საქმიანობაზე, როცა ისინი წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებენ.

- (53) (EU)2016/679 რეგულაცია ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე რეგულაციის გამოყენებისას.
- (54) როცა წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოები სამგზავრო ნებართვის მისაღებ განაცხადთა შეფასებისას პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნით, მოქმედებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)2016/680 დირექტივა <sup>(15)</sup>.
- (55) (EU)2016/680 დირექტივა მოქმედებს წევრ სახელმწიფოებში, დანიშნული ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნით.
- (56) (EU)2016/679 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები მონიტორინგს უნდა უწევდნენ წევრ სახელმწიფოებში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას. ამასთან, (EC) No 45/2001 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი მონიტორინგს უნდა უწევდეს ევროკავშირის ინსტიტუციებისა და ორგანოების საქმიანობას პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი და სხვა საზედამხედველო ორგანოები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან ETIAS-ის მონიტორინგისას.
- (57) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან წვდომა უნდა განისაზღვროს მკაცრი წესებით და დაწესდეს აუცილებელი დამცავი მექანიზმები. ამასთან, აუცილებელია ინდივიდებისათვის განისაზღვროს სისტემასთან წვდომის თუ შეზღუდვის უფლება, ასევე, სისტემაში პერსონალური მონაცემების შესწორების, შევსების, წაშლისა და აღდგენის უფლება, განსაკუთრებით, სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მონაცემთა დამუშავების პროცესის ზედამხედველობის შესაძლებლობა დამოუკიდებელი საჯარო ორგანოების მიერ.
- (58) მოგზაურის მხრიდან უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა თუ ეპიდემიის გავრცელების რისკების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ETIAS-ის საინფორმაციო სისტემისა და ევროკავშირის საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალური ურთიერთთავსებადობა. აღნიშნულის უზრუნველყოფისას არსებითია ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრული თანხვედრა ადამიანის უფლებების კუთხით. თუკი ევროკავშირის დონეზე არსებობს ცენტრალიზებული სისტემა წევრ სახელმწიფოთა გამოსავლენად, რომელიც ფლობს ინფორმაციას მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირების ბრალეულობის შესახებ, ETIAS-ს უნდა შეეძლოს ამ ინფორმაციის მოძებნა.
- (59) წინამდებარე რეგულაცია უნდა მოიცავდეს მკაფიო დებულებებს პასუხისმგებლობისა და კომპენსაციის შესახებ პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შემთხვევაში და ნებისმიერი სხვა ქმედებისათვის, რაც არ შეესაბამება ამ რეგულაციას. ამგვარი დებულებები არ უნდა ზღუდავდეს კომპენსაციის უფლებასა და მონაცემთა

მაკონტროლებლის თუ დამმუშავებლის პასუხისმგებლობებს, რაც განსაზღვრულია (EU)2016/679 და (EC) No45/2001 რეგულაციებით და (EU)2016/680 დირექტივით. eu-LISA, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, პასუხისმგებელი უნდა იყოს ნებისმიერ ზიანზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მონაცემთა დამუშავებისას, როცა ის ვერ შეასრულებს წინამდებარე რეგულაციით საგანგებოდ დაკისრებულ ვალდებულებებს, ან როცა იმოქმედებს მონაცემთა მაკონტროლებელი წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილი წესის მიღმა თუ საწინააღმდეგოდ.

(60) წინამდებარე რეგულაციის გამოყენების მონიტორინგი საჭიროებს რეგულარულ შეფასებას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ სანქციები რეგულაციის დარღვევისათვის და უზრუნველყონ მათი გატარება.

(61) წინამდებარე რეგულაციის გამოყენებისათვის ტექნიკური ღონისძიებების დასადგენად, კომისიას უნდა გადაეცეს TFEU-ს 290-ე მუხლის შესაბამისად აქტების მიღების უფლებამოსილება. კერძოდ, რომ:

- განსაზღვროს მოთხოვნები მომსახურების ანგარიშების უსაფრთხოებისათვის,
- შეადგინოს წინასწარ განსაზღვრულ პროფესიათა ჩამონათვალი, რომელიც შევა განაცხადის ფორმაში,
- ჩამოაყალიბოს განმცხადებელთა მიმართ დასასმელი კითხვების შინაარსი და ფორმა, რომელიც დაუკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებას, ომსა ან კონფლიქტის ზონაში ყოფნას და ტერიტორიის დატოვების ან ტერიტორიაზე დარჩენის გადაწყვეტილებებს,
- ჩამოაყალიბოს დამატებითი კითხვების შინაარსი და ფორმა იმ განმცხადებელთა მიმართ, რომლებმაც დადებითად უპასუხეს ერთ კითხვას მაინც სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების, ომსა ან კონფლიქტის ზონაში ყოფნის და ტერიტორიის დატოვების ან ტერიტორიაზე დარჩენის გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, წინასწარ შეადგინოს შესაძლო პასუხების სია,
- დაადგინოს გადახდის მეთოდი და საშუალება სამგზავრო ნებართვის გაცემის საფასურის მოსაკრებად და ამ საფასურის ოდენობის ნებისმიერი ცვლილება, რათა აისახოს ETIAS-ის ღირებულების ნებისმიერი ზრდა,
- ჩამოაყალიბოს წინასწარ განსაზღვრული ვარიანტების შინაარსი და ფორმა განმცხადებელთათვის დამატებითი ინფორმაციისა ან დოკუმენტაციის მოსათხოვნად,
- უკეთ განსაზღვროს შემოწმების (ვერიფიკაციის) ინსტრუმენტები,
- უკეთ განსაზღვროს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების რისკები, რათა ჩამოაყალიბოს განსაკუთრებული რისკის ინდიკატორები,
- განსაზღვროს დამატებითი ინფორმაციის ტიპები, დაკავშირებული დროშით აღნიშვნასთან, რაც შეიძლება დაემატოს ETIAS-ის განაცხადის ფაილს, მათი ფორმატი, ენა და დროშით აღნიშვნის მიზეზები,
- შესაბამისი წესებისა და რეგულაციების შემოღებით, დაადგინოს ადეკვატური დაცვის საშუალებები, რითაც თავიდან აიცილებს შეუსაბამობას სხვა

- საინფორმაციო სისტემებში დაცულ სასიგნალო ინფორმაციებთან და განსაზღვრავს დროში აღნიშვნის პირობებს, კრიტერიუმებსა და ხანგრძლივობას,
- შეიმუშაოს ინსტრუმენტი, რომლითაც ისარგებლებენ განმცხადებლები თავიანთი თანხმობის მისაცემად ან უარის სათქმელად,
  - გაახანგრძლივოს გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამგზავრო ნებართვა არ არის მოთხოვნილი, ასევე საშეღვათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მესაზღვრეები ნებას დართავენ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც მოეთხოვებათ სამგზავრო ნებართვა, შევიდნენ ქვეყანაში გარკვეული პირობების დაცვით,
  - წევრი სახელმწიფოებისათვის განსაზღვრონ ფინანსური დახმარება იმ ხარჯების დასაფარად, რაც ETIAS-ის დანერგვისას სასაზღვრო კონტროლის ავტომატიზირებას დასჭირდება.

(62) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ აწარმოოს სათანადო კონსულტაციები მოსამზადებელი სამუშაოს პროცესში, მათ შორის, საექსპერტო დონეზე. ამასთან, ეს კონსულტაციები გაიმართოს 2016 წლის 13 აპრილის ინსტიტუციათაშორისი შეთანხმების პრინციპების შესაბამისად უკეთესი კანონშემოქმედებითობის შესახებ<sup>(16)</sup>. კერძოდ, დელეგირებული აქტების მომზადებაში თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ევროპის პარლამენტი და საბჭო ერთდროულად იღებენ ყველა დოკუმენტს, როგორც წევრი სახელმწიფოების ექსპერტები. ამასთან, მათი ექსპერტები სისტემატურად ესწრებიან შეხვედრებს კომისიის ექსპერტთა ჯგუფების მონაწილეობით, რომლებიც დელეგირებული აქტების მომზადებაზე მუშაობენ.

(63) წინამდებარე რეგულაციის განხორციელებისათვის ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად, კომისიას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, შემოიღოს გარკვეული წესები. კერძოდ:

- ფორმა კომერციული შუამავლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა გამოსააშკარავებლად, რომელთაც განმცხადებლებმა მიანდეს თავიანთი სახელით განაცხადის წარდგენა,
- პირობები საჯარო ვებგვერდებისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციების ფუნქციონირებისათვის, ასევე, დეტალური წესები მონაცემთა დაცვასა და უსაფრთხოებაზე საჯარო ვებგვერდებისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციების გამოყენებისას,
- მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს განაცხადის ფორმაში ჩასაწერი პერსონალური მონაცემების ფორმატს, ასევე პარამეტრებსა და ვერიფიკაციის საშუალებებს, რაც უზრუნველყოფს განაცხადების სრულად შევსებას და შეტანილი მონაცემების შეთანხმებულობას,
- მოთხოვნები აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების ტესტირებისა და ფუნქციონირებისათვის, რომლებიც განკუთვნილია განმცხადებელთა ინტერვიუებისათვის, ასევე, დეტალური წესები მონაცემთა დაცვაზე, უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობაზე, რომლებიც ამგვარი კომუნიკაციისას გამოიყენება,



- უსაფრთხოება, უკანონო იმიგრაცია და ეკიდემიის გავრცელების მაღალი რისკები, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს განსაკუთრებული რისკების ინდიკატორები,
- ETIAS-ის საკონტროლო სიისა და შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რა პოტენციური გავლენა ექნება ETIAS-ის საკონტროლო სიაში მონაცემთა შეტანას არაელექტრონულად დამუშავებული განაცხადების პროპორციულ რაოდენობაზე,
- ფორმა სამგზავრო ნებართვაზე უარის, მისი გაუქმებისა ან ანულირების შესახებ,
- პირობები, რაც უზრუნველყოფს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის უსაფრთხო ხელმისაწვდომობას გადამზიდავთა მიერ, ასევე, მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების წესები ამ ხელმისაწვდომობის შემთხვევაში,
- გადამზიდავი კომპანიის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლების მიერ ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის წვდომის ავთენტიფიკაციის სქემა,
- სათადარიგო პროცედურა გადამზიდავებისათვის იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკურად შეუძლებელია ETIAS-ის საინფორმაციო სისტემით ინფორმაციის მოძიება,
- ქცევის მოდელი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისათვის, როცა სასაზღვრო სამსახურების თანამშრომლებისთვის ტექნიკურად შეუძლებელია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტირება ან ETIAS-ი არ ფუნქციონირებს,
- უსაფრთხოების გეგმის მოდელი, შეუფერხებელი საქმიანობის მოდელი და კატასტროფის შემთხვევაში აღდგენის გეგმა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით,
- ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა მისაწვდომობა,
- მონაცემთა შესწორება, წაშლა და წინასწარი წაშლა,
- აღრიცხვის ჩანაწერების წარმოება და მათზე წვდომა,
- შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები,
- ტექნიკური გამოსავლების მახასიათებლები წვდომის ცენტრალური პუნქტების დასაკავშირებლად ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან,
- ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემთა ხარისხის შესაბამისობის დადგენის მექანიზმი, პროცედურები და ინტერპრეტაცია,
- ლიფლეტები მგზავრთა ინფორმირების მიზნით იმ მოთხოვნებზე, რაც საჭიროა მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობისათვის,
- ცენტრალური საცავის მუშაობა, რომელშიც დაცულია მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისათვის, ასევე, საცავთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების წესები, და
- ტექნიკურ გადაწყვეტათა მახასიათებლები იმ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების გამარტივების მიზნით, რომლებიც აუცილებელია ანგარიშის მოსამზადებლად ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე წვდომის ეფექტიანობის შესახებ სამართალდაცვის მიზნებისათვის.

აღნიშნული უფლებამოსილებანი უნდა განხორციელდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს

(EU) No182/2011 რეგულაციის შესაბამისად <sup>(17)</sup>.

- (64) რამდენადაც წინამდებარე რეგულაციის მიზნები, კერძოდ კი, ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) შექმნა და მასში დაცული მონაცემების გამოყენებაზე საერთო ვალდებულებების, პირობებისა და პროცედურების დაწესება სათანადოდ ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე, არამედ საკითხის მასშტაბურობიდან და მოქმედებათა შედეგიდან გამომდინარე, უკეთ მიიღწევა ევროკავშირის დონეზე, ევროკავშირმა შეიძლება მიიღოს ზომები დაქვემდებარებულობის პრინციპით, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, როგორც ეს დადგენილია აღნიშნულ მუხლში, რეგულაცია არ სცდება მისი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ ფარგლებს.
- (65) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის, ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა მუშაობისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები სრულად უნდა დაიფაროს სამგზავრო ნებართვის საფასურით მიღებული შემოსავლებიდან. ამდენად, საფასური უნდა შეესაბამებოდეს წარმოშობილ ხარჯებს.
- (66) სამგზავრო ნებართვის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლები უნდა მოხმარდეს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის, ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა მუშაობისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიმდინარე ხარჯების დაფარვას. სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება, რომ შემოსავალი ჩაითვალოს შიდა შემოსავლად. ნებისმიერი ნაშთი, ხარჯების დაფარვის შემდეგ, უნდა გადავიდეს ევროკავშირის ბიუჯეტში.
- (67) წინამდებარე რეგულაცია არ ზღუდავს 2004/38/EC-ს დირექტივის გამოყენებას.
- (68) წინამდებარე რეგულაცია აღიარებს და იცავს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით დაცულ უფლებებსა და პრინციპებს.
- (69) დანიის პოზიციის შესახებ No22 ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების მიხედვით, რომელიც თან ერთვის TEU-სა და TFEU-ს, დანია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიბოჭება ან არ დაექვემდებარება მის გამოყენებას. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე რეგულაცია ეფუძნება შენგენის კანონმდებლობას (*Schengen acquis*), დანიამ, აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით, საბჭოს მიერ ამ რეგულაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა გადაწყვიტოს, დანერგავს თუ არა მას თავის ეროვნულ კანონმდებლობაში.
- (70) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას, რომელშიც არ მონაწილეობს გაერთიანებული სამეფო, საბჭოს 2000/365/EC გადაწყვეტილების <sup>(18)</sup> თანახმად; ამდენად, გაერთიანებული სამეფო არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიბოჭება ან დაექვემდებარება მის მოქმედებას.
- (71) წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას, რომელშიც არ მონაწილეობს ირლანდია, საბჭოს

2002/192/EC გადაწყვეტილების <sup>(19)</sup> შესაბამისად; ამდენად, ირლანდია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და არ შეიზოქება ან დაექვემდებარება მის მოქმედებას.

(72) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირის საბჭოს და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც შეეხება ამ ქვეყნების ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან, <sup>(20)</sup> რაც ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების <sup>(21)</sup> 1-ელი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში.

(73) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან, <sup>(22)</sup> რაც ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში, საბჭოს 2008/146/EC გადაწყვეტილების მე-3 მუხლსა <sup>(23)</sup> და საბჭოს 2008/149/JHA გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან <sup>(24)</sup> ერთობლიობაში.

(74) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) განვითარებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში. აღნიშნული ოქმი შეეხება ლიხტენშტეინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან, რაც <sup>(25)</sup> ექცევა საბჭოს 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის A ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სფეროში, საბჭოს 2011/350/EU გადაწყვეტილების მე-3 მუხლსა <sup>(26)</sup> და საბჭოს 2011/349/EU გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთობლიობაში <sup>(27)</sup>.

(75) შენგენის კანონმდებლობის (*Schengen acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან ასოცირებული მესამე ქვეყნის ფინანსურ კონტრიბუციასთან დაკავშირებით ვარიანტების განსასაზღვრად, საჭიროა შემდგომი შეთანხმება ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მათი ასოცირების შეთანხმებების რელევანტურ დებულებათა შესაბამისად. ამგვარი შეთანხმებები უნდა წარმოადგენდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს TFEU-ს 218-ე მუხლის შესაბამისად.

(76) არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში წინამდებარე რეგულაციის ინტეგრირებისათვის, ასევე, eu-LISA-სა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოსთვის აუცილებელი სამოქმედო ცვლილებების ასახვის მიზნით, საჭიროა შეიცვალოს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს შემდეგი რეგულაციები: (EU) No 1077/2011 <sup>(28)</sup>, (EU) No 515/2014 <sup>(29)</sup>, (EU) 2016/399, (EU) 2016/1624 <sup>(30)</sup> და (EU) 2017/2226 <sup>(31)</sup>.

(77) ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან კონსულტაციები ჩატარდა (EC) No45/2001 რეგულაციის 28(2) მუხლის შესაბამისად და მან დასკვნა წარმოადგინა 2017 წლის 6 მარტს <sup>(32)</sup>,

მიიღო წინამდებარე რეგულაცია:

## **თავი I** **ზოგადი დებულებები**

### *მუხლი 1*

#### **მთავარი საგანი**

1. წინამდებარე რეგულაცია აწესებს „ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემის“ (ETIAS) შემოღებას მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან ვიზის აღების ვალდებულებისაგან („სავიზო ვალდებულება“) გარე საზღვრების გადაკვეთისას, რაც შესაძლებელს გახდის, შეფასდეს, ქმნიან თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქეები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს. ამ მიზნით, შემოღებული იქნება სამგზავრო ნებართვა და მისი გაცემისა ან მასზე უარის თქმის პირობები და პროცედურები.
2. წინამდებარე რეგულაცია აყალიბებს პირობებს, რომლის საფუძველზეც წევრი სახელმწიფოების დადგენილ ორგანოებსა და ევროპოლს შეუძლიათ მიმართონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა თუ გამოძიების მიზნით, რაც მათ უფლებამოსილებაში ექცევა.

### *მუხლი 2*

#### **მოქმედების ფარგლები**

1. წინამდებარე რეგულაცია შეეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემდეგ კატეგორიებს:
  - (a) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მოიხსენებიან საბჭოს (EC)No539/2001 რეგულაციის <sup>(33)</sup> II დანართში და გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მიზნობრივად ყოფნისათვის არაუმეტეს 90 დღისა ნებისმიერი 180-დღიანი მთლიანი პერიოდიდან;
  - (b) პირები, რომლებიც (EC) No539/2001 რეგულაციის 4(2) მუხლის შესაბამისად, გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მიზნობრივად ყოფნისათვის არაუმეტეს 90 დღისა ნებისმიერი 180-დღიანი პერიოდიდან;
  - (c) მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან და აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- (i) ისინი არიან ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრები, რომლებზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა ან მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სარგებლობს თავისუფალი გადაადგილების უფლებით, ევროკავშირის მოქალაქეების მსგავსად, ერთი მხრივ, წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად; და
- (ii) ისინი არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას (EC) No 1030/2002 რეგულაციის შესაბამისად.

2. წინამდებარე რეგულაცია არ ეხებათ:

- (a) ლტოლვილებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს ან სხვა პირებს, რომლებსაც არ აქვთ არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ცხოვრობენ წევრ სახელმწიფოში და ფლობენ ამ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ მგზავრობის ნებართვას;
- (b) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრები, რომლებზეც ვრცელდება 2004/38/EC დირექტივა და რომლებიც ფლობენ ბინადრობის მოწმობას ამ დირექტივის თანახმად;
- (c) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები, ფლობენ თავისუფალი გადაადგილების უფლებას ევროკავშირის მოქალაქეების მსგავსად, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ფლობენ ბინადრობის მოწმობას 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად ან ბინადრობის ნებართვას (EC) No 1030/2002 რეგულაციის შესაბამისად;
- (d) ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად;
- (e) მრავალჯერადი ვიზების მფლობელებს;
- (f) გრძელვადიანი ვიზების მფლობელებს;
- (g) ანდორას, მონაკოს და სან მარინოს მოქალაქეებსა და ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოსა ან წმინდა საყდრის გაცემული პასპორტების მფლობელებს;
- (h) მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ ადგილობრივი სასაზღვრო მიმოსვლის ნებართვას, გაცემულს წევრი სახელმწიფოების მიერ, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No1931/2006 რეგულაციის <sup>(34)</sup> შესაბამისად, როცა ამგვარი ნებართვის მფლობელები თავიანთ უფლებებს იყენებენ ადგილობრივი სასაზღვრო მიმოსვლის რეჟიმის კონტექსტში;
- (i) პირებს ან იმ კატეგორიების პირებს, რომლებიც მოიხსენიებიან (EC) No 539/2001 რეგულაციის 4(1) მუხლის (a)-დან (f)-მდე ქვეპუნქტებში;
- (j) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს დიპლომატიური ან სამსახურეობრივი პასპორტებით, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან, ევროკავშირსა და მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად;

(k) პირებს, რომლებსაც აკისრიათ სავიზო ვალდებულება (EC) No539/2001 რეგულაციის 4(3) მუხლის შესაბამისად;

(l) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ თავიანთი გადაადგილების უფლებით ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014/66/EU <sup>(35)</sup> ან (EU) 2016/801 <sup>(36)</sup> დირექტივების შესაბამისად.

### *მუხლი 3*

#### **განმარტებები**

1. წინამდებარე რეგულაციის მიზნებისათვის, გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

(1) „გარე საზღვრები“ ნიშნავს გარე საზღვრებს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში;

(2) „სამართალდაცვა“ ნიშნავს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციას, გამოვლენას ან გამოძიებას;

(3) „მეორადი შემოწმება“ ნიშნავს მეორე რიგის შემოწმებას, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტში;

(4) „სასაზღვრო უწყება“ ნიშნავს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე სასაზღვრო შემოწმების განსახორციელებლად დანიშნულ მესაზღვრეს, როგორც განმარტებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით;

(5) „სამგზავრო ნებართვა“ ნიშნავს გადაწყვეტილებას, გაცემულს ამ რეგულაციის შესაბამისად, რომელიც მოეთხოვებათ წინამდებარე რეგულაციის მე-2(1) მუხლში მოხსენიებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რათა მათ დააკმაყოფილონ შესვლის პირობები, რაც აღნიშნულია (EU) 2016/399 რეგულაციის 6(1) მუხლის (b) პუნქტში. კერძოდ, რომ:

(a) არ გამოვლინდა ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ქმნის ან შექმნის უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციის ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს;

(b) არ გამოვლინდა ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ქმნის ან შექმნის უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციის ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს, თუმცა, რჩება ეჭვი, რომ არსებობს საკმარისი მიზეზი სამგზავრო ნებართვაზე უარის სათქმელად, მუხლი 36(2) შესაბამისად;

(c) ნებართვის ტერიტორიული მოქმედება შეიზღუდა 44-ე მუხლის შესაბამისად, თუ გამოვლინდა ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების

ტერიტორიაზე ქმნის ან შექმნის უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციის ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს; ან

- (d) მგზავრზე აღნიშნულია სასიგნალო ინფორმაცია SIS-ში, რომ საჭიროებს ფარულ შემოწმებას ან საგანგებო შემოწმებას, ან SIS-ში არის სასიგნალო ინფორმაცია, რომ ძებნილია დაპატიმრების (ევროპული ორდერი დაკავებაზე) ან ექსტრადირების მიზნით, SIS-ის მიზნების მისაღწევად მე-4 მუხლის (e) პუნქტის მიხედვით, თუ გამოვლინდა ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ქმნის ან შექმნის უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციის ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს;
- (6) „უსაფრთხოების რისკი“ ნიშნავს საჯარო პოლიტიკის, შიდა უსაფრთხოების ან საერთაშორისო ურთიერთობებისთვის შექმნილ რისკს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში;
- (7) „უკანონო იმიგრაციის რისკი“ ნიშნავს რისკს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არ დაიცავს ქვეყანაში შესვლისა და ყოფნის პირობებს, როგორც დადგენილია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლში;
- (8) „ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი“ ნიშნავს ნებისმიერ დაავადებას ეპიდემიის გავრცელების პოტენციალით, როგორც განმარტავს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) საერთაშორისო ჯანმრთელობის რეგულაციები ან დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრი (ECDC) და სხვა ინფექციურ დაავადებას ან გადამდებ პარაზიტულ დაავადებებს, თუ მათზე ვრცელდება დაცვის დებულებები წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის;
- (9) „განმცხადებელი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს მე-2 მუხლის შესაბამისად, რომელმაც წარადგინა განაცხადი სამგზავრო ნებართვის მისაღებად;
- (10) „სამგზავრო დოკუმენტი“ ნიშნავს პასპორტს ან სხვა თანაბარ დოკუმენტს, რომელიც უფლებას ანიჭებს მის მფლობელს, გადაკვეთოს გარე საზღვრები და რომელშიც შეიძლება დაფიქსირდეს ვიზა;
- (11) „მოკლევადიანი ყოფნა“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნას (EU) 2016/399 რეგულაციის 6(1) მუხლის მნიშვნელობით;
- (12) „ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენილი პირი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ ან მეტად აღარ აკმაყოფილებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებადართული მოკლევადიანი ყოფნის ვადასთან დაკავშირებულ პირობებს;
- (13) „მობილური ტელეფონის აპლიკაცია“ ნიშნავს პროგრამულად უზრუნველყოფილ აპლიკაციას, რომელიც განკუთვნილია მობილური მოწყობილობებისათვის, როგორცაა სმარტფონი ან ტაბლეტი;
- (14) „საყურადღებო მონაცემების დამთხვევა“ ნიშნავს მონაცემების ერთგვაროვნებას, რაც გამოვლინდება ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ მოძიების შედეგად, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში განაცხადის ფაილში დაცული პერსონალური მონაცემების

შედარებით განსაკუთრებული რისკის ინდიკატორებთან, რომლებიც გათვალისწინებულია 33-ე მუხლში, ან ჩანაწერებთან, ფაილებსა თუ სასიგნალო ინფორმაციასთან, რომლებიც ინახება ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, ევროკავშირის სხვა საინფორმაციო სისტემასა ან მონაცემთა ბაზაში 20(2) მუხლის მიხედვით („EU საინფორმაციო სისტემები“), ევროპოლის ან ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში;

- (15) „ტერორისტული დანაშაული“ ნიშნავს დანაშაულს, რომელიც შეესაბამება ან უთანაბრდება (EU) 2017/541 დირექტივით განსაზღვრულ ერთ-ერთ დანაშაულს;
- (16) „სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული“ ნიშნავს დანაშაულს, რომელიც შეესაბამება ან უთანაბრდება 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების 2(2) მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულს, თუ მისთვის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია საპატიმრო სასჯელი ან თავისუფლების აღკვეთა, სულ მცირე, სამწლიანი მაქსიმალური ვადით;
- (17) „ევროპოლის მონაცემები“ ნიშნავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც ევროპოლმა დაამუშავა (EU) 2016/794 რეგულაციის 18(2) მუხლის (a) პუნქტის მიხედვით;
- (18) „ელექტრონულად ხელმოწერილი“ ნიშნავს შეთანხმების დადასტურებას განაცხადის ფორმის ან თანხმობის განცხადების შესაბამისი გრაფის მონიშვნით;
- (19) „არასრულწლოვანი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც 18 წლამდე ასაკისაა;
- (20) „საკონსულო“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს დიპლომატიურ მისიას ან წევრი სახელმწიფოს კონსულის პოზიციას, როგორც განმარტებულია 1963 წლის 24 აპრილის ვენის კონვენციაში საკონსულო ურთიერთობების შესახებ;
- (21) „დანიშნული ორგანო“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ 50-ე მუხლის მიხედვით დადგენილ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის აღკვეთაზე, გამოვლენასა ან გამოძიებაზე;
- (22) „საიმიგრაციო ორგანო“ ნიშნავს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობით, ჩამოთვლილი საკითხებიდან ერთზე ან მეტზე არის პასუხისმგებელი:
  - (ა) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის პირობების შესრულების შემოწმება წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე;
  - (ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბინადრობის პირობების შემოწმება და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, რამდენადაც აღნიშნული ორგანო არ წარმოადგენს „განმსაზღვრელ ორგანოს“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივის მე-2 მუხლის (ზ) პუნქტის მიხედვით <sup>(37)</sup>, ასევე, საჭიროებისამებრ, კონსულტაციის გაწევა საბჭოს (EC) No 377/2004 რეგულაციის <sup>(38)</sup> შესაბამისად;



(გ) მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნება წარმოშობის ან სატრანზიტო მესამე ქვეყანაში.

2. (EC) No 45/2001 რეგულაციის მე-2 მუხლით განმარტებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა ექნებათ ამ რეგულაციაშიც, თუ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო და eu-LISA.

3. (EU) 2016/679 რეგულაციის მე-4 მუხლით განმარტებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა ექნებათ ამ რეგულაციაშიც, თუ წევრი სახელმწიფოების ორგანოები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ამ რეგულაციის მე-4 მუხლის (a)-დან (e)-მდე პუნქტებში განსაზღვრული მიზნებისთვის.

4. (EU) 2016/680 დირექტივის მე-3 მუხლით განმარტებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა ექნებათ ამ რეგულაციაშიც, თუ წევრი სახელმწიფოების ორგანოები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ამ რეგულაციის მე-4 მუხლის (f) პუნქტში განსაზღვრული მიზნებისთვის.

#### *მუხლი 4*

#### **ETIAS-ის ამოცანები**

წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების მხარდაჭერით, ETIAS:

(a) ხელს შეუწყობს მაღალი დონის უსაფრთხოებას განმცხადებლის ძირფესვიანი შეფასებით უსაფრთხოების რისკის კუთხით, სანამ ის გარე საზღვრის გამტარ პუნქტებამდე მივა, რათა განსაზღვრონ, არსებობს თუ არა ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე რისკს უქმნის უსაფრთხოებას;

(b) ხელს შეუწყობს უკანონო იმიგრაციის პრევენციას განმცხადებლის შეფასებით უკანონო იმიგრაციის რისკის კუთხით, სანამ ის გარე საზღვრის გამტარ პუნქტებამდე მივა;

(c) ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას განმცხადებლის შეფასებით, ხომ არ ქმნის ის ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს 3(1) მუხლის მე-8 პუნქტის მნიშვნელობით, სანამ ის გარე საზღვრის გამტარ პუნქტამდე მივა;

(d) გააუმჯობესებს სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანობას;

(e) ხელს შეუწყობს SIS-ის ამოცანების შესრულებას, დაკავშირებულს სასიგნალო ინფორმაციასთან მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთაც უარი ეთქვათ ტერიტორიაზე შესვლასა და ყოფნაზე; პირებზე, რომლებიც ძებნილნი არიან დაპატიმრების ან ექსტრადიციის მიზნით; დაკარგულ ადამიანებზე; სამართლებრივი დახმარების საჭიროების მქონე პირებზე და მათზე, ვინც საჭიროებს ფარულ ან სპეციფიკურ შემოწმებას;

(f) ხელს შეუწყობს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციას, გამოვლენასა თუ გამოძიებას.

## მუხლი 5

### ETIAS-ის ზოგადი სტრუქტურა

ETIAS-ის შემადგენლობაში შედის:

- (a) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემა, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-6 მუხლში;
- (b) ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-7 მუხლში;
- (c) ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-8 მუხლში

## მუხლი 6

### ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება და ტექნიკური მოწყობა

1. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპულმა სააგენტომ (შემდგომში „eu-LISA“) უნდა ჩამოაყალიბოს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემა და უზრუნველყოს მისი ტექნიკური მენეჯმენტი.
2. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემა უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - (a) ETIAS-ის ცენტრალური სისტემა, მათ შორის, ETIAS-ის საკონტროლო სია 34-ე მუხლის შესაბამისად;
  - (b) ერთიანი ეროვნული ინტერფეისი (a national uniform interface - NUI) თითოეულ წევრ სახელმწიფოში, დაფუძნებული საერთო და იდენტურ ტექნიკურ სპეციფიკაციებზე ყველა წევრ სახელმწიფოში, რაც შესაძლებლობას მისცემს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას, უსაფრთხოდ დაუკავშირდეს ეროვნულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურას და წევრი სახელმწიფოების წვდომის ცენტრალურ პუნქტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია 50(2) მუხლში;
  - (c) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასა და ერთიან ეროვნულ ინტერფეისს (NUI-ს) შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც იქნება უსაფრთხო და დაშიფრული;
  - (d) უსაფრთხო კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასა და მე-11 მუხლში აღნიშნულ საინფორმაციო სისტემებს შორის;
  - (e) საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია;
  - (f) ელექტრონული ფოსტით მომსახურება;
  - (g) პირადი ანგარიშებით უსაფრთხო მომსახურება, რაც საშუალებას მისცემს განმცხადებლებს, წარმოადგინონ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია მოთხოვნისამებრ;
  - (h) შემოწმების ინსტრუმენტი განმცხადებელთათვის;
  - (i) ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს განმცხადებლებს, მისცენ ან გააუქმონ თანხმობა თავიანთი განაცხადის დამატებითი დროით შენახვაზე;

(j) ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს ევროპოლსა და წევრ სახელმწიფოებს, შეაფასონ ETIAS-ის საკონტროლო სიაში ახალი მონაცემების შეტანის პოტენციური გავლენა არაელექტრონულად განხილული განაცხადების პროპორციულ რაოდენობაზე;

(k) მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბი

(l) უსაფრთხო ვებმომსახურება, რაც შესაძლებლობას მისცემს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას, კომუნიკაცია დაამყაროს საჯარო ვებგვერდთან, მობილური ტელეფონის აპლიკაციასთან, ელექტრონული ფოსტით მომსახურებასთან, უსაფრთხო პირადი ანგარიშით მომსახურებასთან, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბთან, განმცხადებელთა შემოწმების ინსტრუმენტთან, განმცხადებელთა თანხმობის ინსტრუმენტთან, გადახდის შუამავლებსა და ინტერპოლის მონაცემთა ბაზასთან;

(m) პროგრამული უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას მისცემს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს, დაამუშაონ განაცხადები და გამართონ კონსულტაციები ETIAS-ის სხვა ეროვნულ განყოფილებებთან, როგორც ეს გათვალისწინებულია 28-ე მუხლში და ევროპოლთან, როგორც ეს გათვალისწინებულია 29-ე მუხლში;

(n) მონაცემთა ცენტრალური საცავი, ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისათვის.

3. ETIAS-ის ცენტრალური სისტემა, ერთიანი ეროვნული ინტერფეისი (NUI), ვებმომსახურება, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბი და ETIAS-ის კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა, რამდენადაც ეს ტექნიკურად შესაძლებელია, უნდა იზიარებდნენ და იყენებდნენ EES-ის ცენტრალური სისტემის აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტებს, EES-ის ეროვნულ უნიფიცირებულ ინტერფეისებს, ვებმომსახურებას და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურას, გათვალისწინებულს (EU) 2017/2226 რეგულაციაში.

4. კომისიამ, 89-ე მუხლის შესაბამისად, უნდა მიიღოს დელეგირების აქტები, რათა განსაზღვროს მოთხოვნები წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტში აღნიშნული უსაფრთხო პირადი ანგარიშებით მომსახურებისათვის.

## *მუხლი 7*

### **ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება**

1. ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება შეიქმნა საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ფარგლებში.

2. ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება უნდა მუშაობდეს 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღის მანძილზე. მას უნდა ეკისრებოდეს შემდეგი პასუხისმგებლობები:

(a) შემოწმება 22-ე მუხლის შესაბამისად, თუ განაცხადის ავტომატური დამუშავებისას გამოვლინდა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა. კერძოდ, იმის შემოწმება, განმცხადებლის პერსონალური მონაცემები ხომ არ შეესაბამება იმ პირის პერსონალურ მონაცემებს, რომელზეც ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაფიქსირდა დამთხვევა, მათ

შორის, 34-ე მუხლში აღნიშნულ ETIAS-ის საკონტროლო სიაში, ან ევროკავშირის ნებისმიერ საინფორმაციო სისტემაში, სადაც მოიძიეს, ევროპოლის მონაცემებში, მე-12 მუხლში აღნიშნულ ინტერპოლის ნებისმიერ მონაცემთა ბაზაში, ან 33-ე მუხლში აღნიშნულ განსაკუთრებული რისკის ინდიკატორების ნუსხაში; ხოლო თუ მონაცემთა შესაბამისობა დადასტურდა ან ჯერ კიდევ რჩება ეჭვი, განაცხადის არაელექტრონული დამუშავების დაწყება, 26-ე მუხლის შესაბამისად;

- (b) უზრუნველყოფა, რომ განაცხადის ფაილებში შეტანილი მონაცემები განახლებულია 55-ე და 64-ე მუხლების შესაბამისი დებულებების თანახმად;
- (c) ETIAS-ის სკრინინგის საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, განსაკუთრებული რისკის ინდიკატორების განსაზღვრა, დაწესება, შემოწმება *ex ante*, განხორციელება, შეფასება *ex post*, შესწორება და წაშლა, 33-ე მუხლის შესაბამისად;
- (d) უზრუნველყოფა, რომ 22-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული შემოწმება და შესაბამისი შედეგები სათანადოდაა აღნუსხული განაცხადების ფაილებში;
- (e) განაცხადების განხილვისა და 33-ე მუხლის განხორციელების რეგულარული აუდიტი, მათ შორის, მათი გავლენის რეგულარული შეფასება, განსაკუთრებით, პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით;
- (f) საჭიროების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს მითითება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება განაცხადების არაელექტრონულ განხილვაზე, როგორც ეს 25(2) მუხლშია მოცემული;
- (g) ტექნიკური პრობლემების ან გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამოვლენის შემთხვევებში, 28-ე მუხლში აღნიშნულ წევრ სახელმწიფოებს, პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოსა და 29-ე მუხლში აღნიშნულ ევროპოლს შორის კონსულტაციების ხელშეწყობა, როცა ეს აუცილებელია;
- (h) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის შეფერხების შემთხვევაში, გადამზიდავთათვის შეტყობინების მიწოდება, 46(1) მუხლის შესაბამისად;
- (i) ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის შეფერხების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნული განყოფილებებისათვის შეტყობინების მიწოდება, 48(1) მუხლის შესაბამისად;
- (j) ევროპოლის მხრიდან ETIAS-ის ცენტრალური სისტემისგან მონაცემთა შესახებ კონსულტაციის მოთხოვნისას, ამ მოთხოვნების დამუშავება 53-ე მუხლის შესაბამისად;
- (k) საზოგადოებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება სამგზავრო ნებართვის განაცხადთან დაკავშირებით, 71-ე მუხლის შესაბამისად;
- (l) კომისიასთან თანამშრომლობა საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებით, 72-ე მუხლის შესაბამისად;
- (m) წერილობითი დახმარების აღმოჩენა მოგზაურთათვის განაცხადის ფორმის შევსებისას პრობლემების აღმოჩენისა და სტანდარტული საკონტაქტო ფორმის მეშვეობით

დახმარების თხოვნის შემთხვევაში; ხშირად დასმული შეკითხვებისა და მათზე პასუხების მომზადება/განახლება, რაც ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ;

(n) კომერციულ შუამავალთა მხრიდან არასათანადო ქცევის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება და კომისიის რეგულარული ინფორმირება, 15(5) მუხლის შესაბამისად.

3. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა გამოაქვეყნოს წლიური სამოქმედო ანგარიში. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს:

(a) სტატისტიკურ მონაცემებს:

(i) ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ ავტომატურად გაცემული სამგზავრო ნებართვის რაოდენობაზე;

(ii) ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ ვერიფიცირებულ განაცხადთა რაოდენობაზე;

(iii) წვერი სახელმწიფოების მიერ არაელექტრონულად განხილულ განაცხადთა რაოდენობაზე;

(iv) მესამე ქვეყნის მიერ განაცხადებზე უარის შემთხვევათა რაოდენობასა და უარის თქმის საფუძვლებზე;

(v) 22(6), 27, 30 და 32-ე მუხლებში მოხსენიებული ვადების დაცვაზე.

(b) ზოგად ინფორმაციას ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მუშაობაზე, წინამდებარე მუხლის შესაბამისად განხორციელებულ აქტივობებზე, მიმდინარე ტენდენციებსა და გამოწვევებზე, რომლებიც მის ამოცანათა განხორციელებას ახლავს.

წლიური სამოქმედო ანგარიში უნდა გადაეცეს ევროპის პარლამენტს, საბჭოს და კომისიას მომდევნო წლის 31 მარტამდე.

## *მუხლი 8*

### **ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები**

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც შეასრულებს ETIAS-ის ეროვნული განყოფილების ფუნქციას.

2. ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა პასუხისმგებლობებს შორისაა:

(a) სამგზავრო ნებართვის შესახებ განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, როცა განაცხადთა ავტომატურმა დამუშავებამ გამოავლინა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა და ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ წამოიწყო განაცხადის არაელექტრონულად განხილვის პროცესი;

- (b) (a) ქვეპუნქტში აღნიშნული ამოცანის შესრულებისა და შესაბამისი შედეგების განაცხადის ფაილებში აღნუსხვის უზრუნველყოფა;
  - (c) იმის უზრუნველყოფა, რომ განაცხადის ფაილებში შეტანილი მონაცემები განახლებულია 55-ე და 64-ე მუხლების შესაბამისი დებულებების თანახმად;
  - (d) სამგზავრო ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული ტერიტორიული ვალიდურობით, 44-ე მუხლის შესაბამისად;
  - (e) ETIAS-ის სხვა ეროვნულ განყოფილებებსა და ევროპოლთან კოორდინაციის უზრუნველყოფა, 28-ე და 29-ე მუხლებში მოხსენიებულ კონსულტაციებთან დაკავშირებით;
  - (f) განმცხადებელთათვის ინფორმაციის მიწოდება აპელაციის პროცედურის შესახებ, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, 37(3) მუხლის შესაბამისად;
  - (g) სამგზავრო ნებართვის გაუქმება და აღდგენა, მე-40 და 41-ე მუხლების შესაბამისად.
3. წევრმა სახელმწიფოებმა ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები უნდა უზრუნველყონ სათანადო რესურსებით თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, წინამდებარე რეგულაციაში დადგენილი ვადების შესაბამისად.

### *მუხლი 9*

#### **ETIAS-ის სკრინინგის საბჭო**

1. ETIAS-ის სკრინინგის საბჭო, საკონსულტაციო ფუნქციებით, შეიქმნა საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ფარგლებში. მასში უნდა შედიოდნენ წარმომადგენლები ETIAS-ის თითოეული ეროვნული განყოფილებიდან, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოდან და ევროპოლიდან.
2. ETIAS-ის სკრინინგის საბჭოს კონსულტაციისთვის უნდა მიმართოს:
  - (a) ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ, რათა განსაზღვროს, დააწესოს, შეამოწმოს *ex ante*, განხორციელოს, შეაფასოს *ex post*, შეასწოროს და წაშალოს განსაკუთრებული რისკების ინდიკატორები, 33-ე მუხლის შესაბამისად;
  - (b) წევრმა სახელმწიფოებმა 34-ე მუხლში გათვალისწინებული ETIAS-ის საკონტროლო სიის განხორციელებაზე;
  - (c) ევროპოლმა 34-ე მუხლში გათვალისწინებული ETIAS-ის საკონტროლო სიის განხორციელებაზე.
3. ETIAS-ის სკრინინგის საბჭო უნდა გამოსცემდეს დასკვნებს, სახელმძღვანელო მითითებებს, რეკომენდაციებსა და საუკეთესო პრაქტიკებს მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისათვის. რეკომენდაციების გაცემისას, ETIAS-ის სკრინინგის საბჭო უნდა ითვალისწინებდეს ETIAS-ის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმძღვანელო საბჭოს გაცემულ რეკომენდაციებს.

4. ETIAS-ის სკრინინგის საბჭო უნდა იკრიბებოდეს ყოველი საჭიროების შემთხვევაში და მინიმუმ წელიწადში ორჯერ. შეხვედრების ხარჯები და ორგანიზება უნდა გასწიოს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ.
5. ETIAS-ის სკრინინგის საბჭომ შეიძლება კონსულტაცია გაიაროს ETIAS-ის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმძღვანელო საბჭოსთან ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე, კერძოდ, პირად ცხოვრებასთან, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დისკრიმინაციის აღკვეთასთან მიმართებით.
6. ETIAS-ის სკრინინგის საბჭომ პირველი შეხვედრისას უნდა მიიღოს რეგლამენტი მისი წევრების მარტივი უმრავლესობით.

### *მუხლი 10*

#### **ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭო ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში**

1. ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭო ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში შეიქმნა როგორც დამოუკიდებელი ორგანო, საკონსულტაციო და შეფასების ფუნქციით. საბჭოში უნდა შედიოდნენ შემდეგი პირები, თავიანთი პირვანდელი უფლებამოსილებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვის გარეშე: საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ფუნდამენტურ უფლებათა ოფიცერი, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს ფუნდამენტურ უფლებათა საკონსულტაციო ფორუმის წარმომადგენელი, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის წარმომადგენელი, (EU) 2016/679 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საბჭოს წარმომადგენელი და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს წარმომადგენელი.
2. ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭომ ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში რეგულარულად უნდა ჩაატაროს შეფასებები და გამოსცეს რეკომენდაციები ETIAS-ის სკრინინგის საბჭოსთვის იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს განაცხადთა განხილვა და 33-ე მუხლის განხორციელება ფუნდამენტურ უფლებებზე, კერძოდ, პირად ცხოვრებაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.
- ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭო ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში ასევე მხარს უნდა უჭერდეს ETIAS-ის სკრინინგის საბჭოს თავისი ფუნქციების შესრულებაში, როცა ეს უკანასკნელი მიმართავს მას ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე კონსულტაციისათვის, კერძოდ, პირად ცხოვრებაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.
- ETIAS-ის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმძღვანელო საბჭოს ხელი უნდა მიუწვდებოდეს აუდიტის შედეგებზე, რომელიც გათვალისწინებულია 7(2) მუხლის (e) ქვეპუნქტში.
3. ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭო ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში უნდა იკრიბებოდეს ყოველი საჭიროების შემთხვევაში და მინიმუმ წელიწადში ორჯერ. შეხვედრების ხარჯები და ორგანიზება უნდა გასწიოს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ. შეხვედრები უნდა გაიმართოს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს შენობაში. შეხვედრების სამდივნოს ფუნქცია უნდა შეასრულოს

საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ. ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭომ ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში პირველი შეხვედრისას უნდა მიიღოს რეგლამენტი მისი წევრების მარტივი უმრავლესობით.

4. ETIAS-ის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმძღვანელო საბჭოს ერთ წარმომადგენელს უნდა იწვევდნენ ETIAS-ის სკრინინგის საბჭოს შეხვედრებზე მრჩევლის რანგში. ETIAS-ის ფუნდამენტურ უფლებათა სახელმძღვანელო საბჭოს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ETIAS-ის სკრინინგის საბჭოს ინფორმაციასა და ფაილებზე.

5. ETIAS-ის სახელმძღვანელო საბჭომ ფუნდამენტურ უფლებათა საკითხებში უნდა მოამზადოს წლიური ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

### *მუხლი 11*

#### **EU-ს საინფორმაციო სისტემებთან ფუნქციონალური თავსებადობა**

1. საჭიროა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემას, EU-ს საინფორმაციო სისტემასა და ევროპოლის მონაცემებს შორის ფუნქციონალური თავსებადობის უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს მე-20 მუხლში გათვალისწინებული შემოწმება.

2. ETIAS-თან ფუნქციონალური თავსებადობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები სამართლებრივ აქტებში, რასაც ეფუძნება EU-ს საინფორმაციო სისტემები, ასევე ამ რეგულაციაზე შესაბამისი დებულებების დამატება ცალკე სამართლებრივი ინსტრუმენტის საგანი უნდა გახდეს.

### *მუხლი 12*

#### **ინფორმაციის გამოთხოვა ინტერპოლის მონაცემთა ბაზიდან**

ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ინფორმაცია უნდა გამოითხოვოს მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების ინტერპოლის ბაზიდან (Interpol Stolen and Lost Travel Document database - SLTD), ასევე, ინტერპოლის შეტყობინებებთან დაკავშირებულ სამგზავრო დოკუმენტთა (Interpol Travel Documents Associated with Notices database - TDAWN) მონაცემთა ბაზიდან. მონაცემთა ნებისმიერი გამოთხოვა და შემოწმება ისე უნდა განხორციელდეს, რომ არანაირი ინფორმაცია არ მივიდეს ინტერპოლის სასიგნალო ინფორმაციის მფლობელამდე.

### *მუხლი 13*

#### **ETIAS-ში დაცულ მონაცემებზე წვდომა**

1. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე ექსკლუზიური წვდომა უნდა ჰქონდეს შესაბამისად უფლებამოსილ პერსონალს ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებიდან და ETIAS-ის ეროვნული განყოფილებებიდან.

2. სასაზღვრო უწყებათა წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე 47-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ინფორმაციის მოძიებით გარე საზღვრის გამტარ პუნქტში მყოფი პირის სამგზავრო ნებართვის სტატუსის შესახებ და იმ



მონაცემებით, რომლებიც გათვალისწინებულია 47(2) მუხლის (a), (c) და (d) ქვეპუნქტებში. დამატებით, სასაზღვრო უწყებებმა ავტომატურად უნდა მიიღონ ინფორმაცია დროშებით მონიშვნის შესახებ 36(2) და (3) მუხლების შესაბამისად, ასევე დროშებით მონიშვნის მიზეზებზე.

გამონაკლის შემთხვევებში, როცა დროშით მონიშვნის გამო, რეკომენდებულია მეორე რიგის შემოწმება საზღვარზე ან საჭიროა დამატებითი ვერიფიკაცია მეორე რიგის შემოწმებისათვის, სასაზღვრო უწყებებს უნდა მიეცეთ წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რასაც ითვალისწინებს 39(1) მუხლის (e) ქვეპუნქტი ან 44(6) მუხლის (f) ქვეპუნქტი.

3. გადამზიდავთა წვდომა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე 45-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს ამ სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობით პირის სამგზავრო ნებართვის სტატუსზე.

4. საიმიგრაციო ორგანოების წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე 49-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს ინფორმაციის მოპოვებით წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირის სამგზავრო ნებართვის სტატუსზე და ზოგიერთი მონაცემით, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ მუხლში.

საიმიგრაციო ორგანოების წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე 65(3) მუხლის შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს აღნიშნულ მუხლში დასახელებული მონაცემებით.

5. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოყოს უფლებამოსილი ეროვნული ორგანო, მოხსენიებული წინამდებარე მუხლის 1, 2 და 4 პუნქტებში, ხოლო ამ ორგანოების სია დაუყოვნებლივ მიაწოდოს eu-LISA-ს, 87(2) მუხლის თანახმად. ამ სიაში უნდა განისაზღვროს, ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე წვდომა რომელი მიზნისთვის აქვს თითოეული ორგანოს სათანადოდ უფლებამოსილ პერსონალს, წინამდებარე მუხლის 1, 2 და 4 პუნქტების შესაბამისად.

#### *მუხლი 14*

#### **დისკრიმინაციის აღკვეთა და ფუნდამენტური უფლებები**

პერსონალური მონაცემების დამუშავებას ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში ნებისმიერი მომხმარებლის მიერ არ უნდა მოჰყვეს შედეგად მესამე ქვეყნის მოქალაქეების დისკრიმინაცია არანაირი საფუძვლით, იქნება ეს სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური მახასიათებლები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან ნებისმიერი სხვა მოსაზრება, ეროვნულ უმცირესობათა კუთვნილება, ქონება, დაბადების ადგილი, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია. მონაცემთა დამუშავების პროცესში სრულად უნდა იყოს დაცული ადამიანის ღირსება, ხელშეუხებლობა და ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის, პირადი ცხოვრების პატივისცემა და პერსონალური მონაცემების დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებს, ხანდაზმულებს და შეზღუდული შესაძლებლობის პირებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესები გასათვალისწინებელია პირველ რიგში.

**თავი II**  
**განაცხადი**

*მუხლი 15*

**პრაქტიკული ნაბიჯები განაცხადის წარდგენისათვის**

1. განმცხადებლებმა განაცხადი უნდა წარადგინონ ელექტრონულად, განაცხადის ფორმის შევსებით შესაბამის საჯარო ვებგვერდზე ან მობილური ტელეფონის აპლიკაციაში, ნებისმიერ დაგეგმილ მგზავრობამდე საკმარისად ადრე, ან თუ უკვე იმყოფებიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სამგზავრო ნებართვის ვადის ამოწურვამდე.
2. სამგზავრო ნებართვის მფლობელებს შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი ახალი ნებართვის ასაღებად არსებული ვადის ამოწურვამდე 120 დღით ადრე.  
სამგზავრო ნებართვის ამოწურვამდე 120 დღით ადრე, ETIAS-ის ცენტრალური სისტემა ელექტრონული ფოსტით ავტომატურად შეატყობინებს სამგზავრო ნებართვის მფლობელს:
  - (a) სამგზავრო ნებართვის ვადის ამოწურვის თარიღს;
  - (b) ახალი სამგზავრო ნებართვის ასაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას;
  - (c) მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობის ვალდებულებას წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნის მთელ მანძილზე.
3. სამგზავრო ნებართვის მიზნებისათვის ნებისმიერი შეტყობინება განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტით იმ მისამართზე, რომელიც მან მიუთითა განაცხადის ფორმაში, როგორც ეს აღნიშნულია 17(2) მუხლის (გ) ქვეპუნქტში.
4. განაცხადის წარდგენა შეუძლია თავად განმცხადებელს ან მისი სახელით მის მიერ უფლებამოსილ სხვა პირს ან კომერციულ შუამავალ კომპანიას.
5. კომისიამ, აღმასრულებელი აქტის მეშვეობით, უნდა შექმნას ფორმა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოხსენიებული კომერციული შუამავლების მხრიდან არაკეთილსინდისიერ მოქცევაზე შეტყობინება. აღნიშნული ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებულ შესაბამის საჯარო ვებგვერდზე ან მობილური ტელეფონის აპლიკაციაში. აღნიშნული ფორმები შევსების შემდეგ უნდა გაიგზავნოს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებაში, რომელიც სათანადო ზომებს მიიღებს, მათ შორის, რეგულარულად მიაწვდის ამის შესახებ ანგარიშს კომისიას. ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

*მუხლი 16*

**საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია**

1. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც მოეთხოვებათ სამგზავრო ნებართვის

ფლობა, წარადგინონ შესაბამისი განაცხადი და განაცხადის ფორმით მოთხოვნილი მონაცემები, მე-17 მუხლის თანახმად და გადაიხადონ სამგზავრო ნებართვის საფასური.

2. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია ფართოდ და მარტივად ხელმისაწვდომს უნდა ხდიდეს განაცხადის ფორმას სრულიად უფასოდ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჯარო ვებგვერდისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციის ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

3. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების ყველა ოფიციალურ ენაზე.

4. თუ (EC) No539/2001 რეგულაციის II დანართში ჩამოთვლილი ქვეყნების ოფიციალური ენა (ენები) არ ემთხვევა მე-3 პუნქტში აღნიშნულ ენებს, eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ საჯარო ვებგვერდსა და მობილური ტელეფონის აპლიკაციაში, აღნიშნული ქვეყნების, სულ მცირე, ერთ ოფიციალურ ენაზე მაინც იყოს ხელმისაწვდომი საინფორმაციო ფურცელი, განმარტებითი ინფორმაცია ETIAS-ის შესახებ, განაცხადის წარდგენის პროცედურა, საჯარო ვებგვერდისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციის გამოყენების ინსტრუქცია, განაცხადის შევსების დეტალური მითითებები. თუ რომელიმე ასეთ ქვეყანას ერთზე მეტი ოფიციალური ენა აქვს, ასეთი საინფორმაციო ფურცლები საჭირო გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ენათაგან არცერთი არ შეესაბამება მე-3 პუნქტში მოხსენიებულ ენას.

5. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელთათვის, თუ რომელი ენის გამოყენებაა შესაძლებელი განაცხადის ფორმის შესავსებად.

6. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია შესაძლებლობას უნდა აძლევდეს განმცხადებელს, ისარგებლოს პირადი ანგარიშის მომსახურებით, რათა საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია.

7. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია უნდა აწვდიდეს ინფორმაციას განმცხადებელს მისი გასაჩივრების უფლების შესახებ, ამ რეგულაციის საფუძველზე, თუ სამგზავრო ნებართვა უარყოფილია, გაუქმებულია ან ანულირებულია. ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ცნობებს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაზე, უფლებამოსილ ორგანოებზე, საჩივრის წარდგენაზე, გასაჩივრების ვადებსა და ნებისმიერი სახის დახმარებაზე, რომელიც შეიძლება პირს გაუწიოს მონაცემთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა.

8. საჯარო ვებგვერდი და მობილური ტელეფონის აპლიკაცია საშუალებას უნდა აძლევდეს განმცხადებელს მიუთითოს, რომ მისი მგზავრობის მიზანი უკავშირდება ჰუმანიტარულ საკითხებს ან საერთაშორისო ვალდებულებებს.

9. საჯარო ვებგვერდი უნდა მოიცავდეს 71-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

10. კომისიამ, აღმასრულებელი აქტის მეშვეობით, უნდა მიიღოს საჯარო ვებგვერდისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციის მუშაობის დეტალური წესები, მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების დეტალური წესები, რომლებიც გამოიყენება საჯარო ვებგვერდსა და მობილური ტელეფონის აპლიკაციასთან მიმართებით. აღნიშნული დეტალური წესები უნდა

ეფუძნებოდეს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკების მენეჯმენტსა და მონაცემთა დაცვის პრინციპებს, შინაარსითა და ფორმით. ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

### მუხლი 17

#### განაცხადის ფორმა და განმცხადებლის პერსონალური მონაცემები

1. თითოეულმა განმცხადებელმა შევსებული განაცხადის ფორმა უნდა წარადგინოს დეკლარაციასთან ერთად, რითაც დაადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ავთენტურია, სრულია, სწორია და სანდოა, ასევე უტყუარია და სანდო მასში გაკეთებული განცხადებები. თითოეულმა განმცხადებელმა ასევე უნდა დაადასტუროს, რომ მისთვის გასაგებია ქვეყანაში შესვლის პირობები, როგორც გათვალისწინებულია (EU) 2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლში და მას შეიძლება მოსთხოვონ დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა თითოეული შესვლის შემთხვევაში. არასრულწლოვნებმა განაცხადის ფორმა უნდა წარადგინონ ელექტრონულად, რომელსაც ხელმოწერით დაადასტურებს მუდმივი ან დროებითი მშობლობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონიერი მეურვე.

2. განმცხადებელმა განაცხადის ფორმით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

(a) გვარი, სახელ(ებ)ი, დაბადების გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, დაბადების ქვეყანა, სქესი, მოქმედი მოქალაქეობა, მშობლების სახელ(ებ)ი;

(b) სხვა სახელები (ზედმეტსახელი, შემოქმედებითი ფსევდონიმი, ჩვეულებრივი სახელ(ებ)ი), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(c) სხვა მოქალაქეობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(d) მგზავრობის დოკუმენტის ტიპი, ნომერი და გაცემის ქვეყანა;

(e) მგზავრობის დოკუმენტის გაცემისა და ვადის გასვლის თარიღები;

(f) განმცხადებლის სახლის მისამართი, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მისი საცხოვრებელი ქალაქი და ქვეყანა;

(g) ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ტელეფონის ნომრები;

(h) განათლება (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი ან არცერთი);

(i) საქმიანობა (საქმიანობის სფერო); თუ განაცხადი განიხილება არაელექტრონულად, 26-ე მუხლით გაწერილი პროცედურის შესაბამისად, პასუხისმგებელმა წევრმა სახელმწიფომ, 27-ე მუხლის თანახმად, შეიძლება განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია მის სამუშაო ადგილზე, თანამდებობის ზუსტი დასახელება, დამქირავებელი ან, მოსწავლის შემთხვევაში, სასწავლო დაწესებულების დასახელება;

(j) წევრი სახელმწიფო, რომელშიც პირველად შევა და, არასავალდებულოდ, პირველი საცხოვრებელი მისამართი;

(k) არასრულწლოვანთათვის: გვარი და სახელ(ებ)ი, საცხოვრებელი მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და, თუ ხელმისაწვდომია, მშობლობის უფლების მქონე პირის ან კანონიერი მეურვის ტელეფონის ნომერი;

(l) თუ პირი აცხადებს, რომ აქვს ოჯახის წევრის სტატუსი, მოხსენიებული 2(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში:

(i) მისი, როგორც ოჯახის წევრის, სტატუსი;

(ii) გვარი, სახელ(ებ)ი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, დაბადების ქვეყანა, მოქმედი მოქალაქეობა, საცხოვრებელი სახლის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და, თუ შესაძლებელია, ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერი, ვისთანაც განმცხადებელს ოჯახური ბმა აქვს;

(iii) მისი ოჯახური ბმა ოჯახის წევრთან 2004/38/EC დირექტივის 2(2) მუხლის თანახმად;

(m) თუ განაცხადი განმცხადებლის ნაცვლად შეავსო სხვა პირმა, მისი გვარი, სახელ(ებ)ი, კომპანიის ან ორგანიზაციის სახელი, სადაც ეს რელევანტურია, ელექტრონული ფოსტის მისამართი, იმ პირის საფოსტო მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ შესაძლებელია, ნათესაური კავშირი განმცხადებელთან და ხელმოწერილი დეკლარაცია წარმომადგენლობის შესახებ.

3. განმცხადებელმა უნდა ამოარჩიოს მისი საქმიანობა (საქმიანობის სფერო) წინასწარ მოწოდებული ჩამონათვალიდან. კომისიამ უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად, ჩამონათვალის წინასწარ მოსამზადებლად.

4. დამატებით, განმცხადებელმა უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

(a) ყოფილა თუ არა ნასამართლელი რომელიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დანართში მოცემული ჩამონათვალიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში ან ტერორისტულ დანაშაულში ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამასთან, თუ ასეა, როდის და რომელ ქვეყანაში;

(b) იმყოფებოდა თუ არა ომსა ან კონფლიქტის ზონაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და თუ კი, ყოფნის მიზეზები;

(c) ხომ არ გამოუტანიათ მის მიმართ გადაწყვეტილება, რაც აიძულებდა მას, დაეტოვებინა წევრი სახელმწიფოს ტერიტორია ან რომელიმე მესამე ქვეყნის ტერიტორია (EC) No 539/2001 რეგულაციის II დანართის ჩამონათვალიდან ან ხომ არ გამოუტანიათ მის მიმართ უკან დაბრუნების გადაწყვეტილება ბოლო 10 წლის განმავლობაში.

5. კომისიამ უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად და განსაზღვროს ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული შეკითხვების შინაარსი და ფორმატი. აღნიშნული შეკითხვების შინაარსი და ფორმატი უნდა იყოს იმგვარი, რომ განმცხადებლებმა შეძლონ მკაფიო და ზუსტი პასუხების გაცემა.

6. თუ განმცხადებელმა დადებითი პასუხი გასცა რომელიმე კითხვას მე-4 მუხლში მოცემული ჩამონათვალიდან, იგი ვალდებულია უპასუხოს დამატებით კითხვებს განაცხადის ფორმაში, პასუხის ამორჩევით წინასწარ მოცემული პასუხების ჩამონათვალიდან. კომისიამ

უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად, რათა განსაზღვროს აღნიშნული დამატებითი შეკითხვებისა და მათზე წინასწარ განსაზღვრული პასუხების შინაარსი და ფორმატი.

7. მე-2 და მე-4 პუნქტებში მოხსენიებული მონაცემები განმცხადებელმა ფორმაში უნდა შეიტანოს ლათინური ასოებით.

8. განაცხადის ფორმის წარდგენისას, ETIAS-ის საინფორმაციო სისტემამ უნდა შეინახოს IP მისამართი, საიდანაც განაცხადის ფორმა წარადგინეს.

9. კომისიამ, აღმასრულებელი აქტების მეშვეობით, უნდა განსაზღვროს მოთხოვნები განაცხადის ფორმაში შესატანი წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების ფორმატთან მიმართებით. ასევე, პარამეტრები და ვერიფიკაციის საშუალებები, რაც უზრუნველყოფს განაცხადის სრულად შევსებას და მონაცემების ერთგვაროვნებას. აღნიშნული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

### *მუხლი 18*

#### **სამგზავრო ნებართვის საფასური**

1. სამგზავრო ნებართვის საფასური 7 ევროს ოდენობით განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს თითოეული განაცხადისათვის.

2. განაცხადის წარდგენისას სამგზავრო ნებართვის საფასურისაგან შეიძლება გათავისუფლდნენ განმცხადებლები 18 წელს ქვემოთ და 70 წელს ზემოთ.

3. სამგზავრო ნებართვის საფასური გადაიხდება ევროში.

4. კომისიამ, 89-ე მუხლის შესაბამისად, უნდა მიიღოს დელეგირების აქტები სამგზავრო ნებართვის საფასურის გადახდის მეთოდებსა და პროცესზე, ასევე საფასურის შესაძლო ცვლილებაზე. საფასურის ცვლილებისას გასათვალისწინებელია ფასების ნებისმიერი ზრდა, გათვალისწინებული 85-ე მუხლში.

### **თავი III**

**განაცხადის ფაილის შექმნა და განაცხადის განხილვა ETIAS -ის ცენტრალური სისტემის მიერ**

### *მუხლი 19*

#### **დასაშვებობა და განაცხადის ფაილის შექმნა**

1. განაცხადის წარდგენისთანავე, ETIAS-ის საინფორმაციო სისტემამ ავტომატურად უნდა შეამოწმოს:

(a) შევსებულია თუ არა განაცხადის ფორმის ყველა გრაფა და მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რაც ჩამოთვლილია მე-17 მუხლის (2) და (4) პუნქტებში;

(b) გადახდილია თუ არა სამგზავრო ნებართვის საფასური.

2. თუ 1-ელი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტების პირობები დაკმაყოფილებულია, განაცხადი ჩაითვლება დაშვებულად. ამის შემდეგ ETIAS-ის ცენტრალური სისტემა დაუყოვნებლივ ავტომატურად ქმნის განაცხადის ფაილს და მიანიჭებს მას განაცხადის ნომერს.

3. განაცხადის ფაილის შექმნის შემდეგ, ETIAS-ის ცენტრალური სისტემა ჩაიწერს და შეინახავს შემდეგ მონაცემებს:

(a) განაცხადის ნომერს;

(b) ინფორმაციას განაცხადის სტატუსზე, რომელიც აღნიშნავს, რომ მოთხოვნილია სამგზავრო ნებართვა;

(c) მე-17 მუხლის მე-(2) პუნქტში და, სადაც რელევანტურია, ამავე მუხლის მე-(4) და მე-(6) პუნქტებში გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, მგზავრობის დოკუმენტის გამცემი ქვეყნის სამნიშნა კოდს;

(d) მე-17 მუხლის მე-(8) პუნქტში გათვალისწინებულ მონაცემებს;

(e) განაცხადის ფორმის წარდგენის თარიღსა და დროს, ასევე ინფორმაციას სამგზავრო ნებართვის საფასურის წარმატებით გადახდაზე და გადახდის დამადასტურებელ უნიკალურ ნომერს.

4. განაცხადის ფაილის შექმნის შემდეგ, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა განსაზღვროს, ამავე განმცხადებელს ხომ არ ჰქონია წარდგენილი სხვა განაცხადი ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში. ამისათვის მე-17 მუხლის მე-(2) პუნქტის (a) ქვეპუნქტში დასახელებულ მონაცემებს ადარებს სისტემაში შენახულ მონაცემებს. თუ ეს დადასტურდა, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ახალი განაცხადის ფაილი უნდა დაუკავშიროს ნებისმიერ წინა არსებულ ფაილს, რომელიც იმავე განმცხადებლისათვის შეიქმნა.

5. განაცხადის ფაილის შექმნის შემდეგ, განმცხადებელმა მყისიერად უნდა მიიღოს შეტყობინება ელექტრონულ ფოსტაზე განმარტებით, რომ განაცხადის განხილვის პროცესში, განმცხადებელს შეიძლება ეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენა ან, გამონაკლის შემთხვევებში, გასაუბრებაზე მისვლა. აღნიშნული შეტყობინება უნდა მოიცავდეს:

(a) ინფორმაციას განაცხადის სტატუსზე, რომელიც ადასტურებს სამგზავრო ნებართვის მისაღებად განაცხადის წარდგენას; და

(b) განაცხადის ნომერს.

განაცხადმა შესაძლებლობა უნდა მისცეს განმცხადებელს, გამოიყენოს შემოწმების ინსტრუმენტი, რომელსაც ითვალისწინებს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (h) ქვეპუნქტი.

## მუხლი 20

### ავტომატური დამუშავება

1. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატურად უნდა დაამუშაოს განაცხადის ფაილები, რათა გამოავლინოს საყურადღებო მონაცემთა შესაძლო დამთხვევა. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ინდივიდუალურად უნდა დაამუშაოს თითოეული ფაილი.

2. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (a), (b), (c), (d), (f), (g), (j), (k) და (m) ქვეპუნქტებში და მე-8 პუნქტში გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემები უნდა შეადაროს მონაცემებს ჩანაწერში, ფაილსა ან რეგისტრირებულ სასიგნალო ინფორმაციაში, რომლებიც დაცულია მონაცემთა ბაზებში ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, SIS, EES, VIS, Eurodac, Europol, Interpol SLTD და TDAWN.

კერძოდ, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გამოავლინოს:

- (a) განაცხადისათვის გამოყენებული სამგზავრო დოკუმენტი ხომ არ შეესაბამება სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც SIS-ში გაცხადებულია დაკარგულად, მოპარულად, უკანონოდ მითვისებულად ან ვადაგასულად;
- (b) განაცხადისათვის გამოყენებული სამგზავრო დოკუმენტი ხომ არ შეესაბამება სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც SLTD-ში გაცხადებულია დაკარგულად, მოპარულად, უკანონოდ მითვისებულად ან ვადაგასულად;
- (c) SIS-ში განმცხადებელზე ხომ არ არის სასიგნალო ინფორმაცია, რომ მას უარი ეთქვა შესვლასა და ყოფნაზე;
- (d) SIS-ში განმცხადებელზე ხომ არ არის სასიგნალო ინფორმაცია, რომ ის იძებნება დაპატიმრების მიზნით, დაკავებაზე ევროპული ორდერის საფუძველზე ან იძებნება ექსტრადირების მიზნით;
- (e) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ხომ არ არის ინფორმაცია განმცხადებელსა და სამგზავრო დოკუმენტზე, რომ მას უარი უთხრეს სამგზავრო ნებართვაზე ან გააუქმეს ან ანულირება გაუკეთეს მას;
- (f) განმცხადებლის სამგზავრო დოკუმენტთან დაკავშირებით მოწოდებული მონაცემები ხომ არ შეესაბამება სამგზავრო ნებართვის სხვა განაცხადს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, რომელიც ასოცირებულია პირადობის განსხვავებულ მონაცემებთან, 17(2) მუხლის (a) ქვეპუნქტში მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად;
- (g) EES-ში ხომ არ არის ინფორმაცია განმცხადებელზე, რომ ის ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით რჩება ქვეყანაში ან წარსულში დარჩა ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით;
- (h) EES-ში ხომ არ არის ინფორმაცია განმცხადებელზე, რომ მას უარი ეთქვა შესვლაზე;
- (i) VIS-ში ხომ არ არის ინფორმაცია, რომ განმცხადებელს უარი უთხრეს მოკლევადიან ვიზაზე, ან მისი ვიზა ანულირებულია ან გაუქმებულია;



(j) შეესაბამება თუ არა განაცხადში მოწოდებული მონაცემები ევროპოლში აღრიცხულ მონაცემებს;

(k) ხომ არ არის განმცხადებელი რეგისტრირებული Eurodac-ში;

(l) განაცხადისათვის გამოყენებული სამგზავრო დოკუმენტი შეესაბამება თუ არა TDAWN-ის ფაილში დაცულ სამგზავრო დოკუმენტს;

(m) არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში, მშობლობის უფლების მქონე პირი ან კანონიერი მეურვე ხომ არ არის:

(i) ძებნილი დაპატიმრების მიზნით, დაკავებაზე ევროპული ორდერის საფუძველზე ან იძებნება ექსტრადირების მიზნით SIS-ის ინფორმაციით;

(ii) ხომ არ უთხრეს უარი შესვლასა და ყოფნაზე SIS-ის ინფორმაციით.

3. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა შეამოწმოს, ხომ არ უპასუხა განმცხადებელმა დადებითად რომელიმე კითხვას 17(4) მუხლიდან და ხომ არ მიუთითა ოდენ საცხოვრებელი ქალაქი და ქვეყანა, სახლის მისამართის გარეშე, როგორც ეს აღნიშნულია 17(2) მუხლის (f) ქვეპუნქტში.

4. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (a), (b), (c), (d), (f), (g), (j), (k) და (m) ქვეპუნქტებში და მე-8 პუნქტში გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემები უნდა შეადაროს მონაცემებს, წარმოდგენილს ETIAS-ის საკონტროლო სიაში, 34-ე მუხლის შესაბამისად.

5. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (a), (c), (f), (h) და (i) ქვეპუნქტებში დასახელებული მონაცემები უნდა შეადაროს 33-ე მუხლში ჩამოთვლილ განსაკუთრებული რისკის ინდიკატორებს.

6. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ განაცხადის ფაილს უნდა დაამატოს შესაბამისი შენიშვნა, თუ გამოვლინდა საყურადღებო მონაცემთა რაიმე დამთხვევა მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად განხორციელებული შედარებისას.

7. როცა განაცხადის ფაილში აღრიცხულ მონაცემებთან ვლინდება დამთხვევა მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად შედარების შედეგად, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს, სადაც ეს რელევანტურია, წევრი სახელმწიფო(ები), საიდანაც სისტემაში შეიტანეს მონაცემები, რომლებთან დამთხვევაც გამოვლინდა, და ეს ინფორმაცია აღნიშნოს განაცხადის ფაილში.

8. თუ საყურადღებო მონაცემების დამთხვევა გამოვლინდა მე-2 პუნქტის (j) ქვეპუნქტსა და მე-4 პუნქტში აღნიშნული შედარების კვალად და ეს მონაცემები, რომლებთან დამთხვევაც გამოვლინდა, არ შეუტანია წევრ სახელმწიფოს, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს, ხომ არ შეუტანია ისინი ევროპოლს და ეს ინფორმაცია აღნიშნოს განაცხადის ფაილში.

## მუხლი 21

### ავტომატური დამუშავების შედეგები

1. თუ მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტებით გათვალისწინებული ავტომატური დამუშავება არ გამოავლენს მონაცემთა არანაირ დამთხვევას, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატურად უნდა გასცეს სამგზავრო ნებართვა 36-ე მუხლის შესაბამისად და ამის შესახებ აცნობოს განმცხადებელს 38-ე მუხლის შესაბამისად.
2. თუ მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტებით გათვალისწინებული ავტომატური დამუშავება გამოავლენს ერთ ან რამდენიმე დამთხვევას, განაცხადი უნდა დამუშავდეს 22-ე მუხლში გაწერილი პროცედურით.
3. თუ 22-ე მუხლით ჩატარებული შემოწმება დაადასტურებს, რომ განაცხადის ფაილში აღრიცხული ინფორმაცია ემთხვევა მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტების შესაბამისად ჩატარებული ავტომატური დამუშავებით გამოვლენილ მონაცემებს, ან ამგვარი შემოწმების შედეგად კვლავ რჩება ეჭვი განმცხადებლის ვინაობასთან დაკავშირებით, განაცხადი უნდა დამუშავდეს 26-ე მუხლში გაწერილი პროცედურით.
4. თუ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით განხორციელებული ავტომატური პროცედურა გამოავლენს, რომ განმცხადებელმა დადებითად უპასუხა 17(4) მუხლში ჩამოთვლილ კითხვათაგან რომელიმეს და საყურადღებო მონაცემთა სხვა არანაირი დამთხვევა არ გამოვლინდა, განაცხადი უნდა გადაეგზავნოს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას არაელექტრონული განხილვისათვის, 26-ე მუხლში გაწერილი პროცედურით.

## მუხლი 22

### შემოწმება ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მიერ

1. თუ მონაცემების ავტომატური დამუშავება, მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტების შესაბამისად, გამოავლენს ერთ ან რამდენიმე დამთხვევას, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატურად უნდა შეატყობინოს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას.
2. შეტყობინების შემდეგ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას უნდა ჰქონდეს წვდომა განაცხადის ფაილსა და ყველა დაკავშირებულ ფაილთან, ასევე მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტების შესაბამისი ავტომატური დამუშავებისას გამოვლენილ საყურადღებო მონაცემების დამთხვევის ყველა შემთხვევასთან და ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ მე-20 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად იდენტიფიცირებულ ინფორმაციაზე.
3. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს, განაცხადის ფაილში აღრიცხული მონაცემები ხომ არ შეესაბამება რომელიმეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
  - (a) 33-ე მუხლში გათვალისწინებულ განსაკუთრებული რისკის ინდიკატორებს;
  - (b) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, მათ შორის, 34-ე მუხლში გათვალისწინებულ ETIAS-ის საკონტროლო სიაში წარმოდგენილ მონაცემებს;

(c) EU-ს რომელიმე საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენილ მონაცემებს, რომლებიც გამოითხოვეს;

(d) ევროპოლის მონაცემებს;

(e) ინტერპოლის SLTD ან TDAWN მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილ მონაცემებს.

4. თუ არ გამოვლინდა მონაცემთა შესაბამისობა და არც სხვა რაიმე დამთხვევა მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტების შესაბამისად მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ განაცხადის ფაილიდან უნდა წაშალოს ცრუ სიგნალი და ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატურად გასცეს სამგზავრო ნებართვა 36-ე მუხლის შესაბამისად.

5. თუ განმცხადებლის მონაცემები შეესაბამება ზემოაღნიშნულ მონაცემებს ან კვლავ რჩება ეჭვი მის ვინაობასთან დაკავშირებით, განაცხადი არაელექტრონულად უნდა დამუშავდეს 26-ე მუხლში გაწერილი პროცედურით.

6. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ არაელექტრონული დამუშავება უნდა დაასრულოს მაქსიმუმ 12 საათში განაცხადის ფაილის მიღებიდან.

### *მუხლი 23*

#### **SIS-ის ამოცანების მხარდაჭერა**

1. მე-4 მუხლის (e) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (a), (b) და (d) ქვეპუნქტებში დასახელებული რელევანტური მონაცემები უნდა შეადაროს SIS-ში წარმოდგენილ მონაცემებს, რათა განსაზღვროს, განმცხადებელზე ხომ არ არის სასიგნალო ინფორმაცია, რომ ის

(a) უგზოუკვლოდ დაკარგულია;

(b) იძებნება სამართალდარღვევაში მონაწილეობის გამო,

(c) საჭიროებს ფარულ მეთვალყურეობას ან საგანგებო კონტროლს.

2. თუ 1-ელ პუნქტში აღნიშნული შედარების შედეგად გამოვლინდა საყურადღებო მონაცემთა ერთი ან რამდენიმე დამთხვევა, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატური შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას. ამ უკანასკნელმა უნდა გამოავლინოს, განმცხადებლის პერსონალური მონაცემები შეესაბამება თუ არა სასიგნალო ინფორმაციაში დაცულ პერსონალურ მონაცემებს, რის გამოც დამთხვევა გამოვლინდა. თუ შესაბამისობა დადასტურდა, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ავტომატური შეტყობინება უნდა გაუგზავნოს წევრი სახელმწიფოს SIRENE-ს ბიუროს, რომელმაც ეს სასიგნალო ინფორმაცია შეიყვანა სისტემაში. შესაბამისმა SIRENE-ს ბიურომ შემდეგ კიდეც უნდა შეამოწმოს, განმცხადებლის პერსონალური მონაცემები შეესაბამება თუ არა სასიგნალო ინფორმაციაში დაცულ მონაცემებს, რის გამოც დამთხვევა გამოვლინდა და საპასუხოდ მიიღოს სათანადო ზომები.

ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ასევე უნდა გაუზიაროს ავტომატური შეტყობინება წევრი სახელმწიფოს SIRENE-ს ბიუროს, რომელმაც სისტემაში შეიტანა ის სასიგნალო ინფორმაცია, რასაც მოჰყვა დამთხვევის გამოვლენა SIS-ში, მე-20 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ავტომატური დამუშავების შედეგად, რის შემდეგაც ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ჩაატარა დამატებითი შემოწმება 22-ე მუხლის შესაბამისად. შეტყობინება უნდა აფრთხილებდეს SIRENE-ს ბიუროს, რომ სასიგნალო ინფორმაცია ითვალისწინებს განაცხადის არაელექტრონულ დამუშავებას, 26-ე მუხლის შესაბამისად.

3. წევრი სახელმწიფოს SIRENE-ს ბიუროსათვის - რომელმაც სასიგნალო ინფორმაცია შეიტანა სისტემაში - გაგზავნილი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- (a) გვარ(ებ)ი, სახელ(ებ)ი და ზედმეტსახელები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (b) დაბადების ადგილი და თარიღი;
- (c) სქესი;
- (d) მოქალაქეობა და სხვა მოქალაქეობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (e) წევრი სახელმწიფო, სადაც განმცხადებელი მიზნობრივად აპირებს პირველად გაჩერებას და, თუ ეს შესაძლებელია, პირველი გაჩერების მისამართი;
- (f) განმცხადებლის სახლის მისამართი ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, საცხოვრებელი ქალაქი და ქვეყანა;
- (g) ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის სტატუსის შესახებ, რომელიც მიუთითებს, რომ სამგზავრო ნებართვა გაცემულია, ან უარყოფილია ან განაცხადი გადაცემულია არაელექტრონული განხილვისათვის 26-ე მუხლის შესაბამისად;
- (h) მითითება 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად გამოვლენილ ნებისმიერ საყურადღებო მონაცემების დამთხვევაზე, ასევე, ამ დამთხვევის გამოვლენის თარიღი და დრო.

4. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ განაცხადის ფაილს უნდა დაამატოს მინიშნება 1-ლი პუნქტის შესაბამისად გამოვლენილ საყურადღებო მონაცემების ნებისმიერ დამთხვევაზე.

#### *მუხლი 24*

#### **საგანგებო წესები კავშირის მოქალაქეთა ოჯახის წევრებისათვის ან სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სარგებლობენ თავისუფალი გადაადგილების უფლებით ევროკავშირის სამართლის თანახმად**

1. 2(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში აღნიშნული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის სამგზავრო ნებართვა, როგორც ეს განმარტებულია 3(1) მუხლის მე-5 ქვეპუნქტში, უნდა ჩაითვალოს ამ რეგულაციის თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებად, რომელიც მიუთითებს, რომ არ არსებობს არავითარი ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაყრდნობილი გონივრული საფუძველი დასკვნისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების

ტერიტორიაზე იწვევს უსაფრთხოების ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად.

2. როცა 2(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში მოხსენიებული მესამე ქვეყნის მოქალაქე აკეთებს განაცხადს სამგზავრო ნებართვის მისაღებად, მოქმედებს შემდეგი განსაკუთრებული წესები:

(a) განმცხადებელმა არ უნდა უპასუხოს 17(4) მუხლის (c) ქვეპუნქტის კითხვებს;

(b) მე-18 მუხლში აღნიშნული საფასური უნდა გაუქმდეს.

3. როცა განიხილება 2(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში მოხსენიებული მესამე ქვეყნის მოქალაქის განაცხადი სამგზავრო ნებართვის მისაღებად, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ არ უნდა გამოიკვილოს:

(a) EES-თან კონსულტაციით, როგორც აღნიშნულია 20(2) მუხლის (g) ქვეპუნქტში, ხომ არ რჩება ის ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით ქვეყანაში ან წარსულში ხომ არ დარჩენილა ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით;

(b) ხომ არ არის განმცხადებლის მონაცემები აღრიცხული Eurodac-ში, როგორც აღნიშნულია 37(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში.

განსაკუთრებული რისკის ინდიკატორები, უკანონო იმიგრაციის რისკების საფუძველზე, განმარტებული 33-ე მუხლში, აქ არ გამოიყენება.

4. სამგზავრო ნებართვის განაცხადზე უარი არ უნდა ითქვას უკანონო იმიგრაციის რისკის მოტივით, როგორც ეს აღნიშნულია 37(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში.

5. თუ მე-20 მუხლის შესაბამისად ავტომატური დამუშავებისას გამოვლინდა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა, დაკავშირებული სასიგნალო ინფორმაციასთან შესვლასა და ყოფნაზე უარის გამო, როგორც აღნიშნულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1987/2006 რეგულაციის 24-ე მუხლში<sup>(39)</sup>, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს უარის გადაწყვეტილების საფუძველი, რის შედეგადაც სასიგნალო ინფორმაცია მოხვდა SIS-ში. თუ ეს საფუძველია უკანონო იმიგრაციის რისკი, განაცხადის შეფასებისას სასიგნალო ინფორმაცია გასათვალისწინებელი არ არის. ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ მონაცემები უნდა დაამუშაოს (EC) No 1987/2006 რეგულაციის 25(2) მუხლის შესაბამისად.

6. ასევე მოქმედებს შემდეგი წესები:

(a) 38(1) მუხლში აღნიშნული შეტყობინებით განმცხადებელმა უნდა მიიღოს ინფორმაცია იმ ფაქტზე, რომ გარე საზღვრის გადაკვეთისას მას უნდა შეეძლოს თავისი, როგორც 2(1) მუხლის (c) ქვეპუნქტში აღნიშნული ოჯახის წევრის სტატუსის დადასტურება; შეტყობინება ასევე უნდა მოიცავდეს შეხსენებას, რომ თავისუფალი გადაადგილების უფლების მქონე მოქალაქის ოჯახის წევრს, რომელიც ფლობს სამგზავრო ნებართვას, უფლება აქვს ქვეყანაში შესვლის მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მას თან ახლავს ან მასთან ერთადაა ევროკავშირის მოქალაქე ან მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვს;

(b) 37(3) მუხლში გათვალისწინებული საჩივარი შეიძლება აღიძვრას 2004/38/EC დირექტივის თანახმად;

(c) განაცხადის ფაილის შენახვის პერიოდი, გათვალისწინებული 54(1) მუხლში, უნდა იყოს:

(i) პერიოდი სამგზავრო ნებართვის ვარგისობის ამოწურვამდე;

(ii) ხუთი წელი სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის, მისი ანულისების ან გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან, 37-ე, მე-40 და 41-ე მუხლების თანახმად. თუ ამ ხუთწლიანი პერიოდის გავლამდე წაიშალა მონაცემები, წარმოდგენილი ჩანაწერში, ფაილსა ან სასიგნალო ინფორმაციაში, რომელიც რეგისტრირებულია EU-ს რომელიმე საინფორმაციო სისტემაში, ევროპოლის მონაცემებში, ინტერპოლის SLTD ან TDawn მონაცემთა ბაზაში, ETIAS-ის საკონტროლო სიაში ან წაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ETIAS-ის სკრინინგის წესების საფუძველზე, მაშინ განაცხადის ფაილი უნდა წაიშალოს 7 დღის განმავლობაში აღნიშნული ჩანაწერის, ფაილის ან სასიგნალო ინფორმაციის წაშლის დღიდან. ამ მიზნით, ETIAS-ის ცენტრალური სისტემა რეგულარულად და ავტომატურად უნდა ამოწმდეს, კვლავ ძალაშია თუ არა აქ აღნიშნული განაცხადის ფაილის შენახვისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები. თუ ეს პირობები აღარ კმაყოფილდება, განაცხადის ფაილი ავტომატურად უნდა წაიშალოს.

ახალი განაცხადების დამუშავების გასამარტივებლად, ETIAS-ის სამგზავრო ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ, განაცხადის ფაილი შეიძლება შეინახოს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დამატებითი პერიოდით, მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა აღნიშნული ვადის გავლიდან. თანაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანხმობის მოთხოვნის პასუხად განმცხადებელი თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატავს მონაცემთა დამატებითი ვადით შენახვაზე თანხმობას, ელექტრონულად ხელმოწერილი დეკლარაციის საშუალებით. მოთხოვნა თანხმობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ აშკარად გამოირჩეოდეს სხვა საკითხებისაგან, გასაგები და ადვილად მისაწვდომი ფორმით, მკაფიო და გამოკვეთილი ინგლისური ენის გამოყენებით, (EU)2016/679 რეგულაციის მე-7 მუხლის შესაბამისად.

თანხმობა მოთხოვნილი უნდა იყოს 15(2) მუხლის თანახმად ინფორმაციის მიწოდების შემდეგ. ავტომატურად მიწოდებულმა ინფორმაციამ განმცხადებელს უნდა შეახსენოს მონაცემთა შენახვის მიზანი იმ ინფორმაციის შესაბამისად, რაც აღნიშნულია 71-ე მუხლის (o) პუნქტში.

## თავი IV

### განაცხადის განხილვა ETIAS-ის ეროვნული განყოფილების მიერ

#### მუხლი 25

##### პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო

1. განაცხადთა არაელექტრონულ დამუშავებაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო, 26-ე მუხლის თანახმად („პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო“), უნდა განსაზღვროს ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ შემდეგნაირად:

(a) თუ დადგინდა, რომ მონაცემები, რომლებზე დამთხვევაც მე-20 მუხლის შესაბამისი შემოწმებით გამოვლინდა, მხოლოდ ერთმა წევრმა სახელმწიფომ შეიტანა ან აღნიშნა სისტემაში, მაშინ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო ხდება სწორედ ეს წევრი ქვეყანა;

(b) თუ დადგინდა, რომ მონაცემები, რომლებზე დამთხვევაც მე-20 მუხლის შესაბამისი შემოწმებით გამოვლინდა, რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ შეიტანა ან აღნიშნა სისტემაში, მაშინ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო ხდება:

(i) წევრი სახელმწიფო, რომელმაც შეიტანა ან აღნიშნა უახლესი მონაცემები 20(2) მუხლის (d) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციაზე; ან

(ii) თუ ამ მონაცემთაგან არცერთი არ შეესაბამება 20(2) მუხლის (d) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციას, ის წევრი სახელმწიფო, რომელმაც შეიტანა ან აღნიშნა უახლესი მონაცემები 20(2) მუხლის (c) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციაზე; ან

(iii) თუ ამ მონაცემთაგან არცერთი არ შეესაბამება 20(2) მუხლის (c) ან (d) ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციას, ის წევრი სახელმწიფო, რომელმაც შეიტანა ან აღნიშნა უახლესი მონაცემები 20(2) მუხლის (a) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციაზე;

(c) თუ დადგინდა, რომ მონაცემები, რომლებზე დამთხვევაც მე-20 მუხლის შესაბამისი შემოწმებით გამოვლინდა, სისტემაში შეიტანა ან აღნიშნა რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ, მაგრამ ამ მონაცემთაგან არცერთი არ შეესაბამება 20(2) მუხლის (a), (c) ან (d) ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ სასიგნალო ინფორმაციას, პასუხისმგებელი ხდება ის წევრი სახელმწიფო, რომელმაც შეიტანა ან აღნიშნა უახლესი მონაცემები.

1-ლი პუნქტის (a) და (c) ქვეპუნქტების მიზნებისათვის, დამთხვევა საყურადღებო მონაცემებზე, რომლებიც არ შეუტანია ან აღუნიშნავს წევრ სახელმწიფოს, არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრისას. თუ განაცხადის არაელექტრონული დამუშავების აუცილებლობა არ არის გამოწვეული იმ მონაცემებით, რაც წევრმა სახელმწიფომ შეიტანა ან აღნიშნა სისტემაში, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო ხდება პირველი გაჩერების ქვეყანა.

2. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო უნდა მიუთითოს განაცხადის ფაილში. თუ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას არ შეუძლია განსაზღვროს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო, როგორც ეს აღნიშნულია 1-ელ პუნქტში, ეს უნდა გააკეთოს ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ.

## მუხლი 26

### განაცხადთა არაელექტრონული დამუშავება ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების მიერ

1. თუ მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტებით დადგენილი ავტომატური დამუშავებით გამოვლინდა საყურადღებო მონაცემთა ერთი ან რამდენიმე დამთხვევა, განაცხადი არაელექტრონულად უნდა დაამუშაოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ. ETIAS-ის ამ ეროვნულ განყოფილებას უნდა ჰქონდეს წვდომა განაცხადის ფაილსა და ნებისმიერ დაკავშირებულ ფაილთან, ასევე, მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტებით დადგენილი ავტომატური დამუშავებით გამოვლინებულ საყურადღებო მონაცემთა ნებისმიერ დამთხვევასთან. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა აცნობოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, ვინ შეიტანა ან აღნიშნა სისტემაში საყურადღებო მონაცემები, რომლებზე დამთხვევაც გამოვლინდა მე-20 მუხლის მე-(2) ან მე-(4) პუნქტებში აღნიშნული შედარების შედეგად: ერთმა თუ რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ თუ ევროპოლმა. თუ განისაზღვრა, რომ ინფორმაცია შეიტანა ან აღნიშნა ერთმა ან რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა დააკონკრეტოს ასევე შესაბამისი წევრი სახელმწიფოები.

2. განაცხადის არაელექტრონული დამუშავების კვალად, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა:

(a) გასცეს სამგზავრო ნებართვა; ან

(b) უარი თქვას სამგზავრო ნებართვის გაცემაზე.

3. თუ მე-20 მუხლის მე-(2) პუნქტით დადგენილი ავტომატური დამუშავებით გამოვლინდა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა:

(a) უარი თქვას სამგზავრო ნებართვის გაცემაზე, თუ საყურადღებო მონაცემების დამთხვევა შეესაბამება მე-20(2) მუხლის (a) და (c) ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე შესამოწმებელ მონაცემს;

(b) შეაფასოს უსაფრთხოების ან უკანონო იმიგრაციის რისკები და გადაწყვიტოს, გასცეს სამგზავრო ნებართვა თუ უარი უთხრას მასზე, როცა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა შეესაბამება 20(2) მუხლის (b) და (d)-(m) ქვეპუნქტებში აღნიშნულ რომელიმე მონაცემს.

4. თუ მე-20 მუხლის მე-(3) პუნქტით განხორციელებულმა ავტომატურმა დამუშავებამ გამოავლინა, რომ განმცხადებელმა დადებითად უპასუხა მე-17(4) მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ კითხვას, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ



უნდა შეაფასოს უსაფრთხოების ან უკანონო იმიგრაციის რისკები და გადაწყვიტოს, გასცეს სამგზავრო ნებართვა თუ უარი უთხრას მასზე.

5. თუ მე-20 მუხლის მე-(4) პუნქტით განხორციელებულმა ავტომატურმა დამუშავებამ გამოავლინა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეაფასოს უსაფრთხოების რისკი და გადაწყვიტოს, გასცეს სამგზავრო ნებართვა თუ უარი უთხრას მასზე.

6. თუ მე-20 მუხლის მე-(5) პუნქტით განხორციელებულმა ავტომატურმა დამუშავებამ გამოავლინა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეაფასოს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა და ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი და გადაწყვიტოს, გასცეს სამგზავრო ნებართვა თუ უარი უთხრას მასზე. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ავტომატურად, განსაკუთრებული რისკის ინდიკატორების გამოვლენისთანავე. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა და ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი თითოეულ შემთხვევაში.

7. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემამ უნდა შეინახოს ყველა ჩანაწერი ამ მუხლის შესაბამისად ჩატარებული მონაცემთა თითოეული დამუშავების შესახებ, რაც განხორციელა პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ან წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებებმა, 28-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერები ავტომატურად უნდა შეიქმნას და შეინახოს განაცხადის ფაილში. ისინი უნდა აჩვენებდეს თითოეული ოპერაციის ჩატარების თარიღსა და დროს, კონსულტაციებისათვის გამოყენებულ EU-ს სხვა საინფორმაციო სისტემების მონაცემებს, გამოვლენილ საყურადღებო მონაცემების დამთხვევასთან დაკავშირებულ მონაცემებს და თანამშრომელს, რომელმაც რისკები შეაფასა.

უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა და ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკის შეფასების შედეგები, ასევე სამგზავრო ნებართვის გაცემის ან მასზე უარის გადაწყვეტილების გამამყარებელი დასაბუთება განაცხადის ფაილში უნდა აღრიცხოს თანამშრომელმა, რომელმაც რისკები შეაფასა.

## *მუხლი 27*

### **განმცხადებლისათვის დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მოთხოვნა**

1. თუ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ჩათვალა, რომ განაცხადის ფორმაში განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად, გაიცეს სამგზავრო ნებართვა ან უარი ეთქვას მასზე, მას შეუძლია განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენა. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია უნდა მოითხოვოს წევრ სახელმწიფოსთან 28-ე მუხლის შესაბამისად წარმოებული კონსულტაციის შემდეგ.

2. დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენაზე მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს მე-6(2) მუხლის (f) ქვეპუნქტში აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მომსახურების მეშვეობით, საკონტაქტო ელექტრონულ ინფორმაციაზე, რომელიც განაცხადის ფაილშია მითითებული. დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენაზე მოთხოვნა მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს, რა ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენა მოეთხოვება განმცხადებელს, ასევე იმ ენების ჩამონათვალი, რომელზეც განმცხადებელს ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა მოეთხოვება. აღნიშნულ ჩამონათვალში უნდა შედიოდეს სულ მცირე ინგლისური ან ფრანგული ან გერმანული ენები, თუკი მასში არ შედის მესამე ქვეყნის ოფიციალური ენა, რომელსაც განმცხადებელი მშობლიურ ენად აცხადებს. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ორიგინალი დოკუმენტების ელექტრონული ასლებიც უნდა იქნას მოთხოვნილი. დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, მოთხოვნის მიღებიდან 10 დღეში, განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს პირდაპირ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას პირადი ანგარიშის უსაფრთხო მომსახურების მეშვეობით, რაც მითითებულია მე-6(2) მუხლის (g) ქვეპუნქტში. დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნაში მითითებულ ერთ-ერთ ენაზე. განმცხადებელს არ უნდა მოეთხოვოს ოფიციალური თარგმანის წარმოდგენა. მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია აუცილებლად საჭირო უნდა იყოს ETIAS-ის განაცხადის შესაფასებლად.

3. 1-ელ პუნქტში აღნიშნული დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მოთხოვნის მიზნებისათვის, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა გამოიყენოს ვარიანტების წინასწარ მომზადებული სია. კომისიამ, 89-ე მუხლის შესაბამისად, უნდა მიიღოს დელეგირების აქტები, რათა დაადგინოს ვარიანტების წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალის შინაარსი და ფორმატი.

4. დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ, როცა კვლავ რჩება სერიოზული ეჭვები განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციისა ან დოკუმენტაციის მიმართ, გამონაკლის შემთხვევებში და როგორც უკანასკნელი ზომა, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას შეუძლია განმცხადებელი დაიბაროს გასაუბრებაზე მის ქვეყანაში არსებულ საკონსულოში, რომელიც განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოსაა. გამონაკლის შემთხვევებში და განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე, გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს საკონსულოში, რომელიც მდებარეობს სხვა და არა განმცხადებლის საცხოვრებელ ქვეყანაში. თუ უახლოესი საკონსულო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილიდან 500 კმ-ზე მეტ მანძილზეა დაშორებული, განმცხადებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გასაუბრება აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის დისტანციური არხებით გაიაროს. თუ დისტანცია 500 კმ-ზე ნაკლებია, განმცხადებელი და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება შეიძლება ერთობლივად შეთანხმდნენ აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის დისტანციურ საშუალებათა გამოყენებაზე. თუ გამოიყენება აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებები, გასაუბრება უნდა ჩატაროს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ან, გამონაკლის შემთხვევებში, ერთ-ერთი წევრი ამ

სახელმწიფოს საკონსულომ. აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის დისტანციური საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის სათანადო დონეს.

გასაუბრების მოთხოვნის მიზეზები უნდა აღირიცხოს განაცხადის ფაილში.

5. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა განსაზღვროს მოთხოვნები მე-4 პუნქტში ხსენებულ აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის საშუალებებთან მიმართებით, მათ შორის, მონაცემთა დაცვის, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის წესები, ასევე, წესები მოსახერხებელი ინსტრუმენტების შერჩევისა და შემოწმებისა თუ მათი მუშაობისთვის.

ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

6. მოწვევა გასაუბრებაზე განმცხადებელს უნდა გაუგზავნოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ 6(2) მუხლის (f) ქვეპუნქტში აღნიშნული ელექტრონული ფოსტით მომსახურების მეშვეობით, განაცხადის ფაილში აღნიშნულ საკონტაქტო მისამართზე. გასაუბრებაზე მოწვევა უნდა გაიგზავნოს 72 საათის განმავლობაში განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენიდან, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. გასაუბრებაზე მოწვევა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოწვევის გამგზავნ წევრ სახელმწიფოზე, ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ ვარიანტებზე და შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციას. განმცხადებელი უნდა დაუკავშირდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას ან საკონსულოს რაც შეიძლება მალე, მაგრამ არაუგვიანეს გასაუბრებაზე მოწვევიდან ხუთი დღისა, რათა შეთანხმდნენ გასაუბრებისათვის ორმხრივად მოსახერხებელ დროსა და თარიღზე, ასევე, დისტანციური გასაუბრების შესაძლებლობაზე. გასაუბრება უნდა გაიმართოს მოწვევიდან 10 დღის მანძილზე.

ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ გასაუბრებაზე მოწვევა უნდა აღირიცხოს განაცხადის ფაილში.

7. თუ გასაუბრებაზე მოწვევის კვალად, განმცხადებელი არ დაესწრება მას ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაცხადზე უნდა ითქვას უარი 37(1) მუხლის (გ) ქვეპუნქტის თანახმად. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განმცხადებელს.

8. მე-4 პუნქტში აღნიშნული გასაუბრების მიზნებისათვის, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა მიუთითოს ის ასპექტები, რაზეც ინტერვიუერმა გასაუბრებისას ყურადღება უნდა გაამახვილოს. ეს ასპექტები უნდა უკავშირდებოდეს იმ მიზეზებს, რის გამოც გასაუბრება დაინიშნა.

დისტანციური გასაუბრება აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის საშუალებებით უნდა ჩატარდეს იმ წევრი სახელმწიფოს ენაზე, რომლის ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამაც გასაუბრება მოითხოვა ან დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტაციის წარსადგენ ენაზე.

საკონსულოში ჩატარებული გასაუბრება უნდა გაიმართოს იმ მესამე ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, რომელშიც საკონსულო მდებარეობს, ან ნებისმიერ სხვა ენაზე, რაზეც საკონსულო და განმცხადებელი შეთანხმდებიან.

გასაუბრების შედეგად, ინტერვიუერმა უნდა წარმოადგინოს დასკვნა, რომელშიც დაასაბუთებს მის რეკომენდაციებს.

განხილული ასპექტები და დასკვნა უნდა აღირიცხოს განაცხადის ფაილში გასაუბრების ჩატარების დღესვე.

9. განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მე-2 პუნქტის შესაბამისად, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა აღრიცხოს და შეინახოს ეს ინფორმაცია ან დოკუმენტაცია განაცხადის ფაილში. მე-6 პუნქტის შესაბამისად გასაუბრებისას წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია განაცხადის ფაილს უნდა დაამატოს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ.

განაცხადის ფაილში აღრიცხული გასაუბრებისათვის გამოყენებული ფორმა და დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია გამოიყენება მხოლოდ განაცხადის შეფასებისა და გადაწყვეტილების გამოტანის მიზნებისათვის, ასევე, გასაჩივრების პროცედურის მიზნებისა და იმავე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი განაცხადის განხილვისათვის.

10. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეაჯამოს განაცხადის განხილვა დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენის მომენტიდან ან, სადაც ეს შესაფერისია, გასაუბრების თარიღიდან.

## *მუხლი 28*

### **სხვა წევრი სახელმწიფოების კონსულტაციები**

1. თუ დადგინდა, რომ 22-ე მუხლის თანახმად განხორციელებული შემოწმების შემდეგ, 20(7) მუხლის შესაბამისად გამოვლენილი მონაცემები სისტემაში შეიტანა ან აღნიშნა ერთმა ან რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა შეატყობინოს დაკავშირებული წევრი სახელმწიფო(ები)ს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას და ამით დაიწყოს კონსულტაციის პროცესი მათსა და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას შორის.

2. კონსულტაციის მიზნებისათვის, იმ წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს, რომლებსაც კონსულტაციისათვის მიმართეს, წვდომა უნდა ჰქონდეთ განაცხადის ფაილზე.

3. იმ წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებებმა, რომლებსაც კონსულტაციისათვის მიმართეს, უნდა წარმოადგინონ:

(a) დადებითი დასაბუთებული დასკვნა განაცხადზე; ან

(b) უარყოფითი დასაბუთებული დასკვნა განაცხადზე.

იმ წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომელსაც კონსულტაციისათვის მიმართეს, განაცხადის ფაილში უნდა აღრიცხოს დადებითი თუ უარყოფითი დასკვნა.

4. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ კონსულტაციისათვის ასევე შეიძლება მიმართოს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს, დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნაზე განმცხადებლის პასუხის შემდეგ. თუ ამგვარი დამატებითი ინფორმაცია გამოთხოვილია იმ წევრი სახელმწიფოს სახელით, რომელსაც კონსულტაციისათვის მიმართეს 27(1) მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ კონსულტაცია უნდა გაიაროს ამ წევრ სახელმწიფოსთან, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნაზე განმცხადებლის პასუხის კვალად. ამგვარ შემთხვევებში იმ წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს, რომელთაც კონსულტაციისათვის მიმართეს, ასევე უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის დამატებით ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციასთან, რომელიც წარმოადგინა განმცხადებელმა პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილების მოთხოვნის შედეგად, იმ საკითხების გარშემო, რაზეც კონსულტაციისათვის მიმართეს. თუ კონსულტაციისათვის მიმართეს რამდენიმე წევრ სახელმწიფოს, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია.

5. წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებებმა, რომელსაც კონსულტაციისათვის მიმართეს, ამ შეტყობინებიდან 60 საათში უნდა უპასუხონ. დათქმულ ვადაში პასუხის მიუღებლობა შეიძლება ჩაითვალოს განაცხადზე დადებით პასუხად.

6. კონსულტაციის მანძილზე, მოთხოვნა კონსულტაციისათვის და შემდგომი პასუხები უნდა გადაიციმოდეს 6(2) მუხლის (m) ქვეპუნქტში აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილებისათვის.

7. თუ განაცხადზე უარყოფითი დასკვნა წარმოადგინა თუნდაც ერთი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უარი უნდა განაცხადოს მგზავრობის უფლების 37-ე მუხლის შესაბამისად გაცემაზე. ეს პუნქტი არ უნდა ზღუდავდეს 44-ე მუხლს.

8. თუ აუცილებელია ტექნიკური პრობლემებისა ან გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევებში, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო და წევრი სახელმწიფოები, რომელთანაც საჭიროა კონსულტაცია და ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებს შორის მოთათბირებას, წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

## *მუხლი 29*

### **კონსულტაცია ევროპოლთან**

1. თუ დაგინდა, რომ ამ რეგულაციის 20(8) მუხლის შესაბამისად გამოვლენილი მონაცემები შეიტანა ევროპოლმა, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა აცნობოს მას და, ამავედროულად, დაიწყოს საკონსულტაციო პროცესი ევროპოლსა და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას შორის. ამგვარი კონსულტაცია უნდა წარმართოს (EU)2016/794 რეგულაციის, კერძოდ კი, IV თავის შესაბამისად.

2. თუ კონსულტაცია ევროპოლთან დაიწყო, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ მას უნდა გადასცეს განაცხადის ფაილის რელევანტური მონაცემები და გამოვლენილი საყურადღებო მონაცემების დამთხვევა, რაც აუცილებელია კონსულტაციის მიზნებისათვის.
3. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპოლს არ უნდა ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე განმცხადებლის განათლების შესახებ, რაც აღნიშნულია 17(2) მუხლის (h) ქვეპუნქტში.
4. თუ ევროპოლთან კონსულტაცია დაიწყო 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მან უნდა წარმოადგინოს განაცხადზე დასაბუთებული დასკვნა. აღნიშნული დასკვნა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილებისთვის, რომელმაც ის უნდა აღრიცხოს განაცხადის ფაილში.
5. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ევროპოლს კონსულტაციისათვის შეიძლება მიმართოს მას შემდეგ, რაც მიიღებს განმცხადებლისაგან პასუხს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნაზე. ამგვარ შემთხვევებში ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ევროპოლს უნდა გადასცეს შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც განმცხადებელმა მიაწოდა სამგზავრო ნებართვის მოთხოვნასთან მიმართებით და რაზეც მიმდინარეობს ევროპოლთან კონსულტაცია.
6. ევროპოლმა უნდა უპასუხოს კონსულტაციაზე შეტყობინების მიღებიდან 60 საათში. თუ ევროპოლმა პასუხი არ გასცა დათქმულ ვადაში, ეს ჩაითვლება დადებით პასუხად განაცხადზე.
7. კონსულტაციის მანძილზე, მოთხოვნა კონსულტაციისათვის და შემდგომი პასუხები უნდა გადაეცემოდეს 6(2) მუხლის (m) ქვეპუნქტში აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილებისათვის.
8. თუ ევროპოლი წარმოადგენს უარყოფით დასკვნას განაცხადზე და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ მაინც გადაწყვიტა სამგზავრო ნებართვის გაცემა, მან უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და ეს დასაბუთება აღრიცხოს განაცხადის ფაილში.
9. თუ აუცილებელია ტექნიკური პრობლემების ან გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევებში, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო და ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოსა და ევროპოლს შორის მოთათბირებას, წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

### *მუხლი 30*

#### **განმცხადებლისათვის შეტყობინების ვადები**

მე-19 მუხლის თანახმად დასაშვები განაცხადის წარდგენიდან 96 საათის განმავლობაში განმცხადებელმა უნდა მიიღოს შეტყობინება:

(a) გაიცა თუ არა მისი სამგზავრო ნებართვა თუ უარი მიიღო მასზე; ან

(b) რომ მას მოეთხოვება დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა და ის შეიძლება მიიწვიონ გასაუბრებაზე, ამასთან, მიეთითოს განხილვისათვის საჭირო მაქსიმალური ვადა, 32(2) მუხლის შესაბამისად.

### *მუხლი 31*

#### **შემოწმების ინსტრუმენტი**

კომისიამ განმცხადებლებისათვის უნდა უზრუნველყოს შემოწმების ინსტრუმენტი, რითაც ისინი შეძლებენ შეამოწმონ თავიანთი განაცხადების სტატუსი, ასევე, სამგზავრო ნებართვის ვადა და სტატუსი (ვადა აქვს, უარია, ანუღირებულია ან გაუქმებულია). ეს ინსტრუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო ვებგვერდზე ან მობილური ტელეფონის აპლიკაციით, როგორც ეს აღნიშნულია მე-16 მუხლში.

კომისიამ უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად, შემოწმების ინსტრუმენტის დამატებითი განსაზღვრისათვის.

### *მუხლი 32*

#### **გადაწყვეტილება განაცხადზე**

1. მე-19 მუხლის შესაბამისად დასაშვებ განაცხადზე გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს არაუგვიანეს მისი წარდგენიდან 96 საათში.

2. გამონაკლის შემთხვევებში, როცა მოითხოვება დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა და განმცხადებელს გასაუბრებაზე იწვევენ, ამ მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილი ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს. ამგვარ განაცხადებზე გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 96 საათში. თუ განმცხადებელი დაიბარეს გასაუბრებაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია 27(4) მუხლში, გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს გასაუბრებიდან არაუგვიანეს 48 საათში.

3. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული ვადების ამოწურვამდე, უნდა გამოვიდეს გადაწყვეტილება, რომ

(a) გაიცეს სამგზავრო ნებართვა 36-ე მუხლის თანახმად; ან

(b) უარი ეთქვას სამგზავრო ნებართვაზე 37-ე მუხლის თანახმად.

## თავი V

### ETIAS-ის სკრინინგის წესები და ETIAS-ის საკონტროლო სია

#### მუხლი 33

#### ETIAS-ის სკრინინგის წესები

1. ETIAS-ის სკრინინგის წესები უნდა იყოს ალგორითმი, რომელიც იძლევა პროფილირების შესაძლებლობას, როგორც ეს განმარტებულია (EU)2016/679 რეგულაციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში, ამ რეგულაციის მე-20 მუხლის თანახმად განხორციელებული მონაცემთა შედარების მეშვეობით. კერძოდ, ETIAS-ის ცენტრალური სისტემის განაცხადის ფაილში აღრიცხული მონაცემების შედარებით ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მიერ დადგენილი განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებთან, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უსაფრთხოებაზე, უკანონო იმიგრაციასა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკებზე აქცენტით. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ETIAS-ის სკრინინგის წესები უნდა დაარეგისტროს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში.
2. კომისიამ 89-ე მუხლის შესაბამისად უნდა მიიღოს დელეგირების აქტები, რათა შემდგომში განსაზღვროს უსაფრთხოებას, უკანონო იმიგრაციასა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკთან დაკავშირებული რისკები შემდეგ საფუძვლებზე:
  - (a) EES-ის წარმოებული სტატისტიკა, რომელიც ასახავს ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის დონეს და შესვლაზე უარების რაოდენობას მოგზაურთა გარკვეული ჯგუფისათვის;
  - (b) ETIAS-ის წარმოებული სტატისტიკა, 84-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ასახავს სამგზავრო ნებართვის გაცემაზე უარებს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკის გამო, მოგზაურთა გარკვეული ჯგუფისთვის;
  - (c) ETIAS-ის 84-ე მუხლის შესაბამისად წარმოებული სტატისტიკა და EES-ის წარმოებული სტატისტიკა, რომელიც ასახავს კორელაციას განაცხადების ფორმიდან შეგროვებულ ინფორმაციასა და მგზავრების მიერ ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენას ან შესვლაზე უარებს შორის;
  - (d) წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული, ფაქტობრივ და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ელემენტებით გამყარებული ინფორმაცია უსაფრთხოების განსაკუთრებული რისკების ინდიკატორებსა და წევრი სახელმწიფოების მიერ გამოვლენილ საფრთხეებზე;
  - (e) წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული, ფაქტობრივ და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ელემენტებით გამყარებული ინფორმაცია ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენის დონესა და შესვლაზე უარების რაოდენობაზე მოგზაურთა გარკვეული ჯგუფისთვის, ამ წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში;
  - (f) წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკებზე, ასევე, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ინფორმაცია და რისკების



შეფასება ECDC-ს მიერ, ასევე დაავადებათა აფეთქებების შესახებ, რომელზეც ინფორმაციას ავრცელებს WHO.

3. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა დააკონკრეტოს რისკები, როგორც ეს განსაზღვრულია ამ რეგულაციაში და დელეგირების აქტში, რომელიც მოხსენიებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში. ამ რისკებს უნდა დაეფუძნოს განსაკუთრებული რისკების ინდიკატორები, რომლებიც მოხსენიებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტში. ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

განსაკუთრებული რისკები უნდა გადაიხედოს მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ და, თუ საჭირო გახდა, კომისიამ ახალი აღმასრულებელი აქტი უნდა მიიღოს 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

4. მე-3 პუნქტის თანახმად განსაზღვრულ განსაკუთრებულ რისკებზე დაყრდნობით, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა დაადგინოს განსაკუთრებული რისკების ინდიკატორების ჩამონათვალი, რომელიც შედგება ქვემოთ მოცემულ მონაცემთა კომბინაციისაგან, ერთის ან რამდენიმეს ჩათვლით:

- (a) ასაკი, სქესი, მოქალაქეობა;
- (b) საცხოვრებელი ქვეყანა და ქალაქი;
- (c) განათლების დონე (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი ან სხვა);
- (d) საქმიანობა (საქმიანობის სფერო).

5. განსაკუთრებული რისკის ინდიკატორები უნდა იყოს მიზნობრივი და პროპორციული. ისინი არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაეფუძნოს მხოლოდ პირის სქესსა ან ასაკს. ისინი არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაეფუძნოს ინფორმაციას, რომელსაც გვაძლევს პირის კანის ფერი, რასა, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური ნიშნები, ენა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, რელიგიური ან ფილოსოფიური რწმენა, სავაჭრო გაერთიანების წევრობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება, შეზღუდული შესაძლებლობა ან სექსუალური ორიენტაცია.

6. განსაკუთრებული რისკების ინდიკატორები უნდა განსაზღვროს, დააწესოს, შეამოწმოს *ex ante*, განახორციელოს, შეაფასოს *ex post*, შეასწოროს და წაშალოს ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ, ETIAS-ის სკრინინგის საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ.

#### მუხლი 34

#### ETIAS-ის საკონტროლო სია

1. ETIAS-ის საკონტროლო სია უნდა შედგებოდეს მონაცემებისაგან, რომლებიც უკავშირდება ისეთ ადამიანებს, ვინც ეჭვმიტანილია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენასა თუ თანამონაწილეობაში, ან რომელთა სრული შეფასების საფუძველზე არსებობს ფაქტობრივი მინიშნებები ან გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ისინი ჩაიდენენ ტერორისტულ თუ სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულს. ETIAS-ის

საკონტროლო სია უნდა წარმოადგენდეს ETIAS-ის ცენტრალური სისტემის შემადგენელ ნაწილს.

2. ETIAS-ის საკონტროლო სია უნდა შედგეს ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. მე-2 პუნქტში მოხსენიებული ინფორმაცია ETIAS-ის საკონტროლო სიაში უნდა შეიტანოს ევროპოლმა ისე, რომ არ შეიზღუდოს (EU) 2016/794 რეგულაცია, ასევე წევრმა სახელმწიფოებმა. ევროპოლი ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ ყველა მონაცემზე, რაც შეიტანეს. ETIAS-ის საკონტროლო სია თითოეული მონაცემისათვის უნდა აღნიშნავდეს თარიღს და დროს, როცა ევროპოლმა ან წევრმა სახელმწიფომ ის შეიტანეს.

4. მე-2 პუნქტში მოხსენიებული ინფორმაციის საფუძველზე, ETIAS-ის საკონტროლო სია უნდა შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მონაცემისაგან ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

(a) გვარი;

(b) დაბადების გვარი;

(c) დაბადების თარიღი;

(d) სხვა სახელები (ზედმეტსახელები, შემოქმედებითი ფსევდონიმი, ჩვეულებრივი სახელები);

(e) სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ი (ტიპი, სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის ნომერი და გამცემი ქვეყანა);

(f) სახლის მისამართი;

(g) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

(h) ტელეფონის ნომერი

(i) ფირმის ან ორგანიზაციის სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი;

(j) IP მისამართი.

თუ შესაძლებელია, შემდეგი მონაცემები უნდა დაემატოს რელევანტურ პუნქტებს, რომლებზეც, სულ მცირე, ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან ერთი მონაცემი მაინც არის: სახელები; დაბადების ადგილი, დაბადების ქვეყანა, სქესი და მოქალაქეობა.

### *მუხლი 35*

#### **ETIAS-ის საკონტროლო სიასთან დაკავშირებული**

#### **პასუხისმგებლობები და ამოცანები**

1. ETIAS-ის საკონტროლო სიაში მონაცემების შეტანამდე, ევროპოლმა ან წევრმა სახელმწიფომ უნდა:

(a) განსაზღვროს, არის თუ არა ინფორმაცია ადეკვატური, ზუსტი და საკმარისად მნიშვნელოვანი, რომ იმსახურებს ETIAS-ის საკონტროლო სიაში ჩართვას;

(b) შეაფასოს მონაცემთა პოტენციური გავლენა არაელექტრონულად დამუშავებულ განაცხადთა პროპორციულ რაოდენობაზე;

(c) შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მონაცემები SIS-ში შეტანილ სასიგნალო ინფორმაციას.

2. eu-LISA-მ უნდა შექმნას საგანგებო ინსტრუმენტი 1-ელი პუნქტის (b) ქვეპუნქტის თანახმად შეფასების მიზნებისათვის.

3. თუ 1-ელი პუნქტის (c) ქვეპუნქტის თანახმად შეფასებამ გამოავლინა, რომ მონაცემები შეესაბამება SIS-ში შეტანილ სასიგნალო ინფორმაციას, ის არ უნდა იქნას შეტანილი ETIAS-ის საკონტროლო სიაში. თუ კმაყოფილდება SIS-ში სასიგნალო ინფორმაციის შეტანისათვის მონაცემთა გამოყენების პირობები, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს SIS-ში სასიგნალო ინფორმაციის შეტანას.

4. წევრი სახელმწიფოები და ევროპილი უნდა აგებდნენ პასუხს 34(2) მუხლში მოხსენიებული ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მათ ETIAS-ის საკონტროლო სიაში შეაქვთ, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის განახლებაზე.

5. ევროპოლმა რეგულარულად უნდა ამოწმოს და შეაფასოს იმ მონაცემების სიზუსტე, რაც ETIAS-ის საკონტროლო სიაში შეიტანა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. ანალოგიურად, წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა ამოწმონ და შეაფასონ იმ მონაცემების სიზუსტე, რაც ETIAS-ის საკონტროლო სიაში შეიტანეს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. ევროპოლმა და წევრმა სახელმწიფოებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ და დანერგონ პროცედურა თავიანთი ამ პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

6. აღნიშნული შეფასების შედეგად, წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპოლმა ETIAS-ის საკონტროლო სიიდან უნდა ამოიღონ მონაცემები, თუ დადასტურდა, რომ ძალაში აღარაა ის მიზეზები, რის გამოც ისინი სიაში მოხვდნენ, ან მონაცემები მოძველებულია ან არ არის განახლებული.

7. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებული ETIAS-ის საკონტროლო სია და შეფასების ინსტრუმენტი ტექნიკურად უნდა განავითაროს და ტექნიკური მხარდაჭერა გასწიოს eu-LISA-მ. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა დაადგინოს ETIAS-ის საკონტროლო სიისა და შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მახასიათებლები. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

## თავი VI

### სამგზავრო ნებართვის გაცემა, უარყოფა, ანუღირება ან გაუქმება

#### მუხლი 36

##### სამგზავრო ნებართვის გაცემა

1. III, IV და V თავებში დადგენილი პროცედურის შესაბამისად განხორციელებულმა განაცხადის განხილვამ თუ აჩვენა, რომ არ არსებობს ფაქტობრივი მინიშნება ან ფაქტობრივ მინიშნებაზე დაფუძნებული გონივრული საფუძველი დასკვნისათვის, რომ პირის ყოფნა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოიწვევს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა გასცეს სამგზავრო ნებართვა.

2. თუ ჯერ კიდევ რჩება ეჭვი, არსებობს თუ არა საკმარისი მიზეზი სამგზავრო ნებართვაზე უარისათვის, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მათ შორის, გასაუბრების შემდეგ, გასცეს სამგზავრო ნებართვა დროშის მითითებით, რაც ნიშნავს რეკომენდაციას სასაზღვრო უწყებებისათვის, ჩაატარონ მეორადი შემოწმება.

პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ამგვარი დროშით შეიძლება აღნიშნოს სამგზავრო ნებართვა წევრი სახელმწიფოს თხოვნით, რომელთანაც კონსულტაცია გამართა. აღნიშნული დროშა ხილვადი იქნება მხოლოდ სასაზღვრო უწყებებისათვის.

დროშა ავტომატურად მოშორდება ფაილს, როცა სასაზღვრო უწყებები ჩაატარებენ მეორე რიგის შემოწმებას და EES-ში გაჩნდება ჩანაწერი ქვეყანაში შესვლის შესახებ.

3. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამაფრთხილებელი დროშის დამატებით მიუთითოს სასაზღვრო ან სხვა ორგანოებს, რომლებსაც წვდომა აქვთ ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მონაცემებზე, რომ განაცხადის დამუშავებისას გამოვლენილი საყურადღებო მონაცემთა კონკრეტული დამთხვევა შეფასდა. შეფასების შედეგად კი დადგინდა, რომ ეს იყო ცრუ სიგნალი ან არაელექტრონულმა განხილვამ აჩვენა, რომ არ არსებობს სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის საფუძველი.

4. კომისიამ 89-ე მუხლის შესაბამისად უნდა მიიღოს დელეგირების აქტები სათანადო დაცვის საშუალებების დასადგენად, შესაბამისი წესებისა და პროცედურების გაწერით, რათა გამოირიცხოს შეუსაბამო სასიგნალო ინფორმაციასთან სხვა საინფორმაციო სისტემებში და განსაზღვროს ამ რეგულაციის თანახმად დროშით აღნიშვნის პირობები, კრიტერიუმები და ხანგრძლივობა.

5. სამგზავრო ნებართვა ძალაში უნდა იყოს 3 წლის განმავლობაში ან განაცხადში რეგისტრირებული სამგზავრო დოკუმენტის ვარგისობის ვადის ამოწურვამდე, რომელიც პირველად დადგება და უნდა მოქმედებდეს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

6. სამგზავრო ნებართვა არ უნდა ანიჭებდეს შესვლის ან ყოფნის ავტომატურ უფლებას.

### *მუხლი 37*

#### **უარი სამგზავრო ნებართვაზე**

1. სამგზავრო ნებართვაზე განმცხადებელს უნდა ეთქვას უარი, თუ:

- (a) იყენებს სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც SIS-ში აღრიცხულია, როგორც დაკარგული, მოპარული, უკანონოდ მითვისებული ან ვადაგასული;
- (b) ქმნის უსაფრთხოების რისკს;
- (c) ქმნის უკანონო იმიგრაციის რისკს;
- (d) ქმნის ეპიდემიის გავრცელების მაღალ რისკს;
- (e) მასზე SIS-ში შეტანილია სასიგნალო ინფორმაცია შესვლასა და ყოფნაზე უარის თქმის მიზნებისათვის;
- (f) მან არ უპასუხა დამატებითი ინფორმაციისა ან დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნას 27-ე მუხლით დადგენილ ვადებში;
- (g) არ გამოცხადდა 27(4) მუხლით დადგენილ გასაუბრებაზე.

2. სამგზავრო ნებართვაზე უარი უნდა ითქვას მაშინაც, თუ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არსებობს გონივრული და სერიოზული ეჭვები მონაცემთა ნამდვილობაზე, განმცხადებლის გაკეთებულ განაცხადთა სანდოობასა და წარმოდგენილი დოკუმენტების ან მათი შინაარსის უტყუარობაზე.

3. სამგზავრო ნებართვაზე უარის შემთხვევაში, განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება. გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს იმ წევრ სახელმწიფოში, რომელმაც იგი მიიღო და ამავე წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განმცხადებლებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურაზე. მიწოდებული ინფორმაციის ენა უნდა იყოს (EC) No539/2001 რეგულაციის II დანართში ჩამოთვლილი რომელიმე ქვეყნის ოფიციალური ენა, რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი.

4. სამგზავრო ნებართვაზე უარი არ შეიძლება გახდეს ახალ განაცხადზე ავტომატური უარის მიზეზი. ახალი განაცხადი უნდა შეფასდეს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

### *მუხლი 38*

#### **შეტყობინება სამგზავრო ნებართვის გაცემის ან მასზე უარის შესახებ**

1. სამგზავრო ნებართვის გაცემისთანავე, განმცხადებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- (a) მკაფიო განაცხადს, რომ სამგზავრო ნებართვა გაცემულია და განაცხადის ნომერს;
- (b) სამგზავრო ნებართვის ამოქმედებისა და ვადის გასვლის თარიღებს;
- (c) მკაფიო განაცხადს იმაზე, რომ ქვეყანაში შესვლისას განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს იგივე დოკუმენტები, რაც მითითებული ჰქონდა განაცხადის ფორმაში და რომ ნებისმიერი ცვლილება სამგზავრო დოკუმენტში გამოიწვევს სამგზავრო ნებართვაზე ახალი განაცხადის წარდგენის აუცილებლობას;
- (d) შეხსენებას შესვლის პირობებზე, რაც დადგენილია (EU)2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლით და რომ ხანმოკლე ყოფნა შესაძლებელია მხოლოდ 90 დღის მანძილზე, ნებისმიერი 180-დღიანი ერთიანი პერიოდისა;
- (e) შეხსენებას, რომ სამგზავრო ნებართვის ფლობა ავტომატურად არ ანიჭებს შესვლის უფლებას;
- (f) შეხსენებას, რომ სასაზღვრო უწყებებმა მას გარე საზღვარზე შეიძლება მოსთხოვონ დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, რათა განსაზღვრონ, რამდენად კმაყოფილდება შესვლისა და ყოფნის პირობები;
- (g) შეხსენებას, რომ ვალიდური სამგზავრო ნებართვის ფლობა არის ქვეყანაში ყოფნის პირობა, რომელიც უნდა სრულდებოდეს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნის მთელ მანძილზე;
- (h) ბმული ვებმომსახურებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია (EU)2017/2226 რეგულაციის მე-13 მუხლში და საშუალებას მისცემს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, ნებისმიერ მომენტში შეამოწმონ, რამდენი დრო აქვთ დარჩენილი ქვეყანაში ნებადართული ყოფნის ამოწურვამდე;
- (i) წევრი სახელმწიფოების ჩამონათვალი, სადაც განმცხადებელს მგზავრობის უფლება ეძლევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (j) ბმული ETIAS-ის საჯარო ვებგვერდზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, რომ განმცხადებელს აქვს უფლება, მოითხოვოს სამგზავრო ნებართვის გაუქმება, ასევე, არსებობს შესაძლებლობა, გაუქმდეს სამგზავრო ნებართვა, თუ აღარ კმაყოფილდება მისი გაცემის პირობები, ასევე მისი ანულირების შესაძლებლობა, როცა ირკვევა, რომ მისი გაცემის მომენტისათვის არ კმაყოფილდებოდა გაცემის პირობები;
- (k) ინფორმაციას (EC) No45/2001 რეგულაციის მე-13-16 მუხლებით და (EU)2016/679 რეგულაციის მე-15-18 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა გამოყენების პროცედურების შესახებ; მონაცემთა დაცვის ოფიცრების საკონტაქტო მონაცემებს, რომლებიც მუშაობენ საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ოფისში და მონაცემთა დაცვის ეროვნულ სახედამხედველო ორგანოში იმ წევრი სახელმწიფოდან, სადაც ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ სამგზავრო ნებართვა გასცა, ან პასუხისმგებელი სახელმწიფოდან, სადაც ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ სამგზავრო ნებართვა გასცა.

2. სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის შემთხვევაში, განმცხადებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- (a) მკაფიო განაცხადს, რომ სამგზავრო ნებართვაზე განმცხადებელს უარი ეთქვა და განაცხადის ნომერს;
- (b) ინფორმაციას პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებაზე, რომელმაც უარი თქვა სამგზავრო ნებართვაზე და მის მისამართს;
- (c) სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის საფუძვლებს, მათ შორის, საფუძვლებს 37-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებიდან, რომელთა გასაჩივრებაც განმცხადებელს შეუძლია;
- (d) ინფორმაციას გასაჩივრების უფლებაზე და გასაჩივრების ვადებს; 16(7) მუხლში გათვალისწინებული ინფორმაციის ბმულს;
- (e) ინფორმაციას (EC) No45/2001 რეგულაციის მე-13-16 მუხლებით და (EU)2016/679 რეგულაციის მე-15-18 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა გამოყენების პროცედურების შესახებ; მონაცემთა დაცვის ოფიცრების საკონტაქტო მონაცემებს, რომლებიც მუშაობენ საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ოფისში და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის ეროვნულ საზედამხედველო ორგანოში.

3. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს სტანდარტული ფორმა სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის, მისი ანულირებისა ან გაუქმებისათვის. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

### *მუხლი 39*

#### **სამგზავრო ნებართვის გაცემის ან მასზე უარის გადაწყვეტილების შემდეგ განაცხადის ფაილში დასამატებული მონაცემები**

1. თუ დადებითად გადაწყდა სამგზავრო ნებართვის გაცემა, ან IV თავის შესაბამისად, არაელექტრონული დამუშავების შედეგად, ანალოგიური გადაწყვეტილება დადგა, პირველ შემთხვევაში ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ, ხოლო მეორე შემთხვევაში პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განაცხადის ფაილს დაუყოვნებლივ უნდა დაამატოს შემდეგი მონაცემები:

- (a) ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის სტატუსის შესახებ, რომ ის გაცემულია;
- (b) ინფორმაცია, რომელმა ორგანომ გასცა სამგზავრო ნებართვა - ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ, თუ არაელექტრონული დამუშავების შედეგად, პასუხისმგებელი წევრი

სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ. ამ უკანასკნელის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ასევე ორგანოს მისამართი;

(c) სამგზავრო ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღი;

(d) სამგზავრო ნებართვის ამოქმედების და ვადის გასვლის თარიღი;

(e) სამგზავრო ნებართვის დროშით აღნიშვნის ნებისმიერი შემთხვევა, როგორც ეს აღნიშნულია 36(2) და (3) მუხლებში, ამასთან, დროშ(ებ)ით აღნიშვნის მიზეზები, დამატებითი ინფორმაცია, რაც რელევანტურია მეორე რიგის შემოწმებისათვის 36(2) მუხლში აღნიშნული შემთხვევებისთვის, და სასაზღვრო უწყებებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია 36(3) მუხლში აღნიშნული შემთხვევებისთვის.

2. კომისიამ 89-ე მუხლის შესაბამისად უნდა მიიღოს დელეგირების აქტები, რათა განსაზღვროს დამატებითი ინფორმაციის ტიპები, რაც შეიძლება დაემატოს, მისი ენა და ფორმატი, ასევე დროშებით მონიშვნის მიზეზები.

3. სამგზავრო ნებართვაზე უარის შემთხვევაში, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განაცხადის ფაილს შემდეგი ინფორმაცია უნდა დაამატოს:

(a) ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის სტატუსის შესახებ, რომ მის გაცემაზე უარია ნათქვამი;

(b) ინფორმაცია, რომელმა პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განაცხადა უარი სამგზავრო ნებართვაზე და მისი მისამართი;

(c) სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის გადაწყვეტილების თარიღი;

(d) სამგზავრო ნებართვაზე უარის საფუძვლები, 37(1) და (2) მუხლში ჩამოთვლილი სიიდან საფუძვლების მითითებით.

4. 1-ელ და მე-3 პუნქტებში დასახელებულ მონაცემებზე დამატებით - კერძოდ, გაიცა სამგზავრო ნებართვა თუ უარი ეთქვა მასზე - პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ კიდევ უნდა დაამატოს საბოლოო გადაწყვეტილების მიზეზები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უარი ნებართვაზე განპირობებულია კონსულტირებული წევრი სახელმწიფოს უარყოფითი დასკვნით.

#### *მუხლი 40*

#### **სამგზავრო ნებართვის ანულირება**

1. სამგზავრო ნებართვა ანულირდება, თუ გაირკვა, რომ მისი გაცემის პირობები არ კმაყოფილდებოდა მისი გაცემის მომენტისათვის. სამგზავრო ნებართვა ანულირდება უარის თქმის საფუძვლებიდან ერთის ან მეტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც დადგენილია 37(1) და (2) პუნქტებით.

2. თუ წევრი სახელმწიფო ფლობს მტკიცებულებას, რომ პირობები სამგზავრო ნებართვის გაცემისათვის არ კმაყოფილდებოდა მისი გაცემის მომენტისათვის, წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა მოახდინოს სამგზავრო ნებართვის ანულირება.



- პირს, რომლის სამგზავრო ნებართვა გაუქმდა, უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. ანულირების გადაწყვეტილება გასაჩივრდება წევრ სახელმწიფოში, სადაც ის მიიღეს და ამავე წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს განმცხადებლებს გასაჩივრების პროცედურაზე. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს (EC) No539/2001 რეგულაციის II დანართში ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ერთ-ერთის ოფიციალურ ენაზე, რომლის მოქალაქეცაა განმცხადებელი.
- დასაბუთება სამგზავრო ნებართვის ანულირების გადაწყვეტილებისათვის უნდა ჩაიწეროს განაცხადის ფაილში იმ თანამშრომლის მიერ, ვინც რისკები შეაფასა.

#### *მუხლი 41*

##### **სამგზავრო ნებართვის გაუქმება**

- სამგზავრო ნებართვა უნდა გაუქმდეს, როცა გაირკვევა, რომ მისი გაცემის პირობები აღარ კმაყოფილდება. სამგზავრო ნებართვა უქმდება უარის თქმის საფუძვლებიდან ერთის ან მეტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც დადგენილია 37(1) პუნქტით.
- თუ წევრი სახელმწიფო ფლობს მტკიცებულებას, რომ პირობები სამგზავრო ნებართვის გაცემისათვის აღარ კმაყოფილდება, წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა გააუქმოს სამგზავრო ნებართვა.
- თუ SIS-ში გამოჩნდა ახალი სასიგნალო ინფორმაცია შესვლასა და ყოფნაზე ახალი უარის შესახებ, ან სამგზავრო დოკუმენტის დაკარგვაზე, მოპარვაზე, არასათანადოდ გამოყენებასა თუ ვადის გასვლაზე, SIS-მა უნდა აცნობოს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას, მე-2 პუნქტის შეზღუდვის გარეშე. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს, ეს ახალი სასიგნალო ინფორმაცია შეესაბამება თუ არა მოქმედ სამგზავრო ნებართვას. თუ ეს ასეა, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ განაცხადის ფაილი უნდა გადასცეს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, რომელმაც სასიგნალო ინფორმაცია შეიტანა. თუ გამოჩნდა ახალი სასიგნალო ინფორმაცია შესვლასა და ყოფნაზე უარის შესახებ, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა გააუქმოს სამგზავრო ნებართვა. თუ სამგზავრო ნებართვა კავშირშია სამგზავრო დოკუმენტთან, რომელიც SIS-სა ან SLTD-ში რეგისტრირებულია როგორც დაკარგული, მოპარული, არასათანადოდ გამოყენებული ან ვადაგასული, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ არაელექტრონულად უნდა განიხილოს განაცხადის ფაილი.
- ETIAS-ის საკონტროლო სიაში შეტანილი ახალი მონაცემები უნდა შედარდეს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში განაცხადის ფაილების მონაცემებს. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს, ეს ახალი მონაცემები შეესაბამება თუ არა მოქმედ სამგზავრო ნებართვას. თუ ასეა, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ განაცხადის ფაილი უნდა გადასცეს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, რომელმაც ახალი მონაცემები შეიტანა. ხოლო თუ ახალი მონაცემები შეიტანა ევროპოლმა, გადასცეს იმ წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, სადაც პირი პირველად გაჩერებას გეგმავს და რის შესახებაც აღნიშნა განაცხადში, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (j) ქვეპუნქტის შესაბამისად. ETIAS-ის

ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეაფასოს უსაფრთხოების რისკი და გააუქმოს სამგზავრო ნებართვა, თუ დაასკვნის, რომ მისი გაცემისათვის საჭირო პირობები აღარ კმაყოფილდება.

5. თუ შესვლაზე უარის შესახებ ჩანაწერი შევიდა EES-ში მოქმედი სამგზავრო ნებართვის მქონე პირთან მიმართებით და ეს ჩანაწერი დასაბუთებულია (EU)2016/399 რეგულაციის დანართი V-ის ნაწილ B-ში ჩამოთვლილი მიზეზებიდან B ან I მიზეზებით, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ განაცხადის ფაილი უნდა გადასცეს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, რომელმაც უარი განაცხადა შესვლაზე. ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეაფასოს, კვლავ კმაყოფილდება თუ არა სამგზავრო ნებართვის გაცემის პირობები და თუ ეს ასე არაა, გააუქმოს სამგზავრო ნებართვა.

6. სამგზავრო ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება განაცხადის ფაილში უნდა ჩაწეროს თანამშრომელმა, რომელმაც შეაფასა რისკები.

7. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება, გასაჩივროს სამგზავრო ნებართვის გაუქმება. განაცხადი უნდა განიხილოს წევრ სახელმწიფოში, რომელმაც მიიღო გაუქმების გადაწყვეტილება, ამავე წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განმცხადებლებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურის შესახებ. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს (EC) No539/2001 რეგულაციის II დანართში ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ერთ-ერთის ოფიციალურ ენაზე, რომლის მოქალაქეცაა განმცხადებელი.

8. სამგზავრო ნებართვა შეიძლება გაუქმდეს განმცხადებლის მოთხოვნისამებრ. ამ საფუძვლით გაუქმების გასაჩივრება შეუძლებელი იქნება. თუ განმცხადებელი იმყოფება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმ მომენტისათვის, როცა ეს მოთხოვნა დადგა, გაუქმება ძალაში შევა მაშინ, როცა განმცხადებელი გამოვა ტერიტორიიდან, ხოლო EES-ში შეიქმნება შესაბამისი შესვლა/გასვლის ჩანაწერი, (EU)2017/2226 რეგულაციის 16(3) და 17(2) მუხლების შესაბამისად.

## *მუხლი 42*

### **შეტყობინება სამგზავრო ნებართვის ანუღირებისა ან გაუქმების შესახებ**

თუ სამგზავრო ნებართვა გაუქმდა ან ანუღირებულია, განმცხადებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მომსახურების მეშვეობით. მათ შორის:

- (a) მკაფიო განაცხადი, რომ სამგზავრო ნებართვა გაუქმდა ან ანუღირებულია და სამგზავრო ნებართვის განაცხადის ნომერი;
- (b) ინფორმაცია პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილების შესახებ, რომელმაც გააუქმა ან ანუღირება გაუკეთა სამგზავრო ნებართვას და მისი მისამართი;
- (c) განაცხადი სამგზავრო ნებართვის ანუღირებისა ან გაუქმების შესახებ, 37(1) და (2) მუხლში ჩამოთვლილი სიიდან საფუძვლების მითითებით, რომლებიც განმცხადებელს გასაჩივრების შესაძლებლობას აძლევს;

- (d) ინფორმაცია გასაჩივრების უფლებისა და ვადების შესახებ; ვებგვერდის ბმული, სადაც მოყვანილია ინფორმაცია 16(7) მუხლის შესაბამისად;
- (e) მკაფიო განაცხადი, რომ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა არის ქვეყანაში ყოფნის წინაპირობა, რომელიც უნდა კმაყოფილდებოდეს წევრ სახელმწიფოში ხანმოკლე ვადით დარჩენის მთელ პერიოდში;
- (f) ინფორმაციას (EC) No45/2001 რეგულაციის მე-13-16 მუხლებით და (EU)2016/679 რეგულაციის მე-15-18 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა გამოყენების პროცედურების შესახებ; მონაცემთა დაცვის ოფიცრების საკონტაქტო მონაცემებს, რომლებიც მუშაობენ საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ოფისში და პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოში.

*მუხლი 43*

**სამგზავრო ნებართვის ანულირების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კვალად განაცხადის ფაილში დასამატებელი მონაცემები**

1. სამგზავრო ნებართვის ანულირების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ამ გადაწყვეტილების მიმღებმა პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განაცხადის ფაილს დაუყოვნებლივ უნდა დაამატოს შემდეგი მონაცემები:
  - (a) ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის სტატუსის შესახებ, რომ ის გაუქმდა ან ანულირებულია;
  - (b) ინფორმაცია პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებაზე, რომელმაც გააუქმა ან ანულირება გაუკეთა სამგზავრო ნებართვას და მისი მისამართი; და
  - (c) სამგზავრო ნებართვის გაუქმების ან ანულირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი.
2. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომელმაც გააუქმა ან ანულირება გაუკეთა სამგზავრო ნებართვას, განაცხადის ფაილში ასევე უნდა აღნიშნოს გაუქმების ან ანულირების საფუძველი/საფუძვლები 37(1) და (2) მუხლის შესაბამისად ან ინფორმაცია, ხომ არ გაუქმდა იგი განმცხადებლის მოთხოვნისამებრ, 41(8) მუხლის თანახმად.

*მუხლი 44*

**ჰუმანიტარულ საფუძვლებზე, ეროვნული ინტერესების ან საერთაშორისო ვალდებულებათა გამო სამგზავრო ნებართვის გაცემა, რომლის მოქმედება შეზღუდულია გარკვეულ ტერიტორიაზე**

1. მე-19 მუხლის თანახმად დასაშვებ განაცხადზე, წევრმა სახელმწიფომ, სადაც შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქე გეგმავს მგზავრობას, შეიძლება გამონაკლისის სახით გასცეს სამგზავრო ნებართვა, რომლის მოქმედებაც შეზღუდული იქნება გარკვეულ ტერიტორიაზე, როცა წევრი სახელმწიფო ამას აუცილებლად მიიჩნევს ჰუმანიტარულ საფუძვლებზე, მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული ინტერესების ან საერთაშორისო ვალდებულებათა გამო, მიუხედავად იმისა, რომ

(a) 26-ე მუხლის შესაბამისად მონაცემთა არაელექტრონული დამუშავება ჯერ არ დასრულებულა; ან

(b) სამგზავრო ნებართვაზე უარია, ან იგი გაუქმდა ან ანულირებულია.

ზოგადად, ამგვარი ნებართვა მოქმედებს მხოლოდ გამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ნებართვა შეიძლება გაიცეს ისე, რომ მოქმედებდეს ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუკი თითოეული მათგანი დაუდასტურებს ამაზე თანხმობას თავიანთ ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს. თუ ETIAS-ის ეროვნული განყოფილება აპირებს სამგზავრო ნებართვის გაცემას, რომელიც ვარგისი იქნება მხოლოდ რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ კონსულტაცია უნდა გაიაროს ამ წევრ სახელმწიფოებთან.

თუ სამგზავრო ნებართვა მოთხოვნილია ან გაიცა შეზღუდულ ტერიტორიაზე იმ გარემოებათა გამო, რაც აღნიშნულია ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტში, ამ ფაქტის გამო არ უნდა შეწყდეს განაცხადის არაელექტრონული განხილვა, რაც დაწყებულია ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე სამგზავრო ნებართვის გასაცემად.

2. 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის, როგორც ეს აღნიშნულია საჯარო ვებგვერდსა და მობილური ტელეფონის აპლიკაციაში, განმცხადებელს შეუძლია მიმართოს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას და მიუთითოს განაცხადის ნომერი, წევრი სახელმწიფო, სადაც სამგზავრობას გეგმავს და მგზავრობის მიზეზი, რომელიც განპირობებულია ჰუმანიტარული საფუძვლით ან საერთაშორისო ვალდებულებებით. ამგვარი მიმართვის შემთხვევაში, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, სადაც მესამე ქვეყნის მოქალაქე მგზავრობას გეგმავს და ინფორმაცია შესაბამის განაცხადის ფაილში აღრიცხოს.

3. წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ, რომელშიც მესამე ქვეყნის მოქალაქე გეგმავს მგზავრობას, განმცხადებელს შეიძლება მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენა და დააწესოს ვადა, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული ინფორმაცია ან დოკუმენტაცია უნდა მიიღოს. ამგვარი მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს მე-6(2) მუხლის (f) ქვეპუნქტში აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მომსახურების მეშვეობით, საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც განაცხადის ფაილშია მითითებული. მოთხოვნა უნდა მიუთითებდეს ასევე იმ ენების ჩამონათვალს, რომელზეც განმცხადებელს ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა მოეთხოვება. აღნიშნულ ჩამონათვალში უნდა შედიოდეს სულ მცირე ინგლისური ან ფრანგული ან

გერმანული ენები, თუკი მასში არ შედის მესამე ქვეყნის ოფიციალური ენა, რომელსაც განმცხადებელი მშობლიურ ენად აცხადებს. განმცხადებელს არ უნდა მოეთხოვოს ოფიციალური თარგმანის წარმოდგენა არცერთ ამ ენაზე. დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს პირდაპირ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას პირადი ანგარიშის უსაფრთხო მომსახურების მეშვეობით, რაც მითითებულია მე-6(2) მუხლის (გ) ქვეპუნქტში. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია უნდა აღრიცხოს და შეინახოს განაცხადის ფაილში. დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია გამოიყენება მხოლოდ განაცხადის შეფასებისა და გადაწყვეტილების გამოტანის მიზნებისათვის, ასევე, გასაჩივრების პროცედურის მიზნებისა და იმავე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი განაცხადის განხილვისათვის.

4. სამგზავრო ნებართვა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე, შეიძლება ვარგისი იყოს მაქსიმუმ 90 დღის მანძილზე პირველი შესვლიდან, აღნიშნული ნებართვის საფუძველზე.

5. ამ მუხლის საფუძველზე გაცემული სამგზავრო ნებართვა შეიძლება დაექვემდებაროს დროში აღნიშვნას 36(2) ან (3) პუნქტების შესაბამისად.

6. თუ გაცემულია სამგზავრო ნებართვა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომელმაც ნებართვა გასცა, განაცხადის ფაილში უნდა მიუთითოს:

- (a) ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის სტატუსზე, რომ ის გაცემულია და მოქმედებს მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე;
- (b) წევრი სახელმწიფო(ები), სადაც სამგზავრო ნებართვის მფლობელს მგზავრობის უფლება აქვს და ამ ნებართვის მოქმედების ვადა;
- (c) წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, რომელმაც გასცა სამგზავრო ნებართვა, ვარგისი მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე და მისი მისამართი;
- (d) თარიღი, როცა გადაწყდა შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვის გაცემა;
- (e) ინფორმაცია ჰუმანიტარულ საფუძველებზე, ეროვნულ ინტერესებსა ან საერთაშორისო ვალდებულებებზე;
- (f) სამგზავრო ნებართვის დროში აღნიშვნის ნებისმიერი შემთხვევა, როგორც ეს აღნიშნულია 36(2) და (3) მუხლებში, ამასთან, დროშ(ებ)ით აღნიშვნის მიზეზები, დამატებითი ინფორმაცია, რაც რელევანტურია მეორე რიგის შემოწმებისათვის 36(2) მუხლში აღნიშნული შემთხვევებისთვის, და სასაზღვრო უწყებებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია 36(3) მუხლში აღნიშნული შემთხვევებისთვის.

თუ განმცხადებელმა არ წარმოადგინა ინფორმაცია და დოკუმენტაცია და ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ გასცა სამგზავრო ნებართვა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ განაცხადის ფაილში უნდა

აღრიცხოს და შეინახოს შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია ამ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

7. შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვის გაცემისას, განმცხადებელმა უნდა მიიღოს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მომსახურების მეშვეობით, რომელიც მოიცავს:

- (a) მკაფიო განაცხადს, რომ შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვა გაცემულია და განაცხადის ნომერს;
- (b) შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვის ამოქმედებისა და ვადის გასვლის თარიღებს;
- (c) მკაფიო განაცხადს, თუ რომელ წევრ სახელმწიფოებში მგზავრობაზეა უფლებამოსილი სამგზავრო ნებართვის მფლობელი და რომ მხოლოდ ამ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეუძლია მგზავრობა;
- (d) შეხსენებას, რომ ვალიდური სამგზავრო ნებართვის ფლობა არის ქვეყანაში ყოფნის პირობა, რომელიც უნდა სრულდებოდეს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნის მთელ მანძილზე, რომლის განმავლობაშიც შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვა არის ძალაში;
- (e) ბმული ვებმომსახურებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია (EU)2017/2226 რეგულაციის მე-13 მუხლში და საშუალებას მისცემს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, ნებისმიერ მომენტში შეამოწმონ, რამდენი დრო აქვთ დარჩენილი ქვეყანაში ნებადართული ყოფნის ამოწურვამდე

## თავი VII

### ETIAS-ის გამოყენება გადამზიდავების მიერ

#### მუხლი 45

#### გადამზიდავთა წვდომა მონაცემებზე შემოწმების მიზნით

1. საჭირო გადამზიდავებმა, საზღვაო გადამზიდავებმა და საერთაშორისო გადამზიდავებმა, რომლებსაც მგზავრთა ჯგუფები გადაჰყავთ ხმელეთით, მოკვლევის მიზნით უნდა გაუგზავნონ შეკითხვა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემას, რათა გაარკვიონ, მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც მოეთხოვებათ სამგზავრო ნებართვა, ფლობენ თუ არა მოქმედ სამგზავრო ნებართვას.

2. მგზავრთა ბორტზე ასვლამდე შემოწმებისა და ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული მოკვლევის ჩატარების შესაძლებლობას გადამზიდავებს მისცემს უსაფრთხო წვდომა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (k) ქვეპუნქტში მოხსენიებულ მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბთან, მათ შორის მობილური ტექნიკური საშუალებების გამოყენების

შესაძლებლობა. გადამზიდავმა უნდა მიაწოდოს სამგზავრო დოკუმენტის მანქანით წაკითხვად არეში დაცული მონაცემები და მიუთითოს წევრი ქვეყანა, სადაც პირი შედის. ნაწილობრივი გადახვევის სახით, აეროპორტის ტრანზიტის შემთხვევებში, გადამზიდავი არ უნდა იყოს ვალდებული, გაარკვიოს, მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს თუ არა მოქმედ სამგზავრო ნებართვას.

ETIAS-ის საინფორმაციო სისტემამ, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბის მეშვეობით, გადამზიდავს უნდა მიაწოდოს მოკლე პასუხი „OK/NOT OK“, რაც მიუთითებს, აქვს თუ არა პირს მოქმედი სამგზავრო ნებართვა. თუ სამგზავრო ნებართვა გაცემულია შეზღუდულ ტერიტორიაზე 44-ე მუხლის შესაბამისად, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გაითვალისწინოს წევრი სახელმწიფო(ები), სადაც ნებართვა ვარგისია, ასევე, წევრი სახელმწიფო, რომელშიც პირი შედის და რასაც გადამზიდავი უთითებს. გადამზიდავებმა გაგზავნილი შეკითხვა და მიღებული ინფორმაცია შეიძლება შეინახონ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. OK/NOT OK პასუხი არ უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილებად, რომელიც ნებას რთავს ან უარს ეუბნება პირს შესვლაზე, (EU) 2016/399 რეგულაციის თანახმად.

კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს დეტალური წესები მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბის მუშაობის პირობებთან დაკავშირებით, მონაცემთა დაცვასა და უსაფრთხოების წესებზე. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

3. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით, ექსკლუზიურად გადამზიდავებისათვის უნდა დაადგინოს ავთენტიფიკაციის სქემა, რათა მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბზე წვდომის ნება დართოს გადამზიდავთა უფლებამოსილ პერსონალს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის. ავთენტიფიკაციის სქემის დადგენისას, გასათვალისწინებელია ინფორმაციის უსაფრთხოების რისკების მენეჯმენტი და მონაცემთა დაცვის პრინციპები, გამიზნულად თუ სტანდარტულად. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

4. მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბი უნდა იყენებდეს ცალკე მონაცემთა ბაზას, რომელიც არის მხოლოდ წაკითხვადი და განახლდება ყოველდღიურად - ETIAS-ში დაცულ მონაცემთა სრული მოცულობიდან ცალმხრივად ამოიჭრება საჭირო მონაცემთა აუცილებელი მინიმუმი. eu-LISA პასუხისმგებელი იქნება მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბის უსაფრთხოებაზე, მასში შემავალი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და პერსონალური მონაცემების ცალკე მხოლოდ წაკითხვად ბაზად ამოჭრის პროცესზე.

5. როცა ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულ გადამზიდავებს გადაჰყავთ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ მოქმედი სამგზავრო ნებართვა, მიუხედავად მისი ფლობის აუცილებლობისა, ისინი დაექვემდებარებიან ჯარიმებს, როგორც ამას ითვალისწინებს 26(2) მუხლი 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციიდან, რომელიც დაიდო ბენილუქსის ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოების მთავრობებს, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის საერთო სასაზღვრო კონტროლის თანდათანობითი გაუქმების შესახებ (შემდგომში „შენგენის

შეთანხმების განმახორციელებელი კონვენცია“); აგრეთვე, ითვალისწინებს საბჭოს 2001/51/EC დირექტივის მე-4 მუხლი <sup>(40)</sup>.

6. ნაწილობრივი გადახვევის სახით ამ მუხლის მე-5 პუნქტიდან, თუ იმავე მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ხსენებული გადამზიდავები უკვე დაექვემდებარნენ დაჯარიმებას შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 26(2) მუხლისა და 2001/51/EC დირექტივის მე-4 მუხლის თანახმად, ამ მუხლის მე-5 პუნქტში ნახსენები ჯარიმები აღარ გამოიყენება.

7. მე-5 პუნქტის შესრულების მიზნებისათვის ან მისი გამოყენების გამო წარმოშობილი ნებისმიერი პოტენციური დავის გადასაჭრელად, eu-LISA-მ უნდა შეინახოს მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბში გავლილი მონაცემთა დამუშავების პროცესის ყველა ჩანაწერი. ეს ჩანაწერები უნდა აჩვენებდეს თითოეული პროცესის თარიღსა და დროს, მოკვლევისას გამოყენებულ მონაცემებს, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბით გატარებულ მონაცემებს და განსახილველი გადამზიდავის სახელს.

ჩანაწერები უნდა შეინახოს 2 წლის მანძილზე. ჩანაწერები სათანადო ზომებით დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისაგან.

8. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უარი ეთქვათ შესვლაზე, ნებისმიერი გადამზიდავი, რომელმაც ეს პირი მიიყვანა გარე საზღვრამდე ჰაერით, ზღვითა თუ ხმელეთით, ვალდებულია კვლავ დაუყოვნებლივ აიღოს პასუხისმგებლობა მათზე. სასაზღვრო უწყებების მოთხოვნით, გადამზიდავები ვალდებული უნდა იყვნენ, დააბრუნონ მესამე ქვეყნის მოქალაქეები ან მესამე ქვეყანაში, საიდანაც მათი ტრანსპორტირება მოხდა, ან მესამე ქვეყანაში, სადაც გაიცა სამგზავრო დოკუმენტი, რომლითაც ისინი მგზავრობდნენ, ან რომელიმე სხვა მესამე ქვეყანაში, რომელშიც მათ დანამდვილებით მიიღებენ.

9. ნაწილობრივი გადახვევის სახით 1-ელი პუნქტიდან, გადამზიდავებისთვის, რომელთაც მგზავრთა ჯგუფები გადაჰყავთ ხმელეთით, ETIAS-ის ამოქმედებიდან პირველი სამი წლის მანძილზე, 1-ელ პუნქტში ნახსენები შემოწმება სავალდებულო არ უნდა იყოს და მათ მიმართ არ უნდა მოქმედებდეს მე-5 პუნქტის დებულებები.

#### *მუხლი 46*

### **სათადარიგო პროცედურა იმ შემთხვევებისთვის, როცა გადამზიდავებს ტექნიკური პრობლემის გამო არ აქვთ მონაცემებზე წვდომა**

1. თუ ტექნიკურად შეუძლებელია 45(1) მუხლში გათვალისწინებული მოკვლევის განხორციელება ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის რომელიმე ნაწილის გაუმართაობის გამო, გადამზიდავებს ეხსნებათ ვალდებულება, გამოარკვიონ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობის საკითხი. თუ ამგვარი გაუმართაობა აღმოაჩინა eu-LISA-მ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ამის შესახებ უნდა აცნობოს გადამზიდავებს. ასევე უნდა შეატყობინოს გაუმართაობის გამოსწორების შესახებ. თუ ამგვარი გაუმართაობა აღმოაჩინეს გადამზიდავებმა, მათ შეუძლიათ აცნობონ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას.



2. 45(5) მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები არ უნდა დაეკისროს გადამზიდავებს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მომხდარ შემთხვევაში.

3. თუ გადამზიდავისათვის ტექნიკურად შეუძლებელია აწარმოოს 45(1) მუხლში ხსენებული მოკვლევა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, სხვა მიზეზით და არა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის გაუმართაობის გამო, მაშინ გადამზიდავმა უნდა შეატყობინოს ამის შესახებ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას.

4. კომისიამ აღმასრულებელი აქტის მეშვეობით უნდა დაადგინოს ამ მუხლში აღნიშნული სათადარიგო პროცედურის დეტალები. ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

## თავი VIII

### ETIAS-ის გამოყენება სასაზღვრო უწყებების მიერ გარე საზღვრებზე

#### მუხლი 47

##### მონაცემთა წვდომა გარე საზღვრებზე შემოწმებისათვის

1. გარე საზღვრების გამტარ პუნქტებში სასაზღვრო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილმა სასაზღვრო უწყებებმა, (EU)2016/399 რეგულაციის თანახმად, კონსულტაციისათვის უნდა მიმართონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას და გამოიყენონ სამგზავრო დოკუმენტის მანქანით წაკითხვად არეში დაცული ინფორმაცია.

2. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა უპასუხოს და მიუთითოს:

(a) აქვს თუ არა პირს მოქმედი სამგზავრო ნებართვა, ხოლო თუ სამგზავრო ნებართვა მოქმედებს შეზღუდულ ტერიტორიაზე და გაცემულია 44-ე მუხლის შესაბამისად, ის წევრი სახელმწიფო(ები), სადაც ის ძალაშია;

(b) ინფორმაცია ნებისმიერ დროში აღნიშვნაზე სამგზავრო ნებართვასთან მიმართებით, 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად;

(c) ხომ არ ამოიწურება სამგზავრო ნებართვის ვადა მომდევნო 90 დღეში და რა პერიოდია დარჩენილი მისი ვარგისობის ამოწურვამდე;

(d) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (k) და (l) პუნქტებში გათვალისწინებული მონაცემები.

3. თუ სამგზავრო ნებართვას ეწურება ვადა მომდევნო 90 დღეში, სასაზღვრო უწყებებმა უნდა აცნობონ მის მფლობელს, რამდენია დარჩენილი ვარგისობის პერიოდის ამოწურვამდე; ასევე, შეატყობინონ ახალი სამგზავრო ნებართვაზე მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობის შესახებ, თუნდაც, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის პერიოდში; აგრეთვე, მიაწოდონ ინფორმაცია, რომ იგი ვალდებულია ფლობდეს მოქმედ სამგზავრო ნებართვას მოკვლევადიანი ყოფნის მთელ მანძილზე. აღნიშნული ინფორმაცია პირს უნდა მიაწოდოს ან სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელმა სასაზღვრო შემოწმების დროს, ან საზღვრის კვეთის პუნქტში დამონტაჟებულმა მოწყობილობამ, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს აძლევს

შესაძლებლობას, ისარგებლოს შემოწმების ინსტრუმენტით, რომელიც მოხსენიებულია 31-ე მუხლში. დამატებით, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო ვებგვერდზეც, რომელიც მოხსენიებულია მე-16 მუხლში. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ იგივე ინფორმაცია ავტომატურად უნდა მიაწოდოს სამგზავრო ნებართვის მფლობელს ელექტრონული ფოსტის მომსახურების მეშვეობით.

4. თუ ETIAS-ის ცენტრალური სისტემა პასუხში მიუთითებს დროშას სამგზავრო ნებართვასთან მიმართებით 36(2) მუხლის შესაბამისად, სასაზღვრო უწყებებმა უნდა განახორციელონ მეორე რიგის შემოწმება. მეორე რიგის შემოწმების მიზნებისათვის, მათ უნდა შეეძლოთ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, დამატებული განაცხადის ფაილზე 39(1) მუხლის (e) ქვეპუნქტის ან 44(6) მუხლის (f) ქვეპუნქტის შესაბამისად.

თუ ETIAS-ის ცენტრალური სისტემა პასუხში მიუთითებს დროშას 36(3) მუხლის შესაბამისად და თუ დამატებითი შემოწმება საჭიროა, სასაზღვრო უწყებებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე, რათა მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია, რასაც ითვალისწინებს 39(1) მუხლის (e) ქვეპუნქტი ან 44(6) მუხლის (f) ქვეპუნქტი.

#### *მუხლი 48*

#### **სათადარიგო პროცედურა იმ შემთხვევებისთვის, როცა ტექნიკური პრობლემის გამო შეუძლებელია მონაცემებზე წვდომა გარე საზღვრებზე**

1. თუ ტექნიკურად შეუძლებელია 47(1) მუხლში გათვალისწინებული მოკვლევის განხორციელება ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის რომელიმე ნაწილის გაუმართაობის გამო, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ამის შესახებ უნდა აცნობოს სასაზღვრო უწყებებს და წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს.

2. თუ ტექნიკურად შეუძლებელია 47(1) მუხლში გათვალისწინებული მოკვლევის განხორციელება წევრ სახელმწიფოში ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო, სასაზღვრო უწყებებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას და წევრი სახელმწიფოების ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს eu-LISA-ს და კომისიას.

3. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებულ ორივე შემთხვევაში, სასაზღვრო უწყებები უნდა მიჰყვნენ თავიანთ ეროვნულ გეგმებს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. (EU)2016/399 რეგულაციის შესაბამისად, ეროვნული გეგმა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის შეიძლება ნებას რთავდეს სასაზღვრო უწყებებს, დროებით გადაუხვიონ ვალდებულებისაგან, კონსულტაცია გაიარონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან, რაც გათვალისწინებულია რეგულაციის 47(1) მუხლში.

4. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს მოდელური გეგმები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში დასახებული შემთხვევებისათვის, მათ შორის, პროცედურები, რასაც სასაზღვრო უწყებები მიჰყვებიან. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ თავიანთი

ეროვნული გეგმები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის, რისთვისაც საბაზისოდ გამოიყენონ მოდელური გეგმები და, საჭიროების მიხედვით, მოახდინონ მათი ადაპტაცია ეროვნულ დონეზე.

## თავი IX

ETIAS-ის გამოყენება საიმიგრაციო ორგანოების მიერ

### თავი 49

მონაცემებზე წვდომა საიმიგრაციო ორგანოებისათვის

1. იმის შესამოწმებლად ან ვერიფიკაციისათვის, წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისა ან ყოფნისათვის საჭირო პირობები კმაყოფილდება თუ არა და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ზომების მისაღებად, წევრი სახელმწიფოების საიმიგრაციო ორგანოებს წვდომა უნდა ჰქონდეთ ETIAS-ის ცენტრალური სისტემის საძიებო სისტემასთან 17(2) მუხლის (a)-დან (e)-მდე პუნქტებში დასახელებული მონაცემებისათვის.

2. 1-ელ მუხლში აღნიშნული წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე უნდა იყოს ნებადართული მხოლოდ მაშინ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

(a) ჩატარდა წინასწარი მოკვლევა EES-ში, (EU)2017/2226 რეგულაციის 26-ე მუხლის შესაბამისად; და

(b) ძიების შედეგმა აჩვენა, რომ EES-ში არ არის არანაირი ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს მესამე ქვეყნის მოქალაქის ყოფნაზე წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

თუ აუცილებელია, წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებში ხსენებული პირობები შეიძლება დაკმაყოფილდეს EES-ის ჩანაწერების წვდომით, როგორც ამას ითვალისწინებს (EU)2017/2226 რეგულაციის 46-ე მუხლი, რომელიც შეესაბამება ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტში ხსენებულ მოკვლევას და (b) ქვეპუნქტში ხსენებულ პასუხს;

3. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა უპასუხოს და მიუთითოს, აქვს თუ არა პირს მოქმედი სამგზავრო ნებართვა, ხოლო თუ სამგზავრო ნებართვა მოქმედებს შეზღუდულ ტერიტორიაზე და გაცემულია 44-ე მუხლის შესაბამისად, ის წევრი სახელმწიფო(ები), სადაც ის ძალაშია. ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ ასევე უნდა მიუთითოს, ხომ არ ამოიწურება სამგზავრო ნებართვის ვადა მომდევნო 90 დღეში და რა დროის პერიოდია დარჩენილი მისი მოქმედებისთვის;

არასრულწლოვანთა შემთხვევაში, საიმიგრაციო ორგანოებს ასევე უნდა ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე მგზავრის მშობლობის სტატუსსა ან კანონიერ მეურვეობაზე, რაც გათვალისწინებულია 17(2) მუხლის (k) ქვეპუნქტში.

## თავი X

### ETIAS-ის ცენტრალური სისტემის წვდომის პროცედურა და პირობები სამართალდაცვის მიზნებისათვის

#### მუხლი 50

#### წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან, მიმართონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას კონსულტაციისათვის, ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთა პრევენციის, გამოვლენისა და გამომძიების მიზნით.

2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს წვდომის ცენტრალური პუნქტი, რომელსაც ექნება წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან. წვდომის ცენტრალურმა პუნქტმა უნდა განსაზღვროს, რამდენად კმაყოფილდება პირობები ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან წვდომის მოთხოვნისათვის, როგორც ეს დადგენილია 52-ე მუხლში.

თუ ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულია, დანიშნული ორგანო და წვდომის ცენტრალური პუნქტი შეიძლება ერთი და იგივე ორგანიზაციის შემადგენლობაში იყვნენ, მაგრამ წვდომის ცენტრალური პუნქტი უნდა მოქმედებდეს დანიშნული ორგანოსაგან სრულად დამოუკიდებლად, როცა ასრულებს თავის ფუნქციებს ამ რეგულაციის შესაბამისად. წვდომის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს დანიშნული ორგანოსაგან ცალკე და არ უნდა იღებდეს მისგან მითითებებს, როცა საქმე ეხება ვერიფიკაციის შედეგს, რაც მან დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოყონ ერთზე მეტი წვდომის ცენტრალური პუნქტი, რათა უპასუხონ თავიანთი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურების საჭიროებებს კონსტიტუციური და სხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებაში.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ eu-LISA-სა და კომისიას დანიშნული ორგანოებისა და წვდომის ცენტრალური პუნქტების შესახებ. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს დაამატონ ინფორმაცია ამ შეტყობინებას ან შეცვალონ იგი.

3. ეროვნულ დონეზე თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა იქონიოს დანიშნული ორგანოებიდან იმ ოპერატიული განყოფილებების ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, მოითხოვონ კონსულტაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახულ მონაცემებზე, წვდომის ცენტრალური პუნქტების მეშვეობით.

4. მხოლოდ წვდომის ცენტრალური პუნქტების სათანადოდ უფლებამოსილ პერსონალს უნდა ჰქონდეს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან წვდომის უფლება, 51-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად.

## მუხლი 51

### ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან წვდომის პროცედურა სამართალდაცვის მიზნებისათვის

1. 50(3) მუხლში მოხსენიებულმა ოპერატიულმა განყოფილებამ დასაბუთებული ელექტრონული ან წერილობითი მოთხოვნა უნდა წარუდგინოს 50(2) მუხლში მოხსენიებულ წვდომის ცენტრალურ პუნქტს, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახულ, კონკრეტულ წყება მონაცემებზე კონსულტაციის შესახებ. თუ განზრახულია კონსულტაცია 17(2) მუხლის (i) ქვეპუნქტსა და 17(4) მუხლის (a)-(c) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებზე, დასაბუთებული ელექტრონული ან წერილობითი მოთხოვნა უნდა მოიცავდეს ასევე ამ კონკრეტულ მონაცემებზე კონსულტაციის აუცილებლობის მტკიცებას.

2. წვდომაზე მოთხოვნის მიღების შემდეგ, წვდომის ცენტრალურმა პუნქტმა უნდა განსაზღვროს, კმაყოფილდება თუ არა 52-ე მუხლში ხსენებული წვდომის პირობები. მათ შორის, შეამოწმოს, არის თუ არა დასაბუთებული 17(2) მუხლის (i) ქვეპუნქტსა და 17(4) მუხლის (a)-(c) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებზე კონსულტაციის მოთხოვნა.

3. თუ 52-ე მუხლში აღნიშნული წვდომის პირობები კმაყოფილდება, წვდომის ცენტრალურმა პუნქტმა მსვლელობა უნდა მისცეს მოთხოვნას. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები, მოპოვებული წვდომის ცენტრალური პუნქტის მიერ, უნდა გადაეცეს ოპერატიულ განყოფილებას, რომელმაც გაამზადა მოთხოვნა, ამასთან, არ უნდა დაირღვეს მონაცემთა უსაფრთხოება.

4. სასწრაფო შემთხვევებში, როცა საჭიროა ადამიანის სიცოცხლის მყისიერი საფრთხის არიდება, დაკავშირებული ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთან, წვდომის ცენტრალურმა პუნქტმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს მსვლელობა მოთხოვნას და მხოლოდ *ex post* შეამოწმოს, კმაყოფილდებოდა თუ არა 52-ე მუხლში აღნიშნული პირობები, მათ შორის, ნამდვილად სასწრაფო იყო თუ არა შემთხვევა. *ex post* შემოწმება გადაუდებლად უნდა ჩატარდეს და, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეში მოთხოვნის განხილვიდან.

თუ *ex post* შემოწმება აჩვენებს, რომ კონსულტაცია ან წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე დასაბუთებული არ ყოფილა, ხელისუფლების ყველა ორგანომ, ვისაც წვდომა ჰქონდა ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მონაცემებზე, უნდა წაშალოს ეს მონაცემები. ხელისუფლების ორგანოებმა მონაცემების წაშლის შესახებ უნდა აცნობონ წევრი სახელმწიფოს შესაბამის წვდომის ცენტრალურ პუნქტს, სადაც მოთხოვნა დამუშავდა.

## მუხლი 52

### ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე წევრ სახელმწიფოთა დანიშნული ორგანოების წვდომის პირობები

1. დადგენილმა ორგანოებმა შეიძლება მოითხოვონ კონსულტაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

(a) წვდომა მონაცემებზე კონსულტაციის მიზნით აუცილებელია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა ან გამომიებისათვის;

(b) წვდომა მონაცემებზე კონსულტაციის მიზნით აუცილებელი და თანაზომიერია კონკრეტულ საქმეში; და

(c) არსებობს მტკიცებულება ან გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე კონსულტაცია წაადგება რომელიმე სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციას, გამოვლენას ან გამომიებას, კერძოდ, როცა არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი, მოძალადე ან მსხვერპლი ექცევა ამ რეგულაციით მოცული მგზავრის კატეგორიაში.

2. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტაცია უნდა შემოიფარგლოს განაცხადის ფაილში აღრიცხულ, ქვემოთ ჩამოთვლილ მონაცემთაგან ერთის ან რამდენიმეს მიხედვით ძეგნით:

(a) გვარი და, თუ შესაძლებელია, სახელ(ებ)ი;

(b) სხვა სახელები (ზედმეტსახელ(ებ)ი, შემოქმედებითი ფსევდონიმ(ებ)ი, ჩვეულებრივი სახელ(ებ)ი);

(c) სამგზავრო დოკუმენტების რაოდენობა;

(d) სახლის მისამართი;

(e) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

(f) ტელეფონის ნომერი;

(g) IP მისამართი.

3. კონსულტაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ მონაცემებზე შეიძლება კომბინირებული იყოს შემდეგ მონაცემებთან განაცხადის ფაილში, რათა დავიწროვდეს ძეგნა:

(a) მოქალაქეობა ან მოქალაქეობები;

(b) სქესი;

(c) დაბადების თარიღი ან ასაკობრივი ჯგუფი.

4. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტაციამ, განაცხადის ფაილში ჩაწერილ ინფორმაციასთან დამთხვევის შემთხვევაში, შეიძლება დაუშვას წვდომა 17(2) მუხლის (a)-(g) ქვეპუნქტებსა და (j)-(m) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებთან, რომლებიც ჩაწერილია იმ განაცხადის ფაილში, ასევე, განაცხადის ფაილში შეტანილ მონაცემებთან სამგზავრო ნებართვის გაცემის, მასზე უარის, მისი ანულისებისა ან გაუქმების შესახებ, 39-ე და 43-ე მუხლების თანახმად. განაცხადის ფაილში აღრიცხულ, 17(2) მუხლის (i) და 17(4) მუხლის (a)-(c) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ

მონაცემებზე კონსულტაცია მკაფიოდ მოითხოვა ოპერატიულმა განყოფილებამ დასაბუთებული ელექტრონული ან წერილობითი მოთხოვნის სახით, რომელიც 15(1) მუხლის შესაბამისად გაიგზავნა. ასევე, თუ მოთხოვნა დამოუკიდებლად ვერიფიცირებული და დამტკიცებულია წვდომის ცენტრალური პუნქტის მიერ. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტაციამ არ უნდა დაუშვას წვდომა განათლებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე, რაც 17(2) მუხლის (h) ქვეპუნქტშია აღნიშნული.

### *მუხლი 53*

#### **ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე ევროპოლის წვდომის პროცედურა და პირობები**

1. 1(2) მუხლის მიზნებისათვის, ევროპოლმა შეიძლება მოითხოვოს კონსულტაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე და ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას წარუდგინოს კონსულტაციის დასაბუთებული ელექტრონული მოთხოვნა, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემთა წყებაზე. თუ განზრახულია კონსულტაცია 17(2) მუხლის (i) ქვეპუნქტსა და 17(4) მუხლის (a)-(c) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებზე, დასაბუთებული ელექტრონული მოთხოვნა უნდა მოიცავდეს ამ კონკრეტულ მონაცემებზე კონსულტაციის აუცილებლობის მტკიცებას.

2. დასაბუთებული მოთხოვნა უნდა მოიცავდეს მტკიცებულებას, რომ ყველა შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

(a) კონსულტაცია აუცილებელია წევრი სახელმწიფოების ქმედებათა მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა სერიოზული დანაშაულების პრევენციის, გამოვლენისა ან გამომიების საქმეში, რაც ევროპოლის მანდატში ექცევა;

(b) კონსულტაცია არის აუცილებელი და თანაზომიერი კონკრეტულ საქმეში;

(c) კონსულტაცია უნდა შემოიფარგლოს 52(2) მუხლში აღნიშნული მონაცემებით ძეგნით, 52(3) მუხლში ჩამოთვლილ მონაცემებთან კომბინაციაში, როცა ეს საჭიროა;

(d) არსებობს მტკიცებულება ან გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ კონსულტაცია წაადგება რომელიმე სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციას, გამოვლენას ან გამომიებას, კერძოდ, როცა არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი, მოძალადე ან მსხვერპლი ექცევა ამ რეგულაციით მოცული მგზავრის კატეგორიაში.

3. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე კონსულტაციის მოთხოვნა ევროპოლის მიერ წინასწარ უნდა შეამოწმოს საგანგებო განყოფილებამ, რომელშიც იქნებიან ევროპოლის სათანადოდ უფლებამოსილი ოფიციალური პირები. ეს განყოფილება ეფექტიანად და დროულად შეისწავლის, აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნა მე-2 პუნქტის ყველა პირობას.

4. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტაციამ, განაცხადის ფაილში ჩაწერილი ინფორმაციის დამთხვევის შემთხვევაში, შეიძლება დაუშვას წვდომა 17(2) მუხლის (a)-(g) ქვეპუნქტებსა და (j)-(m) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებთან, ასევე, განაცხადის ფაილში დამატებულ მონაცემებთან სამგზავრო ნებართვის გაცემის, მასზე უარის, მისი ანულისებისა ან გაუქმების შესახებ, 39-ე და 43-ე მუხლების თანახმად. განაცხადის ფაილში დამატებულ, 17(2) მუხლის (i) და 17(4) მუხლის (a)-(c) ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მონაცემებზე კონსულტაცია მკაფიოდ მოითხოვა ევროპოლმა. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან კონსულტაციამ არ უნდა დაუშვას წვდომა განათლებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე, რაც 17(2) მუხლის (h) ქვეპუნქტშია აღნიშნული.

5. მას შემდეგ, რაც საგანგებო განყოფილება, რომელშიც შედიან ევროპოლის სათანადოდ უფლებამოსილი ოფიციალური პირები, დაამტკიცებს მოთხოვნას, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ მსვლელობა უნდა მისცეს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახულ მონაცემებზე კონსულტაციის მოთხოვნას. მან მოთხოვნილი მონაცემები უნდა გადასცეს ევროპოლს იმგვარად, რომ არ დაირღვეს მონაცემთა უსაფრთხოება.

## თავი XI

### მუხლი 54

#### მონაცემების შენახვა

1. განაცხადის თითოეული ფაილი უნდა ინახებოდეს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში:

(a) სამგზავრო ნებართვის ვარგისობის ამოწურვამდე პერიოდი;

(b) ხუთი წელი სამგზავრო ნებართვაზე უარის თქმის, მისი ანულისების ან გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან, 37-ე, მე-40 და 41-ე მუხლების თანახმად. თუ ამ ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე წაიშალა მონაცემები, წარმოდგენილი ჩანაწერში, ფაილს ან სასიგნალო ინფორმაციაში, რომელიც რეგისტრირებულია EU-ს რომელიმე საინფორმაციო სისტემაში, ევროპოლის მონაცემებში, ინტერპოლის SLTD ან TDawn მონაცემთა ბაზაში, ETIAS-ის საკონტროლო სიაში ან წაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ETIAS-ის სკრინინგის წესების საფუძველზე, მაშინ განაცხადის ფაილი უნდა წაიშალოს 7 დღის განმავლობაში აღნიშნული ჩანაწერის, ფაილის ან სასიგნალო ინფორმაციის წაშლის დღიდან. ამ მიზნით, ETIAS-ის ცენტრალური სისტემა რეგულარულად და ავტომატურად უნდა ამოწმებდეს, კვლავ ძალაშია თუ არა აქ აღნიშნული განაცხადის ფაილის შენახვისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები. თუ ეს პირობები აღარ კმაყოფილდება, განაცხადის ფაილი ავტომატურად უნდა წაიშალოს.

2. ახალი განაცხადების დამუშავების გასამარტივებლად, ETIAS-ის სამგზავრო ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ, განაცხადის ფაილი შეიძლება შეინახოს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დამატებითი პერიოდით, მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა სამგზავრო ნებართვის



ვადის ამოწურვის შემდეგ. თანაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანხმობის მოთხოვნის პასუხად განმცხადებელი თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატავს ამაზე თანხმობას, ელექტრონულად ხელმოწერილი დეკლარაციის საშუალებით. მოთხოვნა თანხმობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ აშკარად გამოირჩეოდეს სხვა საკითხებისაგან, გასაგები და ადვილად მისაწვდომი ფორმით, მკაფიო და გამოკვეთილი ინგლისური ენის გამოყენებით, (EU)2016/679 რეგულაციის მე-7 მუხლის შესაბამისად.

თანხმობა მოთხოვნილი უნდა იყოს 15(2) მუხლის თანახმად ინფორმაციის ავტომატურად მიწოდების შემდეგ. ავტომატურად მიწოდებულმა ინფორმაციამ განმცხადებელს უნდა შეახსენოს მონაცემთა შენახვის მიზანი იმ ინფორმაციის შესაბამისად, რაც აღნიშნულია 71-ე მუხლის (ი) პუნქტში.

განმცხადებელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია თავისი თანხმობის გამოთხოვა, (EU)2016/679 რეგულაციის 7(3) მუხლის თანახმად. თუ განმცხადებელი გამოითხოვს თავის თანხმობას, განაცხადის ფაილი ავტომატურად უნდა წაიშალოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

eu-LISA-მ უნდა შეიმუშაოს ინსტრუმენტი, რომელიც განმცხადებლებს თავიანთი თანხმობის მიცემისა და გამოთხოვის საშუალებას მისცემს. აღნიშნული ინსტრუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საგანგებო საჯარო ვებგვერდზე ან მობილური ტელეფონის აპლიკაციის მეშვეობით.

კომისიამ უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად, რათა უკეთ განსაზღვროს ის ინსტრუმენტი, რომელსაც განმცხადებლები გამოიყენებენ თანხმობის მიცემისა და გამოხმობისთვის.

3. განაცხადის ფაილის შენახვის პერიოდის ამოწურვისთანავე, იგი ავტომატურად უნდა წაიშალოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

## *მუხლი 55*

### **მონაცემების ცვლილება და წინასწარი მონაცემების წაშლა**

1. ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, განახლონ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები და უზრუნველყონ მათი სიზუსტე. ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, შეცვალონ განაცხადის ფაილში პირდაპირ განმცხადებლის მიერ მე-17 მუხლის (2), (3) ან (4) პუნქტების შესაბამისად დამატებული ინფორმაცია.

2. თუ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას აქვს მტკიცებულება, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მიერ შეტანილი მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტია ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, მან უნდა შეამოწმოს შესაბამისი მონაცემები და, თუ საჭიროა, დაუყოვნებლივ შეცვალოს ან წაშალოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

3. თუ პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს აქვს მტკიცებულება, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ჩაწერილი მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტია ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეამოწმოს შესაბამისი მონაცემები და, თუ საჭიროა, დაუყოვნებლივ შეცვალოს ისინი ან წაშალოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

4. თუ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას აქვს მტკიცებულება ივარაუდოს, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები ფაქტობრივად არაზუსტია ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მონაცემები დამუშავდა ამ რეგულაციის დარღვევით, ის უნდა დაუკავშირდეს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას 14 დღის განმავლობაში. თუ ამგვარი მტკიცებულება აქვს არა პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს, არამედ სხვა წევრ სახელმწიფოს, ის უნდა დაუკავშირდეს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებას, ასევე 14 დღის განმავლობაში. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეამოწმონ მონაცემების სიზუსტე და მათი დამუშავების კანონიერება ერთი თვის განმავლობაში და, თუ საჭიროა, დაუყოვნებლივ შეცვალონ ისინი ან წაშალონ ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

5. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქემ ითხოვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა ან ექცევა 2(2) მუხლის (a)-დან (c)-მდე ქვეპუნქტების მოქმედების ფარგლებში, ამ წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შეამოწმონ, აქვს თუ არა პირს მოქმედი სამგზავრო ნებართვა და, თუ რელევანტურია, დაუყოვნებლივ წაშალონ განაცხადის ფაილი ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან. განაცხადის ფაილის წაშლაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყოს:

(a) წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, რომელმაც გასცა მგზავრობის დოკუმენტი, როგორც ეს მოხსენიებულია 2(2) მუხლის (a) ქვეპუნქტში;

(b) წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომლის მოქალაქეობაც მოიპოვა პირმა;

(c) წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომელმაც გასცა ბინადრობის მოწმობა ან ბინადრობის ნებართვა.

6. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ექცევა 2(2) მუხლის (d), (e), (f) ან (l) ქვეპუნქტების მოქმედების ფარგლებში, პირს შეუძლია აცნობოს წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებმაც გასცეს ბინადრობის უფლება, მრავალჯერადი შესვლის ვიზა ან ეროვნული გრძელვადიანი ვიზა, აღნიშნული იმ მუხლში, რომ მას აქვს მოქმედი სამგზავრო ნებართვა და შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი განაცხადის ფაილის წაშლა ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან. იმ წევრი სახელმწიფოს ორგანოებმა უნდა შეამოწმონ, აქვს თუ არა პირს მოქმედი სამგზავრო ნებართვა. თუ დადასტურდა, რომ პირს ასეთი ნებართვა აქვს, წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, რომელმაც გასცა ბინადრობის უფლება, მრავალჯერადი შესვლის ვიზა ან ეროვნული გრძელვადიანი ვიზა, დაუყოვნებლივ უნდა წაშალოს განაცხადის ფაილი ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

7. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ხვდება 2(2) მუხლის (გ) ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლებში, მას შეუძლია აცნობოს წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს, რომ შეიტანონ ეს ცვლილება. წევრი სახელმწიფოები უნდა დაუკავშირდნენ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას 14 დღის განმავლობაში. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა შეამოწმოს მონაცემების სისწორე ერთი თვის განმავლობაში და, თუ აუცილებელია, დაუყოვნებლივ წაშალოს განაცხადის ფაილი ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან.

8. ადმინისტრაციული ან არასამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი საშუალების შეზღუდვის გარეშე, პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ქმედით სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე, რათა უზრუნველყონ, რომ ETIAS-ში შენახული მონაცემები შეცვლილი ან წაშლილია.

## თავი XII

### მონაცემთა დაცვა

#### მუხლი 56

### მონაცემთა დაცვა

1. საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოსა და eu-LISA-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს (EC) No45/2001 რეგულაცია.

2. ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა, სასაზღვრო უწყებების და საიმიგრაციო ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს (EU) 2016/679 რეგულაცია.

თუ ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ახორციელებენ უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც აფასებენ განაცხადებს ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთა პრევენციის, გამოვლენისა ან გამოძიების მიზნით, უნდა გამოიყენებოდეს (EU) 2016/680 რეგულაცია.

თუ ETIAS-ის ეროვნული განყოფილება გადაწყვეტს სამგზავრო ნებართვის გაცემას, მასზე უარის თქმას, მის გაუქმებას ან ანულირებას, უნდა გამოიყენებოდეს (EU)2016/679 რეგულაცია.

3. წევრი სახელმწიფოების დანიშნული ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, წინამდებარე რეგულაციის 1(2) მუხლის მიზნებისათვის, უნდა გამოიყენებოდეს (EU)2016/680 დირექტივა.

4. ევროპოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას წინამდებარე რეგულაციის 29-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს (EU) 2016/794 რეგულაცია.

## მუხლი 57

### მონაცემთა მაკონტროლებელი

1. საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო ითვლება მონაცემთა მაკონტროლებლად, (EC)No 45/2001 რეგულაციის მე-2 მუხლის (d) ქვეპუნქტის შესაბამისად, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით. ETIAS-ის ცენტრალური სისტემის ინფორმაციის უსაფრთხოების მენეჯმენტის კუთხით, მაკონტროლებლად მიიჩნევა eu-LISA.

2. წევრი სახელმწიფოს მიერ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით, მაკონტროლებლად მიიჩნევა ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, (EU)2016/679 რეგულაციის მე-4 მუხლის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად. მას უნდა ეკისრებოდეს ძირითადი პასუხისმგებლობა წევრი სახელმწიფოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში.

## მუხლი 58

### მონაცემთა დამმუშავებელი

1. (EC) No45/2001 რეგულაციის მე-2 მუხლის (e) ქვეპუნქტის თანახმად, eu-LISA ითვლება დამმუშავებლად, ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით.

2. eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ETIAS-ის საინფორმაციო სისტემა მუშაობს წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად.

## მუხლი 59

### მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება

1. წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყონ eu-LISA-მ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ და ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებებმა. აღნიშნული ორგანოები უნდა თანამშრომლობდნენ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. (EC)No45/2001 რეგულაციის 22-ე მუხლის შეზღუდვის გარეშე, eu-LISA-მ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოებისათვის.

3. (EC)No45/2001 რეგულაციის 22-ე მუხლისა და (EU)2016/679 რეგულაციის 32-ე და 34-ე მუხლების შეზღუდვის გარეშე, eu-LISA-მ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ და ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, მათ შორის, შეიმუშაონ უსაფრთხოების გეგმა, შეუფერხებელი საქმიანობისა და კატასტროფის შემთხვევაში აღდგენის გეგმა, რათა:

(a) ფიზიკურად დაიცვან მონაცემები, მათ შორის, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის გეგმების შედგენით, რათა დაიცვან კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა;

- (b) არ დაუშვან არაუფლებამოსილ პირთა წვდომა დაცულ ვებსერვისებზე, ელექტრონული ფოსტით მომსახურებაზე, უსაფრთხო ანგარიშის მომსახურებაზე, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაზზე, განმცხადებელთათვის განკუთვნილ შემოწმების ინსტრუმენტსა და განმცხადებელთა თანხმობის მიცემის ინსტრუმენტზე;
- (c) არ დაუშვან არაუფლებამოსილ პირთა წვდომა მონაცემთა დამმუშავებელ მოწყობილობებსა და აპარატებზე, ETIAS-ის მიზნებისათვის;
- (d) მედია მატარებლები დაიცვან არაავტორიზებული წაკითხვის, კოპირების, ცვლილებების შეტანისა ან წაშლისგან;
- (e) არ დაუშვან მონაცემთა არაავტორიზებული შეტანა და ჩაწერილი პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული შემოწმება, ცვლილება ან წაშლა;
- (f) არ დაუშვან მონაცემთა დამუშავების ავტომატური სისტემების მოხმარება არაავტორიზებულ პირთა მიერ, მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების გამოყენებით;
- (g) არ დაუშვან მონაცემთა არაავტორიზებული დამუშავება ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში და დამუშავებული მონაცემების რაიმე სახის არაავტორიზებული ცვლილება ან წაშლა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში;
- (h) უზრუნველყონ, რომ ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილ პირებს წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ იმ მონაცემებზე, რასაც მათი უფლებამოსილება ფარავს, მომხმარებლის ინდივიდუალური და უნიკალური ამომცნობისა და კონფიდენციალური წვდომის რეჟიმის გამოყენებით;
- (i) უზრუნველყონ, რომ ყველა ორგანომ, ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე წვდომის უფლებით, შექმნას მონაცემებზე უფლებამოსილი პირების პროფილები, მათი ფუნქცია-მოვალეობების აღწერით და ეს პროფილები ხელმისაწვდომი გახადოს საზედადამხედველო ორგანოებისათვის;
- (j) უზრუნველყონ იმის შემოწმებისა და დადგენის შესაძლებლობა, თუ რომელ ორგანოებს შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები, მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების გამოყენებით;
- (k) უზრუნველყონ იმის შემოწმებისა და დადგენის შესაძლებლობა, თუ რომელი მონაცემები დამუშავდა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში, როდის, ვის მიერ და რა მიზნით;
- (l) პერსონალური მონაცემები დაიცვან არაავტორიზებული წაკითხვის, კოპირების, ცვლილებების შეტანისა ან წაშლისაგან მათი გადატანისას ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ან სისტემიდან, ან მონაცემთა მატარებლების გადაადგილებისას, კერძოდ, სათანადო კრიპტოგრაფიული ტექნიკის გამოყენებით;
- (m) უზრუნველყონ, რომ წყვეტის შემთხვევაში, დამონტაჟებული სისტემები შეძლებენ აღადგინონ ნორმალური მუშაობა;
- (n) უზრუნველყონ სანდოობა იმის მოგვარებით, რომ ETIAS-ის ფუნქციონირების ნებისმიერი შეფერხება სათანადოდ იქნება შეტყობინებული და აუცილებელი ტექნიკური ზომები

გატარდება, რათა ETIAS-ის გაუმართავად ფუნქციონირების გამო დაზიანების შემთხვევაში აღდგეს პერსონალური მონაცემები;

(o) მონიტორინგი გაუწიონ ამ პუნქტში აღნიშნული უსაფრთხოების ზომების ეფექტიანობას და გადადგან აუცილებელი ორგანიზაციული ნაბიჯები შიდა მონიტორინგთან მიმართებით, რათა უზრუნველყონ წინამდებარე რეგულაციასთან შესაბამისობა.

4. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს უსაფრთხოების გეგმის, შეუფერხებელი საქმიანობის გეგმისა და კატასტროფის შემთხვევაში აღდგენის გეგმის მოდელები. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად. eu-LISA-ს მმართველმა საბჭომ, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს მმართველმა საბჭომ და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ უსაფრთხოების, შეუფერხებელი საქმიანობისა და კატასტროფის შემთხვევაში აღდგენის გეგმები, შესაბამისად, eu-LISA-თვის, ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისათვის და ETIAS-ის ეროვნული განყოფილებებისათვის. მათ საბაზისო საფუძვლად უნდა გამოიყენონ კომისიის სამოდელი გეგმები და მოარგონ შესაბამისად.

5. eu-LISA-მ უნდა აცნობოს ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას, ასევე, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს იმ ზომების შესახებ, რასაც წინამდებარე მუხლის შესაბამისად გაატარებს.

## *მუხლი 60*

### **უსაფრთხოების ინცინდენტები**

1. უსაფრთხოების ინცინდენტად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი მოვლენა, რომელმაც მოახდინა ან შეიძლება მოახდინოს გავლენა ETIAS-ის უსაფრთხოებაზე და შეიძლება გამოიწვიოს ETIAS-ში შენახული მონაცემების დაზიანება ან დაკარგვა. კერძოდ, როცა თავს იჩენს მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომა, ან კიდევ დაირღვა ან შეიძლება დაირღვეს მონაცემთა ხელმისაწვდომობა, მთლიანობა და კონფიდენციალურობა.

2. უსაფრთხოების ინცინდენტები უნდა იმართოს, რათა სწრაფად, ეფექტიანად და სათანადოდ გაეცეს მათ პასუხი.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უსაფრთხოების ინცინდენტებზე ინფორმაცია უნდა მიაწოდონ კომისიას, eu-LISA-სა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს ისე, რომ არ შეიზღუდოს (EU)2016/679 რეგულაციის 33-ე მუხლი პერსონალური მონაცემების დარღვევის შეტყობინების შესახებ ან (EU)2016/680 დირექტივის 30-ე მუხლი, ან ორივე ერთად. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემასთან მიმართებით უსაფრთხოების ინცინდენტების შემთხვევაში, eu-LISA-მ უნდა აცნობოს კომისიასა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს. ETIAS-თან დაკავშირებული უსაფრთხოების ინცინდენტების შესახებ ევროპოლმა უნდა აცნობოს კომისიასა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს.

4. ინფორმაცია უსაფრთხოების ინცინდენტზე, რომელმაც მოახდინა ან შეიძლება მოახდინოს გავლენა ETIAS-ის ფუნქციონირებაზე, ან ETIAS-ში შენახული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მთლიანობასა და კონფიდენციალურობაზე, უნდა მიეწოდოს კომისიას და, თუ ეხება, ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას, ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებსა და ევროპოლს. ასეთი ინცინდენტები ასევე უნდა ეცნობოს მათი მართვის გეგმასთან ერთად, რომელიც eu-LISA-მ უნდა წარმოადგინოს.

5. წევრი სახელმწიფოები, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო, eu-LISA და ევროპოლი უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან უსაფრთხოების ინცინდენტების შემთხვევაში.

### *მუხლი 61*

#### **თვითმონიტორინგი**

საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო, ევროპოლი და წევრი სახელმწიფოები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ თითოეული ორგანო, უფლებამოსილი ETIAS-ის საინფორმაციო სისტემასთან წვდომაზე, იღებს აუცილებელ ზომებს, რათა დაიცვას ეს რეგულაცია და, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს საზედამხედველო ორგანოსთან.

### *მუხლი 62*

#### **ჯარიმები**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ საჯარიმო წესები, რომლებიც გამოიყენება ამ რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში. ასევე, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს წესები დაინერგოს. გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ქმედითი, პროპორციული და შემაკავებელი.

### *მუხლი 63*

#### **პასუხისმგებლობა**

1. ისე, რომ არ შეიზღუდოს კომპენსაციის უფლება და მაკონტროლებლის თუ დამმუშავებლის პასუხისმგებლობა, (EU)2016/679 რეგულაციის, (EU)2016/680 დირექტივისა და (EC)No45/2001 რეგულაციის შესაბამისად:

(a) ნებისმიერი პირი ან წევრი სახელმწიფო, რომელმაც განიცადა მატერიალური ან არამატერიალური ზიანი, რაც შედეგად მოჰყვა პერსონალური მონაცემების არაკანონიერ დამუშავებას ან წევრი სახელმწიფოს მიერ ამ რეგულაციის საწინააღმდეგო ნებისმიერ სხვა ქმედებას, უფლებამოსილია წევრი სახელმწიფოსაგან კომპენსაციის მიღებაზე;

(b) ნებისმიერი პირი ან წევრი სახელმწიფო, რომელმაც განიცადა მატერიალური ან არამატერიალური ზიანი, რაც შედეგად მოჰყვა eu-LISA-ს მიერ ამ რეგულაციის საწინააღმდეგო ნებისმიერ ქმედებას, უფლებამოსილია კომპენსაციის მიღებაზე ამ სააგენტოსგან. eu-LISA უნდა იყოს პასუხისმგებელი პერსონალური მონაცემების

არაკანონიერ დამუშავებაზე მისი, როგორც დამმუშავებლის როლიდან გამომდინარე ან, სადაც ეს შესაფერისია, მაკონტროლებლის როლის შესაბამისად.

წევრი სახელმწიფო ან eu-LISA უნდა გათავისუფლდნენ პირველ პუნქტში აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ, თუ დაამტკიცებენ, რომ ისინი არ არიან პასუხისმგებელი იმ შემთხვევაზე, რამაც ზიანი გამოიწვია.

2. თუ წევრი სახელმწიფოს რომელიმე ჩავარდნამ, დაიცვას ამ რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულებები, გამოიწვია ETIAS-ის ცენტრალური სისტემის ზიანი, ამ წევრმა სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი აღნიშნულ ზიანზე, თუკი ამ ზიანის მიზეზი არ გახდა eu-LISA-ს ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მონაწილე სხვა წევრი სახელმწიფოს მარცხი, მიეღო გონივრული ზომები წარმოქმნილი ზიანის თვიდან ასაცილებლად ან მისი გავლენის შესამცირებლად.

3. 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ზიანზე კომპენსაციის მოთხოვნა წევრი სახელმწიფოსაგან წარიმართება წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით. 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ზიანზე კომპენსაციის მოთხოვნა მაკონტროლებლის ან eu-LISA-გან, დაექვემდებარება საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს.

#### *მუხლი 64*

#### **პერსონალურ მონაცემებზე წვდომის, მათი შესწორების, შეცვლის, წაშლისა და დამუშავების შეზღუდვის უფლება**

1. ისე, რომ არ შეიზღუდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, აღნიშნული (EC)No45/2001 რეგულაციის მე-11 და მე-12 მუხლებში, განმცხადებლებს, რომელთა მონაცემებიც ინახება ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, იმ მომენტისათვის, როცა ეს მონაცემები შეგროვდა, უნდა ეცნობოთ თავიანთ უფლებათა გამოყენების პროცედურებზე, რასაც ითვალისწინებს (EC)No45/2001 რეგულაციის მუხლები მე-13-დან მე-16-მდე და (EU)2016/679 რეგულაციის მუხლები მე-15-დან მე-18-მდე. მათ ასევე უნდა მიეწოდოთ საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს მონაცემთა დაცვის ოფიცრისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის საკონტაქტო ინფორმაცია.

2. (EC)No45/2001 რეგულაციის მე-13-დან მე-16-მდე მუხლებით და (EU)2016/679 რეგულაციის მე-15-დან მე-18-მდე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისთვის, ნებისმიერ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უფლება, მიმართოს მის განაცხადზე პასუხისმგებელ პირს ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებაში ან ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებაში. განყოფილებამ, რომელიც ამგვარ მოთხოვნას მიიღებს, უნდა განიხილოს იგი და უპასუხოს შეძლებისდაგვარად სწრაფად, არაუგვიანეს 30 დღისა.

თუ მოთხოვნაზე პასუხად გამოვლინდა, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები ფაქტობრივად არასწორია ან არაკანონიერადაა ჩაწერილი, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა შეასწოროს ან წაშალოს ეს მონაცემები ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში.



თუ ამ პუნქტის შესაბამისი მოთხოვნის პასუხად, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ან ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ შეასწორა სამგზავრო ნებართვა მისი ვარგისობის პერიოდში, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა განახორციელოს მე-20 მუხლში აღნიშნული ავტომატური დამუშავება, რათა განსაზღვროს, შეცვლილი განაცხადის ფაილში ხომ არ გამოვლინდება დამთხვევა მე-20 მუხლის (2)-(5) პუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებთან. თუ ავტომატური დამუშავება არ გამოავლენს არანაირ დამთხვევას, ETIAS-ის ცენტრალურმა სისტემამ უნდა გასცეს შესწორებული სამგზავრო ნებართვა, ვარგისობის იმავე პერიოდით, როგორც საწყისი და აცნობოს განმცხადებელს. თუ ავტომატური დამუშავება გამოავლენს ერთ ან რამდენიმე დამთხვევას, პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ, 26-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შეაფასოს უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა ან ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკი. შემდეგ უნდა გადაწყვიტოს, გასცეს შეცვლილი სამგზავრო ნებართვა თუ გააუქმოს იგი, რადგან დაასკვნის, რომ სამგზავრო ნებართვის მინიჭების პირობები აღარ კმაყოფილდება.

3. თუ ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება ან წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნული განყოფილება, პასუხისმგებელი განაცხადზე, არ ეთანხმება იმ მოთხოვნას, რომ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცული მონაცემები ფაქტობრივად არასწორია ან უკანონოაა ჩაწერილი, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რითაც წერილობით აუხსნის შესაბამის პირს, თუ რატომ არ არის მზად მასთან დაკავშირებული მონაცემების შესწორების ან წაშლისათვის.

4. ეს გადაწყვეტილება შესაბამის პირს ასევე უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მის მოთხოვნასთან მიმართებით - რომელიც მე-2 პუნქტშია აღნიშნული - მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. ასევე, სადაც რელევანტურია, აწვდიდეს ინფორმაციას, თუ როგორ წარადგინოს სარჩელი ან საჩივარი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებში ან სასამართლოში, თუ რა ტიპის დახმარება შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი პირისთვის, მათ შორის, უფლებამოსილი ეროვნული საზედამხედველო ორგანოებიდან.

5. მე-2 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს აუცილებელ ინფორმაციას შესაბამისი პირის იდენტიფიცირებისათვის. ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მე-2 პუნქტში აღნიშნული უფლებებით სარგებლობის მიზნებისათვის და შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს.

6. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ ან პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა შეინახოს ჩანაწერი, წერილობითი დოკუმენტის სახით, რომ მე-2 პუნქტში მოხსენიებული მოთხოვნა გაკეთდა და რა რეაგირება მოხდა მასზე. მან ეს დოკუმენტი დაუყოვნებლივ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი მონაცემთა დაცვის უფლებამოსილი ეროვნული საზედამხედველო ორგანოებისათვის, არაუგვიანეს შვიდი დღისა გადაწყვეტილების მიღებიდან, შეცვალონ ან გაანადგურონ მონაცემები, აღნიშნული მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში ან მე-3 პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან.

## პერსონალური მონაცემების გაცვლა მესამე ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო მხარეებთან

1. ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახული მონაცემები არც უნდა გადაეცეს და არც მათზე წვდომა უნდა ჰქონდეს მესამე ქვეყანას, საერთაშორისო ორგანიზაციას ან რომელიმე კერძო მხარეს. გამონაკლისია ინტერპოლი, რომელსაც მონაცემები შეიძლება გადაეცეს ავტომატური დამუშავებისათვის, რაც ნახსენებია ამ რეგულაციის 20(2) მუხლის (b) და (l) ქვეპუნქტებში. პერსონალური მონაცემების ინტერპოლისთვის გადაცემა ექვემდებარება (EC) No45/2001 რეგულაციის მე-9 მუხლის დებულებათა მოქმედებას.

2. პერსონალური მონაცემები ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, რომლებზეც წვდომა ჰქონდა წევრ სახელმწიფოს ან ევროპოლს 1(2) მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის, არ უნდა გადაეცეს ან მათზე წვდომა არ უნდა ჰქონდეს მესამე ქვეყანას, საერთაშორისო ორგანიზაციას ან კერძო მხარეს. აკრძალვა უნდა ვრცელდებოდეს მაშინაც, როცა ეს მონაცემები დამატებით მუშავდება ეროვნულ დონეზე ან წევრ სახელმწიფოებს შორის.

3. რეგულაციის 49-ე მუხლიდან გადახვევის სახით, თუ ეს აუცილებელია დაბრუნების მიზნებისათვის, საიმიგრაციო ორგანოებს შეიძლება მიეცეთ წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე, რათა გამოითხოვონ მონაცემები, ინდივიდუალურ შემთხვევაში მესამე ქვეყნისათვის გადასაცემად, მხოლოდ მაშინ, როცა სრულად კმაყოფილდება ყველა ჩამოთვლილი პირობა:

(a) ჩატარებულია წინასწარი მოკვლევა EES-ში, (EU)2017/2226 რეგულაციის 26-ე მუხლის შესაბამისად; და

(b) მოკვლევამ აჩვენა, რომ EES-ი არ შეიცავს მონაცემებს მესამე ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც უნდა დაბრუნდეს.

თუ საჭიროა, ზემოაღნიშნული პირობების დაკმაყოფილება უნდა შემოწმდეს (EU)2017/2226 რეგულაციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ჩანაწერების წვდომით, რაც შეესაბამება ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტში აღნიშნულ მოკვლევას და (b) ქვეპუნქტში აღნიშნულ პასუხს ამ მოკვლევაზე.

თუ აღნიშნული პირობები კმაყოფილდება, საიმიგრაციო ორგანოებმა უნდა შეძლონ ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან გამოითხოვონ ზოგიერთი ან ყველა მონაცემი, მოხსენიებული ამ რეგულაციის 17(2) მუხლის (a)-დან (e) ქვეპუნქტამდე. თუ ETIAS-ის განაცხადის ფაილი შეესაბამება ამ მონაცემებს, საიმიგრაციო ორგანოებს უნდა მიეცეთ წვდომა ამ რეგულაციის 17(2) მუხლის (a)-დან (g) ქვეპუნქტამდე მოხსენიებულ მონაცემებზე, ხოლო არასრულწლოვანთა შემთხვევაში, იმავე მუხლისა და პუნქტის (k) ქვეპუნქტის მონაცემებზე.

ამ მუხლის 1-ელი პუნქტიდან გადახვევის სახით, ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან საიმიგრაციო ორგანოების მიერ მოპოვებული მონაცემები შეიძლება გადაეცეს მესამე ქვეყანას ინდივიდუალურ შემთხვევებში, თუ ეს საჭიროა მესამე ქვეყნის მოქალაქეების ვინაობის დასადასტურებლად, მხოლოდ დაბრუნების მიზნებისათვის და მხოლოდ შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- (a) კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ მესამე ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა ადეკვატურ დონეზე დაცვის შესახებ, (EU)2016/679 რეგულაციის 45(3) მუხლის შესაბამისად;
- (b) უზრუნველყოფილია სათანადო დაცვის საშუალებები, როგორც ეს აღნიშნულია (EU)2016/679 რეგულაციის 46-ე მუხლში, მაგალითად, ევროკავშირსა ან წევრ სახელმწიფოსა და შესაბამის მესამე ქვეყანას შორის რეადმისიის შეთანხმების მეშვეობით;
- (c) გამოიყენება (EU)2016/679 რეგულაციის 49(1) მუხლის (d) ქვეპუნქტი.

ამ რეგულაციის 17(2) მუხლის (a), (b), (d), (e) და (f) ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემები შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- (a) მონაცემების გადაცემა ხორციელდება ევროკავშირის სამართლის შესაბამისი დებულებების თანახმად, კერძოდ, მონაცემთა დაცვის დებულებების დაცვით, რაც მოცემულია (EU)2016/679 რეგულაციის V თავში, რეადმისიის შესახებ შეთანხმებებსა და მონაცემების გადამცემი წევრი სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაში;
- (b) მესამე ქვეყანა თანახმაა, მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი მიაწოდეს; და
- (c) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივის <sup>(41)</sup> შესაბამისად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ აღსრულდება შეუფერხებლად და, ამასთან, არ არის აღძრული არანაირი საჩივარი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

4. მესამე ქვეყნებისათვის მონაცემთა გადაცემა მე-3 პუნქტის შესაბამისად, არ უნდა ზღუდავდეს განმცხადებელთა უფლებას საერთაშორისო დაცვაზე ან საერთაშორისო დაცვის მიმღებთა უფლებას, კერძოდ, რაც შეეხება გაუქმებლობის პრინციპს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტიდან გადახვევის სახით, 52(4) მუხლში მოხსენიებული მონაცემები ETIAS-ის ცენტრალური სისტემიდან, რომლებზეც წვდომა აქვთ დადგენილ ორგანოებს 1(2) მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის, დადგენილმა ორგანომ შეიძლება გადასცეს ან მათზე წვდომა მიანიჭოს მესამე ქვეყანას ინდივიდუალურ შემთხვევებში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების პირობით:

- (a) საქმე გვაქვს გადაუდებლად სასწრაფო გამონაკლის შემთხვევასთან, როცა:
  - (i) არის ტერორისტულ დანაშაულთან ასოცირებული გარდაუვალი საფრთხე; ან
  - (ii) ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება გარდაუვალი საფრთხე და ეს საფრთხე ასოცირებულია სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთან;
- (b) მონაცემების გადაცემა აუცილებელია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან შესაბამის მესამე ქვეყანაში ამ ტერორისტული თუ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენის ან გამოძიებისათვის;

- (c) დადგენილ ორგანოებს წვდომა აქვთ ამგვარ მონაცემებზე, 51-ე და 52-ე მუხლებში განსაზღვრული პროცედურისა და პირობების თანახმად;
- (d) მონაცემთა გადაცემა ხორციელდება (EU)2016/680 დირექტივის პირობებით, კერძოდ, დირექტივის V თავის;
- (e) მესამე ქვეყანამ წარადგინა სათანადოდ დასაბუთებული წერილობითი ან ელექტრონული მოთხოვნა;
- (f) უზრუნველყოფილია მომთხოვნი მესამე ქვეყნის მფლობელობაში არსებული სამგზავრო ნებართვისათვის განკუთვნილ სისტემებში დაცული ნებისმიერი ინფორმაციის ორმხრივი მიწოდება წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც ETIAS-ს იყენებს.

თუ მონაცემების გადაცემა განხორციელდა ამ პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, აუცილებელია ამგვარი გადაცემის დოკუმენტირება. აღნიშნული დოკუმენტაცია, მოთხოვნისამებრ, შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს საზედამხედველო ორგანოსათვის, რომელიც შეიქმნა (EU) 2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად, მათ შორის, გადაცემის თარიღი და დრო, ინფორმაცია უფლებამოსილ მიმღებ ორგანოზე, გადაცემის დასაბუთება და გადაცემული პერსონალური მონაცემები.

## *მუხლი 66*

### **ზედამხედველობა საზედამხედველო ორგანოს მიერ**

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებლად ამოწმებდეს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას ამ რეგულაციის შესაბამისად, მათ შორის, მონაცემთა გადაცემას ETIAS-თვის და ETIAS-გან.
2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნული კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, მიღებული (EU)2016/680 დირექტივის შესაბამისად, გამოიყენებოდეს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ ETIAS-ის წვდომისას, ამ რეგულაციის X თავის შესაბამისად, მათ შორის, იმ პირთა უფლებების მიმართ, რომელთა მონაცემებზეც ხორციელდება წვდომა.
3. (EU)2016/680 დირექტივის 41(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო უნდა ამოწმებდეს ამ რეგულაციის X თავის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის კანონიერებას, მათ შორის, მონაცემთა გადაცემას ETIAS-თვის და ETIAS-გან. ამ რეგულაციის 66-ე მუხლის (5) და (6) პუნქტები უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისად.
4. (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო ან ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების მიერ მონაცემთა დამუშავების ოპერაციებს უტარდებოდეთ სათანადო აუდიტი, საერთაშორისო აუდიტის რელევანტური სტანდარტების შესაბამისად, სულ მცირე, ETIAS-ის

ამოქმედებიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. აუდიტის შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იქნას შეფასებებისას, რომლებიც ჩატარდება საბჭოს (EU) No1053/2013 რეგულაციით<sup>(42)</sup> დადგენილი მექანიზმის მეშვეობით. (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილი საზედამხედველო ორგანო ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს მონაცემთა ჩასწორების, შევსების ან წაშლის ან მათ დამუშავებაზე შეზღუდვის მოთხოვნათა რაოდენობას, ინფორმაციას ამ მოთხოვნათა პასუხად გადადგმულ ნაბიჯებზე, აგრეთვე, შესაბამის პირთა მოთხოვნების პასუხად მონაცემთა ჩასწორების, შევსების ან წაშლის ან მათ დამუშავებაზე შეზღუდვის რაოდენობის შესახებ.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ მათ საზედამხედველო ორგანოებს ჰქონდეთ საკმარისი რესურსი და საექსპერტო ცოდნა, რათა შეასრულონ მათთვის ამ რეგულაციით დაკისრებული მოვალეობები.

6. წევრმა სახელმწიფოებმა (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ მათ საზედამხედველო ორგანოებს უნდა მიაწოდონ ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებულ ქმედებათა შესახებ, ამ რეგულაციით დადგენილი პასუხისმგებლობების შესაბამისად. წევრმა სახელმწიფოებმა (EU)2016/679 რეგულაციის 51(1) მუხლის შესაბამისად შექმნილ მათ საზედამხედველო ორგანოებს უნდა მისცენ წვდომა თავიანთ მონაცემთა რეესტრებზე და ნებისმიერ დროს დაუშვან ისინი ყველა შენობაში, რომელიც ETIAS-ის მიზნებისთვის გამოიყენება.

## *მუხლი 67*

### **ზედამხედველობა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის მხრიდან**

1. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი პასუხისმგებელი უნდა იყოს eu-LISA-ს, ევროპოლის და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს მიერ ETIAS-თან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების მონიტორინგზე. ასევე, იმის უზრუნველყოფაზე, რომ ამგვარი აქტივობები ხორციელდება (EC) No45/2001 რეგულაციისა და წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად.

2. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს, რომ eu-LISA-სა და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ აქტივობებს უტარდებოდეს სათანადო აუდიტი, საერთაშორისო აუდიტის რელევანტური სტანდარტების შესაბამისად, სულ მცირე, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული აუდიტის ანგარიში უნდა გაეგზავნოს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიას, eu-LISA-სა და საზედამხედველო ორგანოებს. eu-LISA-სა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები ანგარიშის მიღებამდე.

3. eu-LISA და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს უნდა აწვდიდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, აძლევდნენ წვდომას ნებისმიერ დოკუმენტსა და თავიანთ მონაცემთა რეესტრებზე, ასევე, უშვებდნენ ყველა მათ შენობაში, ნებისმიერ დროს.

## მუხლი 68

### თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებსა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს შორის

1. საზედამხედველო ორგანოები და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი, თითოეული თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებისას, აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ თავიანთ უფლებამოსილებათა ჩარჩოში. მათ უნდა უზრუნველყონ ETIAS-ისა და ეროვნული საზღვრების ინფრასტრუქტურის კოორდინირებული ზედამხედველობა.
2. საზედამხედველო ორგანოები და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი უნდა ცვლიდნენ რელევანტურ ინფორმაციებს, ერთმანეთს ეხმარებოდნენ აუდიტსა და ინსპექტირებაში, განიხილავდნენ ნებისმიერ სირთულეს ამ რეგულაციის განმარტებასა თუ გამოყენებასთან კავშირში, აფასებდნენ დამოუკიდებელი ზედამხედველობისას ან მონაცემთა სუბიექტის უფლებებით სარგებლობისას გამოვლენილ პრობლემებს, ნებისმიერი პრობლემისას იმუშავებდნენ ურთიერთშეთანხმებულ ვარიანტებს ერთობლივი გამოსავლის საპოვნელად და მუშაობდნენ მონაცემთა დაცვის უფლებებზე ცნობიერების ასამაღლებლად, როცა ეს საჭიროა.
3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, საზედამხედველო ორგანოები და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს, სულ ცოტა, წელიწადში ორჯერ, (EU)2016/679 რეგულაციის შესაბამისად შექმნილი მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ფარგლებში. ამ შეხვედრების ხარჯები და ორგანიზება უნდა ითავოს აღნიშულმა საბჭომ. რეგლამენტი პირველივე შეხვედრაზე უნდა დამტკიცდეს. შემდგომი მუშაობის მეთოდები კი ერთობლივად შემუშავდეს, თუ ამის აუცილებლობაა.
4. ერთობლივი ანგარიში აქტივობების შესახებ მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ უნდა გაუზიაროს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიას, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოს და eu-LISA-ს, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს ცალკეულ თავს თითო წევრ სახელმწიფოზე, რომელიც ამ სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანომ მოამზადა.

## მუხლი 69

### აღრიცხვის ჩანაწერების წარმოება

1. eu-LISA-მ უნდა აღრიცხოს მონაცემთა დამუშავების ყველა ოპერაცია ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში. აღრიცხვის ჩანაწერები უნდა მოიცავდეს:
  - (a) წვდომის მიზეზს;
  - (b) თითოეული ოპერაციის თარიღსა და დროს;
  - (c) მონაცემებს, რომლებიც გამოყენებულია განაცხადის ავტომატური დამუშავებისას;

- (d) მე-20 მუხლით დადგენილი ავტომატური დამუშავებისას გამოვლენილ საყურადღებო მონაცემების დამთხვევის შემთხვევებს;
- (e) ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასა ან სხვა საინფორმაციო სისტემებსა და მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებს, რომლებიც გამოყენებულია ვინაობის დასადგენად;
- (f) 22-ე მუხლით გათვალისწინებული შემოწმების პროცესის შედეგებს; და
- (g) თანამშრომლის ვინაობას, ვინც მონაცემები დაამუშავა.

2. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა აღრიცხოს ის თანამშრომლები, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, რომ განახორციელონ ვინაობის შემოწმება.

პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ETIAS-ის ეროვნულმა განყოფილებამ უნდა აღრიცხოს ის თანამშრომლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, შეიტანონ ან გამოითხოვონ მონაცემები.

3. eu-LISA-მ უნდა აღრიცხოს მონაცემთა დამუშავების ყველა პროცესი ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, რომლებიც განხორციელდა სასაზღვრო უწყებების წვდომის ჩართულობით, როგორც ეს 47-ე მუხლშია აღნიშნული და საიმპერაციო ორგანოების წვდომის ჩართულობით, როგორც ეს 49-ე მუხლშია აღნიშნული. ეს ჩანაწერები უნდა აჩვენებდეს თითოეული ოპერაციის თარიღსა და დროს, ძეგნის დაწყებისათვის გამოყენებულ მონაცემებს, ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ გადაცემულ მონაცემებს და სასაზღვრო უწყებებისა თუ საიმპერაციო ორგანოების სახელებს, რომლებმაც სისტემაში მონაცემები ან შეიტანეს ან გამოითხოვეს;

ამას გარდა, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა აღრიცხონ პერსონალი, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან მონაცემთა შეტანასა და გამოთხოვაზე.

4. ამგვარი ჩანაწერების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მონაცემთა დამუშავების დასაშვებობის მონიტორინგისათვის, ასევე, მონაცემთა უსაფრთხოებისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად. ჩანაწერები დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისგან სათანადო ზომებით. ისინი უნდა წაიშალოს 54-ე მუხლში მოხსენიებული შენახვის ვადის გასვლიდან ერთ წელიწადში, თუ საჭირო არ არის უკვე დაწყებული მონიტორინგის პროცესისათვის.

eu-LISA-სა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებათა აღრიცხვის მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველისა და უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოებისათვის, მოთხოვნისამებრ.

## *მუხლი 70*

### **მონაცემებზე კონსულტაციის მოთხოვნათა აღრიცხვა, რისი მიზანია ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულთა პრევენცია, გამოვლენა და გამოძიება**

1. eu-LISA-მ უნდა აღრიცხოს მონაცემთა დაცვის ყველა ოპერაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, რომელიც განხორციელდა 50(2) მუხლში ხსენებული მონაცემთა წვდომის

ცენტრალური პუნქტის ჩართვით, 1(2) მუხლის მიზნებისათვის. ეს ჩანაწერები უნდა აჩვენებდეს თითოეული ოპერაციის თარიღსა და დროს, მოძიების დაწყებისათვის გამოყენებულ მონაცემებს, ETIAS-ის ცენტრალური სისტემის მიერ გადაცემულ მონაცემებს და წვდომის ცენტრალური პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის სახელს, რომელმაც შეიტანა და გამოითხოვა მონაცემები.

2. ამასთან, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ და ევროპოლმა უნდა აღრიცხოს მონაცემთა დაცვის ყველა ოპერაცია ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში, რაც შედეგად მოჰყვას 1(2) მუხლით დადგენილი მიზნებისათვის მონაცემთა კონსულტაციის შესახებ მოთხოვნებს ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებზე წვდომას.

3. მე-2 პუნქტში აღნიშნული აღრიცხვის ჩანაწერები უნდა აჩვენებდეს:

(a) კონსულტაციაზე მოთხოვნის ან ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შენახულ მონაცემებზე წვდომის ზუსტ მიზანს, მათ შორის, ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულზე და, ევროპოლისთვის, კონსულტაციის მოთხოვნის ზუსტ მიზანს;

(b) გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია მოთხოვნის დასაშვებობასთან დაკავშირებით;

(c) მითითებას ეროვნულ ფაილზე;

(d) წვდომის ცენტრალური პუნქტის მიერ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე წვდომის მოთხოვნის თარიღსა და ზუსტ დროს;

(e) საჭიროების შემთხვევაში, 51(4) მუხლში აღნიშნული სასწრაფო გადაუდებელი პროცედურის გამოყენებას და *ex post* შემოწმების შედეგებს;

(f) 52-ე მუხლის (2) და (3) პუნქტებში ჩამოთვლილთაგან იმ მონაცემს ან მონაცემთა ნაკრებს, რომელიც კონსულტაციისათვის გამოიყენეს; და

(g) ეროვნული კანონმდებლობის ან (EU)2016/794 რეგულაციის შესაბამისად, იმ თანამშრომლის საიდენტიფიკაციო ნიშნებს, რომელმაც მოკვლევა განახორციელა და იმ თანამშრომლისაც, ვინც მოითხოვა მონაცემთა მოძიება ან გადაცემა.

4. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული აღრიცხვის ჩანაწერები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მოთხოვნის დასაშვებობის შესამოწმებლად, მონაცემთა დაცვის კანონიერების დასადგენად და მონაცემთა ერთიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღრიცხვის ჩანაწერები დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისაგან სათანადო ზომებით. ისინი უნდა წაიშალოს 54-ე მუხლით გათვალისწინებული შენახვის ვადის გასვლიდან ერთ წელიწადში, თუ საჭირო არ არის უკვე დაწყებული მონიტორინგის პროცესისათვის. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა და უფლებამოსილ საზედამხედველო ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემთა დამუშავების კანონიერების მონიტორინგსა და მონაცემების ერთიანობასა და უსაფრთხოებაზე, უნდა ჰქონდეთ წვდომა აღრიცხვის ჩანაწერებზე მათი მოთხოვნისამებრ, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. ორგანოს, რომელიც ამოწმებს მოთხოვნის დასაშვებობას, ასევე უნდა ჰქონდეს წვდომა აღრიცხვის ჩანაწერებზე ამავე მიზნით. აღნიშნული მიზნების გარდა ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, პერსონალური მონაცემები უნდა



წაიშალოს ყველა ეროვნულ ან ევროპოლის ფაილში ერთი თვის შემდეგ, თუ ეს ჩანაწერები საჭირო არ არის კონკრეტული მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების მიზნებისათვის, რომლისთვისაც ისინი გამოითხოვა წევრმა სახელმწიფომ ან ევროპოლმა. მხოლოდ იმ აღრიცხვის ჩანაწერების გამოყენება შეიძლება 92-ე მუხლში აღნიშნული მონიტორინგისა და შეფასებისათვის, რომლებიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

### თავი XIII

#### საზოგადოების ცნობიერება

##### მუხლი 71

#### ინფორმაცია საზოგადოებისათვის

კომისიასა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან კონსულტაციის შემდეგ, ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ყველა რელევანტური ინფორმაცია სამგზავრო ნებართვის მისაღებად განაცხადის თაობაზე. კერძოდ, საჯარო ვებგვერდზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- (a) სამგზავრო ნებართვის მისაღებად განაცხადის წარდგენის კრიტერიუმები, პირობები და პროცედურები;
- (b) ვებგვერდისა და მობილური ტელეფონის აპლიკაცია, სადაც შესაძლებელია განაცხადის წარდგენა;
- (c) განაცხადი შეიძლება წარადგინოს სხვა ადამიანმა ან კომერციულმა შუამავალმა;
- (d) კომერციულ შუამავალთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქცევის შემთხვევაში, შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნა, 15(5) მუხლში ხსენებული ფორმის გამოყენებით;
- (e) განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების ვადები, გათვალისწინებული 32-ე მუხლში;
- (f) სამგზავრო ნებართვა უკავშირდება სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც მითითებულია განაცხადის ფორმაში. ამდენად, სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვის ან ნებისმიერი ცვლილების შედეგად, საზღვრის კვეთისას სამგზავრო ნებართვა ჩაითვლება ძალადაკარგულად ან მას არ აღიარებენ;
- (g) განმცხადებლები პასუხისმგებელნი არიან წარდგენილი მონაცემების ავთენტურობაზე, სისრულეზე, სისწორესა და სანდოობაზე, ასევე მათ მიერ გაკეთებული განცხადებების ჭეშმარიტებასა და სანდოობაზე;
- (h) განმცხადებელს შეატყობინებენ გადაწყვეტილებებს განაცხადებზე, ხოლო სამგზავრო ნებართვაზე უარისას, ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლებსაც. ასევე, უარის შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შესახებ, რასაც უნდა ახლდეს

ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურაზე, მათ შორის, დეტალები უფლებამოსილ ორგანოსა და გასაჩივრების ვადებზე;

- (i) განმცხადებლებს შეუძლიათ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასთან დაკავშირება და აღნიშვნა, რომ მათი მგზავრობის მიზანია ჰუმანიტარული საფუძველი ან საერთაშორისო ვალდებულებები და ამის გაკეთების პირობები და პროცედურები;
- (j) (EU) 2016/399 რეგულაციის მე-6 მუხლით დადგენილი შესვლის პირობები; ფაქტი, რომ ხანმოკლე ყოფნა შესაძლებელია არაუმეტეს 90 დღის განმავლობაში, ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. გამონაკლისია მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რადგან სარგებლობენ უფრო ხელსაყრელი დებულებებით იმ ორმხრივი შეთანხმებებიდან, რომლებიც შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციამდე არსებობდა;
- (k) მხოლოდ სამგზავრო ნებართვის ფლობა არ ნიშნავს შესვლის ავტომატურ უფლებას;
- (l) საზღვრების ორგანოებმა გარე საზღვრებზე შეიძლება მოითხოვონ დამადასტურებელი დოკუმენტები, რათა შეამოწმონ, რამდენად კმაყოფილდება შესვლის პირობები;
- (m) მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა არის ტერიტორიაზე ყოფნის აუცილებელი პირობა, რომელიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნის მთელ პერიოდში უნდა კმაყოფილდებოდეს;
- (n) ვებმომსაურების ბმული, მოხსენებული (EU)2017/2226 რეგულაციის მე-13 მუხლში, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერ მომენტში შეამოწმონ, რამდენია დარჩენილი ნებადართული ყოფნის ვადის ამოწურვამდე;
- (q) მონაცემთა სუბიექტების უფლებები (EC)No 45/2001 რეგულაციის, (EU)2016/679, (EU)2016/794 და (EU)2016/680 დირექტივების შესაბამისად;
- (r) მგზავრებს შეუძლიათ მიიღონ დახმარება, როგორც ამას ითვალისწინებს 7(2) მუხლის (m) ქვეპუნქტი.

## *მუხლი 72*

### **საინფორმაციო კამპანია**

ETIAS-ის ამოქმედებასთან ერთად, საჭიროა კომისიამ აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, გარე მოქმედებათა ევროპულ სამსახურთან (EEAS), ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასა და წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, ასევე, შესაბამის მესამე ქვეყნებში მათი საკონსულოების ჩართულობით. მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ამ რეგულაციის მოქმედების ფარგლებში ექცევიან, კამპანია აცნობებს, რომ მათ მოეთხოვებათ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა როგორც საზღვრის გადაკვეთისათვის, ასევე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხანმოკლე ყოფნის მთელ მანძილზე.

ამგვარი საინფორმაციო კამპანია რეგულარულად უნდა ტარდებოდეს და, სულ მცირე, ერთ-ერთი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, რომლის მოქალაქეებიც ამ რეგულაციის მოქმედების ფარგლებში ექცევიან.

**თავი XIV**  
**პასუხისმგებლობები**

*მუხლი 73*

**eu-LISA-ს პასუხისმგებლობები დიზაინის შექმნისა და ჩამოყალიბების ფაზებში**

1. ტექნიკური თვალსაზრისით, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემას ტექნიკური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს eu-LISA-მ და უზრუნველყოს ამ რეგულაციით დადგენილი ფუნქციები, იმ პირობით, რომ დაცული იქნება უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა და სისწრაფე, ამ მუხლის მე-3 პუნქტისა და 74(1) მუხლის შესაბამისად.

2. საჯარო ვებგვერდის, მობილური ტელეფონის აპლიკაციის, ელექტრონული ფოსტით მომსახურების, უსაფრთხო ანგარიშით მომსახურების, განმცხადებელთა შემოწმების ინსტრუმენტის, განმცხადებელთა თანხმობის ინსტრუმენტის, ETIAS-ის საკონტროლო სიის შეფასების ინსტრუმენტის, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბის, ვებმომსახურების, განაცხადთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფისა და 92(8) მუხლში აღნიშნული ტექნიკური დახმარების მხარდაჭერი ინფრასტრუქტურის ჰოსტინგი უნდა ხდებოდეს eu-LISA-ს ან კომისიის ვებგვერდებიდან. ეს ინფრასტრუქტურები გეოგრაფიულად უნდა განაწილდეს, რაც უზრუნველყოფს ამ რეგულაციით დადგენილი ფუნქციების არსებობას, იმ პირობით, რომ დაცული იქნება უსაფრთხოება, მონაცემთა დაცვა და მონაცემთა უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა, ხარისხი და სისწრაფე, ამ მუხლის მე-3 პუნქტისა და 74(1) მუხლის შესაბამისად. ETIAS-ის საკონტროლო სიის ჰოსტინგი უნდა ხდებოდეს eu-LISA-ს ვებგვერდიდან.

3. eu-LISA პასუხისმგებელი უნდა იყოს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ განვითარებაზე, ასევე, ნებისმიერი სახის ტექნიკურ განვითარებაზე, რაც საჭიროა ETIAS-ის ცენტრალური სისტემისა და ევროკავშირის საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალური ურთიერთთავსებადობისთვის, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 მუხლში და ინტერპოლის საინფორმაციო ბაზებში ძიებისთვის, როგორც ეს აღნიშნულია მე-12 მუხლში.

eu-LISA-მ უნდა განსაზღვროს სისტემის ფიზიკური არქიტექტურის დიზაინი, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ჩათვლით, მისი ტექნიკური მახასიათებლები და მათი განვითარება, ასევე, ერთიანი ეროვნული ინტერფეისები (NUI). ეს ტექნიკური მახასიათებლები უნდა დაამტკიცოს eu-LISA-ს მმართველმა საბჭომ, კომისიის დადებით დასკვნაზე დაყრდნობით. eu-LISA-ს ასევე უნდა დაევალოს ყველანაირი ზომის გატარება, რაც აუცილებელია EES-თან, SIS-თან, Eurodac-სა ან VIS-თან ადაპტაციისათვის, ETIAS-თან უერთიერთთავსებადობის დასამყარებლად.

eu-LISA-მ უნდა განავითაროს და დანერგოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემა, მათ შორის, ETIAS-ის საკონტროლო სია, ერთიანი ეროვნული ინტერფეისი (NUI) და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ამ რეგულაციის ძალაში შესვლიდან რაც შეიძლება მალე და მას შემდეგ, რაც კომისია მიიღებს:

(a) 6(4), 16(10), 17(9), 31, 35(7), 45(2), 54(2), 74(5), 84(2), 92(8) მუხლებით გათვალისწინებულ ზომებს; და

(b) ზომებს 90(2) მუხლში გათვალისწინებული განხილვის პროცედურის შესაბამისად, რაც აუცილებელია ETIAS-ის ცენტრალური სისტემის, ერთიანი ეროვნული ინტერფეისების (NUI), კომუნიკაციის ინფრასტრუქტურისა და მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაზის ჩამოყალიბებისა და ტექნიკური ამუშავებისათვის, კერძოდ, მიიღებს აღმასრულებელ აქტებს:

(i) მონაცემთა წვდომის შესახებ 22-დან 29-მდე მუხლებისა და 33-დან 35-მდე მუხლების შესაბამისად;

(ii) მონაცემთა შევსების, წაშლისა და წინასწარი წაშლის შესახებ, 55-ე მუხლის შესაბამისად;

(iii) აღრიცხვის ჩანაწერების წარმოებისა და წვდომის შესახებ, 45-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად;

(iv) შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ;

(v) ტექნიკური გადაწყვეტის მახასიათებლების შესახებ, რათა წვდომის ცენტრალურ პუნქტებთან დაკავშირება შესაძლებელი გახდეს 51-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად.

ჩამოყალიბების ფაზა უნდა მოიცავდეს ტექნიკურ მახასიათებელთა შემუშავებასა და დანერგვას, წინასწარ შემოწმებასა და მთლიანად პროექტის კოორდინირებას. ამასთან დაკავშირებით, eu-LISA-ს მოვალეობები უნდა იყოს:

(a) უსაფრთხოების რისკების შეფასება;

(b) ETIAS-ის ჩამოყალიბების მთელი ციკლის მანძილზე, პერსონალური მონაცემების პრინციპის დაცვა შექმნის ეტაპზეც (by design) და სხვაგვარი დათქმის არარსებობის შემთხვევაშიც (by default); და

(c) უსაფრთხოების რისკების შეფასება EU-ს საინფორმაციო სისტემებსა და ევროპოლის მონაცემებთან ETIAS-ის ფუნქციონალურ ურთიერთთავსებადობასთან მიმართებით, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-11 მუხლში.

4. დიზაინის შექმნისა და ჩამოყალიბების ფაზების განმავლობაში, უნდა დაარსდეს მაქსიმუმ 10 წევრისაგან შემდგარი პროგრამის მართვის საბჭო. მათ შორის, 6 წევრს დანიშნავს eu-LISA-ს მმართველი საბჭო თავისი წევრებიდან ან მათი მოვალეობის შემსრულებლებიდან; ასევე იქნებიან 91-ე მუხლში აღნიშნული EES-ETIAS-ის საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე, eu-LISA-ს წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს აღმასრულებელი დირექტორი, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს მისი აღმასრულებელი დირექტორი და ერთი კომისიის დანიშნული წევრი. eu-LISA-ს მმართველი საბჭოს დანიშნული წევრები უნდა ირჩეოდნენ მხოლოდ იმ წევრი სახელმწიფოებიდან, რომლებიც სრულად არიან შებოჭილნი ევროკავშირის სამართლით, კერძოდ, იმ სამართლებრივი ინსტრუმენტებით, რომლებიც არეგულირებს eu-LISA-ს მართული ყველა ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებას, დანერგვას, ფუნქციონირებასა

და გამოყენებას და რომლებიც ჩაერთვებიან ETIAS-ში. პროგრამის მართვის საბჭო უნდა ხვდებოდეს რეგულარულად და, სულ ცოტა, კვარტალში სამჯერ. მან უნდა უზრუნველყოს ETIAS-ის დიზაინის შემუშავებისა და ჩამოყალიბების ფაზების სათანადო მენეჯმენტი. პროგრამის მართვის საბჭომ eu-LISA-ს მმართველ საბჭოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს წერილობითი ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ. მას არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, არც eu-LISA-ს მმართველი საბჭოს წევრების წარმომადგენლობის რაიმე მანდატი.

5. eu-LISA-ს მმართველმა საბჭომ უნდა დაადგინოს პროგრამის მართვის საბჭოს რეგლამენტი, რომელიც უნდა მოიცავდეს წესებს შემდეგ საკითხებზე:

- (a) თავმჯდომარეობა;
- (b) შეხვედრის ადგილები;
- (c) შეხვედრების მომზადება;
- (d) ექსპერტთა დაშვება შეხვედრებზე;
- (e) კომუნიკაციის გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს eu-LISA-ს მმართველი საბჭოს არამონაწილე წევრების სრულად ინფორმირებას.

პროგრამის მართვის საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია უნდა დაიკავოს წევრმა სახელმწიფომ, რომელიც სრულად არის შებოჭილი ევროკავშირის სამართლით, იმ საკანონმდებლო ინსტრუმენტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს eu-LISA-ს მიერ მართული ყველა ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბებას, დანერგვას, ფუნქციონირებასა და გამოყენებას.

პროგრამის მართვის საბჭოს წევრების ყველა სამოგზაურო და ცხოვრების ხარჯი უნდა აანაზღაუროს eu-LISA-მ და *mutatis mutandis* უნდა გავრცელდეს eu-LISA-ს რეგლამენტის მე-10 მუხლი. eu-LISA-მ პროექტის მართვის საბჭო უნდა უზრუნველყოს სამდივნოთი.

EES-ETIAS-ის საკონსულტაციო ჯგუფი ETIAS-ის ამოქმედებამდე უნდა ხვდებოდეს რეგულარულად. თითოეული შეხვედრის შემდეგ მან ანგარიში უნდა წარუდგინოს პროგრამის მართვის საბჭოს. მან უნდა წარმოადგინოს ტექნიკური ექსპერტიზა პროგრამის მართვის საბჭოს ამოცანების მხარდასაჭერად და თვალი მიადევნოს წევრი სახელმწიფოების მომზადების მდგომარეობას.

#### მუხლი 74

##### eu-LISA-ს პასუხისმგებლობები

##### eu-LISA-ს პასუხისმგებლობები ETIAS-ის ფუნქციონირებაში ჩართვის შემდეგ

1. ETIAS-ის ფუნქციონირებაში ჩართვის შემდეგ, eu-LISA პასუხისმგებელი უნდა იყოს ETIAS-ის ცენტრალური სისტემის და ერთიანი ეროვნული ინტერფეისების (NUI) ტექნიკურ მართვაზე. ის ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს ნებისმიერ ტექნიკურ შემოწმებაზე, რაც

საჭიროა ETIAS-ის სკრინინგის წესების დანერგვისა და განახლებისთვის. მან წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ფასისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, უნდა უზრუნველყოს, რომ ყოველთვის გამოიყენებოდეს ხელმისაწვდომი საუკეთესო ტექნოლოგიები. eu-LISA ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასა და ერთიან ეროვნულ ინტერფეისს (NUI) შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მართვაზე ისევე, როგორც საჯარო ვებგვერდის, მობილური ტელეფონის აპლიკაციის, ელფოსტით მომსახურების, უსაფრთხო ანგარიშებით მომსახურების, განმცხადებელთა შემოწმების ინსტრუმენტის, განმცხადებელთა თანხმობის ინსტრუმენტის, ETIAS-ის საკონტროლო სიის შეფასების ინსტრუმენტის, მგზავრთა გადამყვანი კომპანიების მონაცემთა რაბის, ვებმომსახურების, განაცხადთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფისა და მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა ცენტრალური საცავის ტექნიკურ მართვაზე.

ETIAS-ის ტექნიკური მართვა უნდა მოიცავდეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც აუცილებელია ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე, წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად. კერძოდ, ეს გულისხმობს მოვლა-შეკეთების სამუშაოებსა და ტექნიკურ განვითარებას, რაც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისტემა ფუნქციონირებდეს საოპერაციო ხარისხის დამაკმაყოფილებელ დონეზე. კერძოდ, ეს მოიაზრებს, ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად, ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში შესულ მონაცემებზე მოთხოვნებზე რეაგირების დროს.

2. ევროპის კავშირის თანამდებობის პირთა საშტატო რეგულაციებისა და ევროკავშირის სხვა მოხელეების დასაქმების პირობების შესახებ საბჭოს No 259/68 (EEC, Euratom, ECSC) რეგულაციის <sup>(43)</sup> მე-17 მუხლის მოქმედების შეუზღუდავად, თანამშრომლებზე, რომლებსაც მოეთხოვებათ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში დაცულ მონაცემებთან მუშაობა, eu-LISA-მ უნდა გამოიყენოს პროფესიული საიდუმლოების სათანადო წესები ან კონფიდენციალობის სხვა ეკვივალენტური მოვალეობები. ეს ვალდებულება უნდა მოქმედებდეს მას შემდეგაც, რაც თანამშრომელი დატოვებს თანამდებობას, სამსახურს ან შეწყდება მისი საქმიანობა.

3. თუ ETIAS-თან დაკავშირებულ საქმეებზე eu-LISA თანამშრომლობს გარე კონტრაქტორებთან, ის დაკვირვებით უნდა უწევდეს მონიტორინგს კონტრაქტორთა საქმიანობას, რათა დარწმუნდეს ამ რეგულაციის ყველა დებულებასთან შესაბამისობაში, მათ შორის, კონკრეტულად, უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კუთხით.

4. eu-LISA-მ ასევე უნდა უზრუნველყოს ტრენინგები ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ მომსახურებაზე.

5. eu-LISA-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი და პროცედურები ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მონაცემთა ხარისხობრივი შემოწმებისთვის და რეგულარულად წარუდგინოს ანგარიშები წევრ სახელმწიფოებსა და ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას. eu-LISA-მ რეგულარული ანგარიშები უნდა წარუდგინოს ასევე ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას გამოვლენილი საკითხების გარშემო. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა დაადგინოს და შეიმუშაოს ასეთი მექანიზმი, პროცედურები და სათანადო მოთხოვნები

მონაცემთა ხარისხისათვის. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

#### *მუხლი 75*

##### **საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს პასუხისმგებლობები**

1. საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს:

- (a) ETIAS-ის ცენტრალური ერთეულის შექმნასა და ფუნქციონირებაზე, ასევე, ETIAS-ში დაცულ მონაცემთა უსაფრთხო მენეჯმენტისთვის პირობების უზრუნველყოფაზე;
- (b) განაცხადების ავტომატიზირებულ დამუშავებაზე; და
- (c) ETIAS-ის სკრინინგის წესებზე.

2. ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ წვდომა ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაზე, უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ტრენინგი მონაცემთა უსაფრთხოებასა და ფუნდამენტურ უფლებებზე, კერძოდ კი, მონაცემთა დაცვაზე, სანამ მიენიჭებათ ჩაწერილი მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე eu-LISA-ს შემოთავაზებულ ტრენინგში ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ გამოყენებასა და მონაცემთა ხარისხზე.

#### *მუხლი 76*

##### **წვერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობები**

1. თითოეული წვერი სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს:

- (a) ერთიან ეროვნულ ინტერფეისთან (NUI) კავშირზე;
- (b) ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების ორგანიზებაზე, მართვაზე, წარმოებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, რათა მათ 26-ე მუხლის შესაბამისად, არაელექტრონულად დაამუშაონ სამგზავრო ნებართვაზე განაცხადი, თუ ავტომატურმა დამუშავებამ გამოავლინა საყურადღებო მონაცემების დამთხვევა;
- (c) წვდომის ცენტრალური პუნქტების ორგანიზებასა და მათ კავშირზე ერთიან ეროვნულ ინტერფეისთან (NUI), ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნით;
- (d) შესაბამისი ეროვნული ორგანოების სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლების მართვასა და მოწყობაზე ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში წვდომისათვის, ამ რეგულაციის თანახმად, ასევე, ამგვარ თანამშრომელთა სიისა თუ მათი პროფილების შექმნასა და რეგულარულ განახლებაზე;
- (e) ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების შექმნასა და ფუნქციონირებაზე;

- (f) ETIAS-ის საკონტროლო სიაში მონაცემთა შეტანაზე, რაც უკავშირდება ტერორისტულ ან სისხლის სამართლის სხვა სერიოზულ დანაშაულს, 34(2) და (3) მუხლების შესაბამისად; და
- (g) იმის უზრუნველყოფაზე, რომ თითოეული მისი ორგანო, რომლებსაც ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე წვდომის უფლება აქვთ, იღებს ყველა აუცილებელ ზომას ამ რეგულაციასთან შესაბამისობისათვის. მათ შორის, რაც აუცილებელია ფუნდამენტურ უფლებათა პატივისცემისა და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ გარე საზღვრებზე უნდა გამოიყენოს ავტომატიზებული დამუშავება ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში მიებისათვის.

3. ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ წვდომა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე, უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ტრენინგი მონაცემთა უსაფრთხოებასა და ფუნდამენტურ უფლებებზე, კერძოდ კი, მონაცემთა დაცვაზე, სანამ მიენიჭებათ ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში ჩაწერილი მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება.

მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე eu-LISA-ს შემოთავაზებულ ტრენინგში ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ გამოყენებასა და მონაცემთა ხარისხზე.

#### *მუხლი 77*

#### **ევროპოლის პასუხისმგებლობები**

1. ევროპოლმა უნდა უზრუნველყოს 20(2) მუხლის (j) ქვეპუნქტსა და 20(4) მუხლში გათვალისწინებული მოკვლევის ჩატარება. მან თავისი საინფორმაციო სისტემის ადაპტირება უნდა მოახდინოს შესაბამისად.
2. ევროპოლს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობები და საქმეები ETIAS-ის საკონტროლო სიასთან დაკავშირებით, რაც დადგენილია 35-ე მუხლის 1-ელ პუნქტსა და (3)-დან (6)-მდე პუნქტებში.
3. ევროპოლი პასუხისმგებელი უნდა იყოს დასაბუთებული მოსაზრების წარმოდგენაზე, 29-ე მუხლის შესაბამისად მონაცემთა კონსულტაციაზე მოთხოვნის პასუხად.
4. 34(2) მუხლის შესაბამისად, ევროპოლი პასუხისმგებელი უნდა იყოს ETIAS-ის საკონტროლო სიაში მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეტანაზე ტერორისტული და სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულებთან კავშირში.
5. ევროპოლის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ტრენინგი მონაცემთა უსაფრთხოებასა და ფუნდამენტურ უფლებებზე, კერძოდ კი, მონაცემთა დაცვაზე, სანამ მიენიჭებათ 34-ე და 35-ე მუხლებში აღნიშნულ საქმიანობათა შესრულების უფლებამოსილება. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე eu-LISA-ს შემოთავაზებულ ტრენინგში ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ გამოყენებასა და მონაცემთა ხარისხზე.



**თავი XV**  
**ცვლილებები ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტებში**

*მუხლი 78*

**ცვლილება (EU) No 1077/2011 რეგულაციაში**

(EU) No 1077/2011 რეგულაციას დაემატა შემდეგი მუხლი:

*‘მუხლი 5b*

**ETIAS-თან დაკავშირებული ამოცანები**

ETIAS-თან დაკავშირებით, სააგენტომ უნდა შეასრულოს მასზე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაციის 73-ე მუხლით დაკისრებული ამოცანები <sup>(1)</sup>.

*მუხლი 79*

**ცვლილება (EU) No 515/2014 რეგულაციაში**

(EU) No 515/2014 რეგულაციის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:

‘3a. ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) ჩამოყალიბების ფაზაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ დამატებითი დაფინანსება 96,5 მლნ ევროს ოდენობით, თავიანთი ძირითადი დაფინანსების გარდა. ეს დაფინანსება სრულად უნდა მოხმარდეს ETIAS-ს მისი სწრაფი და ქმედითი განვითარებისათვის, ETIAS-ის ცენტრალური სისტემის დანერგვასთან შეთანხმებულად, როგორც ეს დადგენილია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაციით <sup>(2)</sup>.

*მუხლი 80*

**ცვლილებები (EU) 2016/399 რეგულაციაში**

(EU) 2016/399 რეგულაციაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

(1) მუხლი 6(1) შეიცვალოს შემდეგნაირად:

(a) პუნქტი (b) ჩანაცვლდეს შემდეგი ტექსტით:

“(b) ისინი ფლობენ მოქმედ ვიზას, როგორც ეს მოთხოვნილია საბჭოს (EC) No 539/2001 რეგულაციით <sup>(3)</sup>, ან მოქმედ სამგზავრო ნებართვას, როგორც ეს მოთხოვნილია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაციით <sup>(4)</sup>, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირს აქვს ბინადრობის უფლება ან გრძელვადიანი ვიზა;

<sup>(3)</sup> 2001 წლის 15 მარტის საბჭოს (EC) No 539/2001 რეგულაცია ჩამოთვლის მესამე ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეები გარე საზღვრების გადაკვეთისას უნდა ფლობდნენ

ვიზას და იმ ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეები თავისუფალნი არიან ამ მოთხოვნისაგან (OJ L 81, 21.3.2001, p. 1)

(<sup>4</sup>) 2018 წლის 12 სექტემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)2018/1240 რეგულაცია აწესებს ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემას (ETIAS) და ცვლის რეგულაციებს (EU) No 1077/2011, (EU) No 515/2014, (EU) 2016/399, (EU) 2016/1624 და (EU) 2017/2226 (OJ L 236, 19.9.2018, p. 1).’;

(b) დაემატოს შემდეგ ქვეპუნქტები:

‘(EU)2018/1240 რეგულაციის 83-ე მუხლის (1) და (2) პუნქტებით დადგენილ გარდამავალ პერიოდში ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) გამოყენება არასავალდებულოა და ამ პუნქტის 1(b) ქვეპუნქტით დადგენილი მოქმედი სამგზავრო ნებართვის მოთხოვნა არ უნდა გამოიყენებოდეს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააფრთხილონ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც ეხებათ სამგზავრო ნებართვის მოთხოვნა გარე საზღვრის გადაკვეთისას, რომ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა მოეთხოვებათ გარდამავალი პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააგრძელონ ლიფლეტები ასეთი კატეგორიის მგზავრებისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია (EU)2018/1240 რეგულაციის 83(2) მუხლში.

(EU)2018/1240 რეგულაციის 83(3) მუხლით შემოღებული საშეღვათო პერიოდის განმავლობაში სასაზღვრო უწყებებმა გამონაკლისის სახით უნდა შეუშვან ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც გარე საზღვრის კვეთისას მოეთხოვებათ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა, მაგრამ ის არ აქვთ, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი აკმაყოფილებენ ამ მუხლით დადგენილ ყველა სხვა მოთხოვნას და წევრი სახელმწიფოს გარე საზღვარს კვეთენ პირველად, (EU)2018/1240 რეგულაციის 83-ე მუხლის (1) და (2) პუნქტებით დადგენილი გარდამავალი პერიოდის ამოწურვის შემდეგ. სასაზღვრო უწყებებმა უნდა აცნობონ მესამე ქვეყნის ასეთ მოქალაქეებს, რომ წინამდებარე მუხლის შესაბამისად, მათ მოეთხოვებათ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა. ამ მიზნით, სასაზღვრო უწყებები მგზავრებს გაუზიარებენ საინფორმაციო ლიფლეტს, როგორც ეს გათვალისწინებულია (EU)2018/1240 რეგულაციის 83(3) მუხლით. თან აცნობებენ, რომ ისინი არ ასრულებენ ვალდებულებას, ჰქონდეს მოქმედი სამგზავრო ნებართვა და ამ ჯერზე გამონაკლისის სახით აძლევენ გარე საზღვრის გადაკვეთის უფლებას, აგრეთვე განუმარტავენ ამ ვალდებულებას’.

(2)მუხლი 8(3) შეიცვალოს შემდეგნაირად:

(a) ქვეპუნქტი (a)-ში ქვეპუნქტი (i) ჩანაცვლდეს შემდეგნაირად:

‘(i) შემოწმება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს დოკუმენტს, რომელიც ვარგისია საზღვრის გადაკვეთისათვის და მას ვადა არ გასვლია, ამასთან, სადაც ეს

აუცილებელია, დოკუმენტს თან ახლავს ვიზა, სამგზავრო ნებართვა ან ბინადრობის ნებართვა’;

(b) დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

‘(ba) თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს ამ რეგულაციის 6(1) მუხლის (b) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამგზავრო ნებართვას, ტერიტორიაზე შესვლისას საფუძვლიანი შემოწმება ასევე უნდა გულისხმობდეს სამგზავრო ნებართვის ავთენტურობის, მოქმედების და სტატუსის შემოწმებას და, სადაც ეს აუცილებელია, მისი მფლობელის ვინაობის შემოწმებას ETIAS-თან კონსულტაციის გზით, (EU)2018/1240 რეგულაციის 47-ე მუხლის შესაბამისად. თუ (EU)2018/1240 რეგულაციის 47-ე მუხლის (1) და (2) პუნქტებში აღნიშნული შემოწმება კონსულტაციის გზით ან მოკვლევა ტექნიკურად შეუძლებელია, მაშინ მოქმედებს ამავე რეგულაციის 48(3) მუხლი.’

(3) V დანართის B თავში, საზღვართან შესვლაზე უარის სტანდარტული ფორმის უარის თქმის შესაძლო მიზეზთა ჩამონათვალში, (C) ქვეპუნქტი ჩანაცვლდეს შემდეგნაირად:

‘(C) არ აქვს მოქმედი ვიზა, სამგზავრო ნებართვა ან ბინადრობის უფლება.’.

### *მუხლი 81*

#### **ცვლილებები (EU) 2016/1624 რეგულაციაში**

(EU) 2016/1624 რეგულაცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

(1) მუხლში 8(1) ჩაემატოს შემდეგი პუნქტი:

‘(qa) შეასრულოს საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოსთვის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაციით <sup>(5)</sup> დაკისრებული ამოცანები და ვალდებულებები და უზრუნველყოს, რომ ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების შექმნა, ამ რეგულაციის მე-7 მუხლის შესაბამისად.

<sup>(5)</sup> 2018 წლის 12 სექტემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაცია, რომელიც აარსებს ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემას (ETIAS) და ცვლის რეგულაციებს (EU) No 1077/2011, (EU) No 515/2014, (EU) 2016/399, (EU) 2016/1624 and (EU) 2017/2226 (OJ L 236, 19.9.2018, p. 1).’.

(2) II თავს დაემატოს შემდეგი ნაწილი:

## ნაწილი 5

### ETIAS

#### მუხლი 33a

#### ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების შექმნა

1. წინამდებარე დოკუმენტით იქმნება ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება.

2. საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაციის <sup>(6)</sup> მე-7 მუხლის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების შექმნა და ფუნქციონირება.

<sup>(6)</sup> 2018 წლის 12 სექტემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1240 რეგულაცია, რომელიც აარსებს ევროპაში მგზავრობის საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემას (ETIAS) და ცვლის რეგულაციებს (EU) No 1077/2011, (EU) No 515/2014, (EU) 2016/399, (EU) 2016/1624 და (EU) 2017/2226 (OJ L 236, 19.9.2018, p. 1).’

#### მუხლი 82

#### ცვლილება (EU) 2017/2226 რეგულაციაში

(EU) 2017/2226 რეგულაციის 64-ე მუხლს დაემატოს შემდეგი:

‘5. (EU) No515/2014 რეგულაციის 5(5) მუხლის (b) ქვეპუნქტში აღნიშნული ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა, ამ მუხლის 1-დან მე-4 პუნქტამდე გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად, უნდა განხორციელდეს არაპირდაპირი მენეჯმენტის გზით eu-LISA-ს მიერ გაწეული ხარჯებისათვის და საერთო მენეჯმენტის გზით წევრი სახელმწიფოების მიერ გაწეული ხარჯებისთვის.’

#### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 83

#### გარდამავალი პერიოდი და გარდამავალი ზომები

1. ETIAS-ის ამოქმედების თარიღიდან ექვსი თვის მანძილზე, მისი გამოყენება არ იქნება სავალდებულო და მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობის მოთხოვნაც არ უნდა გამოიყენებოდეს. კომისიას შეუძლია გამოსცეს დელეგირების აქტი 89-ე მუხლის შესაბამისად, ამ პერიოდის გახანგრძლივების მიზნით, მაქსიმუმ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში, რაც შეიძლება კიდევ განახლდეს მხოლოდ ერთხელ.

2.1-ელ პუნქტში აღნიშნული დროის განმავლობაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მოეთხოვებათ სამგზავრო ნებართვის ფლობა გარე საზღვრის კვეთისას, იქონიონ მოქმედი სამგზავრო ნებართვა ექვსთვიანი პერიოდის გასვლის

შემდეგ. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა ასეთი კატეგორიის მგზავრებს უნდა დაურიგონ საინფორმაციო ლიფტები. ლიფტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასევე წევრი სახელმწიფოების საკონსულოებში იმ ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეებიც წინამდებარე რეგულაციის მოქმედების სფეროში ექცევიან.

3. ექვსთვიანი საშეღავათო პერიოდი შეიძლება დაწესდეს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ. საშეღავათო პერიოდში მოქმედებს მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობის მოთხოვნა. თუმცა, სასაზღვრო უწყებებს შეუძლიათ გამონაკლისის სახით შეუშვან მესამე ქვეყნის მოქალაქე ტერიტორიაზე, თუკი მას გარე საზღვრის გადაკვეთისას მოეთხოვება სამგზავრო ნებართვის ფლობა, მაგრამ არ აქვს ის, იმ პირობით, რომ (EU)2016/399 რეგულაციის 6(1) მუხლით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა კმაყოფილდება და მოქალაქე პირველად კვეთს წევრი სახელმწიფოს გარე საზღვარს, ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ. სასაზღვრო უწყებებმა უნდა აცნობონ მესამე ქვეყნის ასეთ მოქალაქეებს, რომ (EU)2016/399 რეგულაციის 6(1) მუხლის (b) ქვეპუნქტით, მათ მოეთხოვებათ მოქმედი სამგზავრო ნებართვის ფლობა. ამ მიზნით, სასაზღვრო უწყებები მგზავრებს გაუზიარებენ საინფორმაციო ლიფტს, თან აცნობენ, რომ ისინი არ ასრულებენ ვალდებულებას, ჰქონდეთ მოქმედი სამგზავრო ნებართვა და ამ ჯერზე გამონაკლისის სახით აძლევენ გარე საზღვრის გადაკვეთის უფლებას. კომისიას შეუძლია ამ რეგულაციის 89-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს დელეგირების აქტი ამ პერიოდის კიდევ გასაგრძელებლად მაქსიმუმ ექვსი თვით.

საშეღავათო პერიოდში, მხედველობაში არ უნდა მიიღებოდეს იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე შესვლა, რომლებშიც EES არ ფუნქციონირებს.

4. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა შეიმუშაოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ორი ზოგადი ლიფტები, რომელშიც ძალიან მოკლედ შევა 71-ე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია. ლიფტები უნდა იყოს მკაფიო და მარტივი, სულ მცირე, თითოეული იმ ქვეყნის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რომელთა მოქალაქეებიც ექცევიან ამ რეგულაციის მოქმედების სფეროში. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

5. ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ გარდამავალ პერიოდში ETIAS-ის საინფორმაციო სისტემამ უნდა უპასუხოს 45(2) მუხლში აღნიშნულ გადამზიდავთა მოთხოვნას „OK“ პასუხით. ამ მუხლის მე-3 პუნქტით ხსენებულ საშეღავათო პერიოდში ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის პასუხი გადამზიდავებისადმი უნდა ითვალისწინებდეს, კვეთს თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქე წევრი სახელმწიფოს გარე საზღვრებს პირველად, ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

#### *მუხლი 84*

##### **მონაცემების გამოყენება ანგარიშგებისა და სტატისტიკისთვის**

1. მხოლოდ ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისთვის, ინდივიდუალური იდენტიფიკაციის გარეშე და მე-14 მუხლში მითითებული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო გარანტიების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების, კომისიის,

eu-LISA-სა და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების სათანადოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა, რომ გაეცნონ ჩამოთვლილ მონაცემებს:

- (a) ინფორმაცია განაცხადის სტატუსზე;
- (b) განმცხადებლის მოქალაქეობა, სქესი და დაბადების წელი;
- (c) საცხოვრებელი ქვეყანა;
- (d) განათლება (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი ან არცერთი);
- (e) ამჟამინდელი საქმიანობა (საქმიანობის ჯგუფი);
- (f) მგზავრობის დოკუმენტის ტიპი და გამცემი ქვეყნის სამასოიანი კოდი;
- (g) სამგზავრო ნებართვის ტიპი და 44-ე მუხლში აღნიშნული შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვის შემთხვევაში, იმ წევრი სახელმწიფო(ები)ზე მითითება, რომლებმაც გასცეს შეზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედი სამგზავრო ნებართვა;
- (h) სამგზავრო ნებართვის მოქმედების პერიოდი; და
- (i) სამგზავრო ნებართვაზე უარის, მისი გაუქმებისა ან ანულირების საფუძვლები.

2. 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის, eu-LISA-მ თავის ტექნიკურ პუნქტებში უნდა შექმნას, დანერგოს და ჰოსტინგი გაუწიოს მონაცემთა ცენტრალურ საცავს, რომელშიც დაცული იქნება 1-ელ პუნქტში აღნიშნული მონაცემები - მონაცემები, რომლითაც შეუძლებელი იქნება ინდივიდთა ვინაობის იდენტიფიკაცია, მაგრამ საჭიროებისამებრ ინფორმაციული ანგარიშგებისა და სტატისტიკის შეგროვების შესაძლებლობას მისცემს 1-ელ პუნქტში აღნიშნულ ხელისუფლების ორგანოებს, რათა უკეთესად შეაფასონ უსაფრთხოების, უკანონო იმიგრაციისა და ექიდედიის გავრცელების მაღალი რისკი, გააუმჯობესონ სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანობა, დაეხმარონ ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასა და ETIAS-ის ეროვნულ განყოფილებებს, სათანადოდ დაამუშაონ განაცხადები სამგზავრო ნებართვაზე და ხელი შეუწყონ ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, მტკიცებულებებზე დაფუძნებით. საცავი უნდა შეიცავდეს აგრეთვე ყოველდღიურ სტატისტიკას მე-4 პუნქტში აღნიშნულ მონაცემებზე. ცენტრალურ საცავთან წვდომის უფლება უნდა მიენიჭოს TESTA-ს უსაფრთხო წვდომის მეშვეობით, მკაცრი კონტროლით და მომხმარებლის სპეციალური პროვილით, მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშგებისა და სტატისტიკის მიზნებისათვის.

კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს ცენტრალური საცავის ფუნქციონირების დეტალური წესები, მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების წესები, რაც გამოყენებული იქნება საცავის მიმართ. ხსენებული აღმასრულებელი აქტები მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

3. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების 92(1) მუხლით გათვალისწინებული მონიტორინგისათვის eu-LISA-ს მიერ დადგენილი პროცედურები უნდა მოიცავდეს რეგულარული სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ მონიტორინგს.

4. ყოველ კვარტალში eu-LISA-მ უნდა გამოაქვეყნოს სტატისტიკა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე, რაც კონკრეტულად ასახავს იმ განმცხადებელთა რაოდენობასა და მოქალაქეობას, რომელთა სამგზავრო ნებართვაც გაიცა, ან მასზე უარი ეთქვა, მათ შორის, უარის თქმის საფუძვლებს, ასევე, მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა სამგზავრო ნებართვა გაუქმდა ან ანულირებულია.

5. ყოველი წლის ბოლოს სტატისტიკური მონაცემები უნდა შეიკრიბოს მიმდინარე წლის წლიურ ანგარიშში. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს და გადაეცეს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიას, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოს და ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს.

6. კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, eu-LISA-მ უნდა მიაწოდოს მას სტატისტიკური მონაცემები კონკრეტულ ასპექტებზე, რაც უკავშირდება ამ რეგულაციის შესრულებას, ასევე მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემები.

#### *მუხლი 85*

#### **ხარჯები**

1. ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული ეროვნული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ინტეგრირებითა და ერთიან ეროვნულ ინტერფეისთან (NUI) დაკავშირებით, ერთიანი ეროვნული ინტერფეისის (NUI) ჰოსტინგით, ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისა და ETIAS ეროვნული განყოფილებების შექმნით, უნდა დაიფაროს კავშირის გენერალური ბიუჯეტიდან.

eu-LISA-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ხარჯების ზრდის რისკს და უზრუნველყოს კონტრაქტორთა სათანადო მონიტორინგი.

2. ETIAS-ის საოპერაციო ხარჯები უნდა დაიფაროს კავშირის გენერალური ბიუჯეტიდან. ეს უნდა მოიცავდეს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის, მათ შორის, ერთიანი ეროვნული ინტერფეისების (NUI), საოპერაციო და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებს; ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების საოპერაციო, აგრეთვე, პერსონალისა და ტექნიკური აღჭურვილობის (ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის) ხარჯებს, რაც კი აუცილებელია ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების ამოცანათა შესასრულებლად; ასევე, თარგმანის ხარჯებს, რაც თავს იჩენს 27(2) და (8) პუნქტების შესაბამისად.

ქვემოთ ჩამოთვლილი ხარჯები უნდა გამოირიცხოს:

(a) წვერი სახელმწიფოების პროექტის მართვის ოფისები (შეხვედრები, მივლინებები, ოფისები);

(b) ეროვნული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემათა ჰოსტინგი (სივრცე, განხორციელება, ელექტროენერგია, გაგრილება);

(c) ეროვნული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემათა ფუნქციონირება (ოპერატორები და კონტრაქტები საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერისთვის);

(d) დიზაინი, ჩამოყალიბება, განხორციელება, ფუნქციონირება და ეროვნული საკომუნიკაციო ქსელების ტექნიკური მხარდაჭერა.

3. ETIAS-ის საოპერაციო ხარჯები ასევე უნდა მოიცავდეს წევრი სახელმწიფოების ფინანსურ მხარდაჭერას, როცა საქმე ეხება სასაზღვრო შემოწმების მოთხოვნის შესაბამისად ცვლილებასა და ავტომატიზირებას, ETIAS-ის ამუშავების მიზნით. აღნიშნული ფინანსური დახმარების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ 15 მლნ ევროს ფუნქციონირების პირველ წელს, მაქსიმუმ 25 მლნ ევროს ფუნქციონირების მეორე წელს და მაქსიმუმ 50 მლნ ევროს წელიწადში, ამოქმედებიდან ყოველ მომდევნო წელს. კომისიამ უნდა მიიღოს დელეგირების აქტები 89-ე მუხლის შესაბამისად, რათა განსაზღვროს შემდგომი ფინანსური დახმარების საკითხი.

4. საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ, eu-LISA-მ და ევროპოლმა უნდა მიიღონ დამატებითი ფინანსები და აიყვანონ პერსონალი, რაც აუცილებელია მათთვის ამ რეგულაციით დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

5. (EU)No515/2014 რეგულაციის 5(5) მუხლის (b) ქვეპუნქტით აღნიშნული ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა, წინამდებარე რეგულაციის ამ მუხლის 1-დან 4-მდე პუნქტებში გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად, უნდა განხორციელდეს არაპირდაპირი მენეჯმენტის გზით eu-LISA-სა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯებისათვის და საერთო მენეჯმენტის გზით წევრი სახელმწიფოების მიერ გაწეული ხარჯებისათვის.

### *მუხლი 86*

#### **შემოსავლები**

ETIAS-ის შემოსავლებს უნდა შეადგენდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს No966/2012 (EU, Euratom) რეგულაციის 21(4) მუხლში აღნიშნული შიდა გამიზნული ხარჯები <sup>(44)</sup>. ეს ხარჯები გამიზნული უნდა იყოს ETIAS-ის საოპერაციო და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების დასაფარად. ამ ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ნებისმიერი შემოსავალი უნდა დაუბრუნდეს ევროკავშირის ბიუჯეტს.

### *მუხლი 87*

#### **შეტყობინებები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომისიას იმ ორგანოს შესახებ, რომელიც განისაზღვრება, რომ იყოს 57-ე მუხლით გათვალისწინებული მაკონტროლებელი.



2. ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომისიასა და eu-LISA-ს, მე-13 მუხლში აღნიშნული რომელ უფლებამოსილ ორგანოებს ექნებათ წვდომა ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაზე.

88-ე მუხლში აღნიშნული ETIAS-ის ფუნქციონირების დაწყებიდან სამი თვის შემდეგ eu-LISA-მ უნდა გამოაქვეყნოს ამ ორგანოების კონსოლიდირებული სია *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ eu-LISA-სა და კომისიას ნებისმიერი ცვლილების შესახებ ამ მიმართულებით. ცვლილებების შემთხვევაში, eu-LISA-მ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაციის კონსოლიდირებული ვერსია. eu-LISA-მ ტექნიკური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს მუდმივად განახლებად საჯარო ვებგვერდს, რომელიც ამ ინფორმაციას მოიცავს.

3. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიასა და eu-LISA-ს უნდა შეატყობინონ თავიანთი დადგენილი ორგანოები და მათი 50-ე მუხლით გათვალისწინებული ცენტრალური წვდომის ორგანოები, ასევე დაუყოვნებლივ აცნობონ ნებისმიერი ცვლილების შესახებ ამ მიმართულებით,

4. eu-LISA-მ უნდა აცნობოს კომისიას 88(1) მუხლის (e) ქვეპუნქტში აღნიშნული წინასწარი შემოწმების დასრულების შესახებ.

1-ელ და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაცია კომისიას უნდა გამოაქვეყნოს *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*. ამ ინფორმაციის შეცვლის შემთხვევაში, კომისია ყოველწლიურად უნდა აქვეყნებდეს განახლებულ კონსოლიდირებულ ვერსიას. კომისიამ ტექნიკური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს მუდმივად მუდმივად განახლებად საჯარო ვებგვერდს, რომელიც ამ ინფორმაციას მოიცავს.

## *მუხლი 88*

### **ფუნქციონირების დაწყება**

1. კომისიამ უნდა განსაზღვროს ETIAS-ის ამოქმედების თარიღი მას შემდეგ, რაც შესრულდება შემდეგი პირობები:

(a) ძალაში შევა ევროკავშირის საინფორმაციო სისტემების დამაარსებელი საკანონმდებლო აქტების 11(2) მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემასთან ფუნქციონალურ თავსებადობას;

(b) ძალაში შევა რეგულაცია, რომელიც eu-LISA-ს აკისრებს ETIAS-ის ოპერაციულ მენეჯმენტს;

(c) ძალაში შევა ევროკავშირის საინფორმაციო სისტემების დამაარსებელი საკანონმდებლო აქტების 20(2) მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი ცვლილებები, რაც ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისათვის უზრუნველყოფს წვდომას მონაცემთა ბაზაზე;

(d) მიღებული იქნება 15(5) მუხლით, მე-17 მუხლის (3), (5) და (6) პუნქტებით, 18(4) მუხლით, 27-ე მუხლის (3) და (5) პუნქტებით, 33-ე მუხლის (2) და (3) პუნქტებით, 36(3), 38(3), 39(2), 45(3), 46(4), 48(4), 59(4) მუხლებით, 73(3)(b) მუხლით, 83-ე მუხლის (1), (3), და (4) პუნქტებით და 85(3) მუხლით გათვალისწინებული ზომები;

- (e) eu-LISA დაასრულებს ETIAS-ის ძირფესვიან წინასწარ შემოწმებას;
- (f) eu-LISA და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება დაადასტურებს ტექნიკურ და სამართლებრივ ზომებს, მე-17 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა შეგროვების მიზნით და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილებისთვის გადასაცემად და ამის შესახებ კომისიას შეატყობინებს;
- (g) წევრი სახელმწიფოები და ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება კომისიას შეატყობინებს 87 (1) და (3) მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს უფლებამოსილ ორგანოებზე.
2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის (e) ქვეპუნქტში აღნიშნული ETIAS-ის წინასწარი შემოწმება უნდა განახორციელოს eu-LISA-მ წევრ სახელმწიფოებსა და ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებასთან ერთად.
3. კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს უნდა აცნობოს ამ მუხლის 1-ელი პუნქტის (e) ქვეპუნქტში აღნიშნული წინასწარი შემოწმების შედეგები.
4. 1-ელ პუნქტში აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.
5. წევრმა სახელმწიფოებმა და ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ უნდა დაიწყონ ETIAS-ის გამოყენება კომისიის მიერ 1-ელ პუნქტში განსაზღვრული თარიღის დადგენის შემდეგ.

### *მუხლი 89*

#### **დელეგირების უფლებამოსილების გამოყენება**

1. დელეგირების აქტების მიღების უფლებამოსილება ენიჭება კომისიას, ამ მუხლში დადგენილი პირობებით.
2. 6(4) მუხლში, მე-17 მუხლის (3), (5) და (6) პუნქტებში, 18(4), 27(3) მუხლებში, 31 მუხლში, 33(2), 36(4), 39(2), 54(2) მუხლებში, 83-ე მუხლის (1) და (3) პუნქტებში და 85(3) მუხლში გათვალისწინებული დელეგირების აქტების მიღების უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს კომისიას 5 წლის ვადით 2018 წლის 9 ოქტომბრიდან.
3. 6(4) მუხლში, მე-17 მუხლის (3), (5) და (6) პუნქტებში, 18(4), 27(3) მუხლებში, 31 მუხლში, 33(2), 36(4), 39(2), 54(2) მუხლებში, 83-ე მუხლის (1) და (3) პუნქტებში და 85(3) მუხლში გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება ნებისმიერ დროს შეიძლება გააუქმოს ევროპის პარლამენტმა ან საბჭომ. გადაწყვეტილება გაუქმების შესახებ დაასრულებს ამ გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ უფლებამოსილებათა დელეგირებას. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევა მისი *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნების დღიდან ან უფრო გვიან, მასში განსაზღვრულ თარიღში. მან არ უნდა მოახდინოს გავლენა მანამდე უკვე ძალაში მყოფი რომელიმე დელეგირების აქტის მოქმედებაზე.
4. დელეგირების აქტების მიღებამდე, კომისიამ კონსულტაცია უნდა გაიაროს ექსპერტებთან, რომლებიც თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ დანიშნა 2016 წლის 13 აპრილის ინსტიტუციათაშორისი შეთანხმებით უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ.

5. დელეგირების აქტის მიღებისთანავე, კომისიამ ამავედროულად უნდა შეატყობინოს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს.

6. 6(4) მუხლში, მე-17 მუხლის (3), (5) და (6) პუნქტებში, 18(4), 27(3) მუხლებში, 31 მუხლში, 33(2), 36(4), 39(2), 54(2) მუხლებში, 83-ე მუხლის (1) ან (3) პუნქტებში ან 85(3) მუხლში გათვალისწინებული დელეგირების აქტები ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ მაშინ, თუ მის შესახებ შეტყობინებიდან ორი თვის განმავლობაში არანაირი წინააღმდეგობა არ გამოუხატავს არც ევროპის პარლამენტსა და არც საბჭოს, ან თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე ევროპარლამენტმა და საბჭომ ორივემ აცნობეს კომისიას, რომ მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო. ევროპის პარლამენტისა ან საბჭოს ინიციატივით, ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს დამატებითი ორი თვით.

### *მუხლი 90*

#### **კომიტეტის პროცედურა**

1. კომისიას უნდა ეხმარებოდეს კომიტეტი. ეს უნდა იყოს კომიტეტი (EU)No182/2011 რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით.

2. თუ სადმე მითითებულია ეს პუნქტი, მაშინ უნდა მოქმედებდეს (EU)No182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლით დადგენილი პირობები. თუ კომიტეტი არ წარმოადგენს მოსაზრებას, კომისიამ არ უნდა მიიღოს აღმასრულებელი აქტის პროექტი და უნდა ამოქმედდეს (EU)No182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

### *მუხლი 91*

#### **საკონსულტაციო ჯგუფი**

eu-LISA-ს EES-ის საკონსულტაციო ჯგუფის პასუხისმგებლობები უნდა გავრცელდეს ETIAS-ზეც. EES-ETIAS-ის საკონსულტაციო ჯგუფმა eu-LISA-ს უნდა გაუწიოს ექსპერტული დახმარება ETIAS-თან მიმართებით, განსაკუთრებით, წლიური სამუშაო პროგრამის მომზადებისა და წლიური სამოქმედო ანგარიშის მომზადების კონტექსტში.

### *მუხლი 92*

#### **მონიტორინგი და შეფასება**

1. eu-LISA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ დადგენილია პროცედურები ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის განვითარების მონიტორინგის მიზნით, დაგეგმვასა და ხარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კუთხით. ასევე, ETIAS-ის ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით, ტექნიკური შედეგის, ხარჯთეფექტურობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ხარისხის კუთხით.

2. 2019 წლის 10 აპრილისთვის და ამის შემდეგ ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების ფაზის ყოველ ექვს თვეში eu-LISA-მ ანგარიში უნდა წარუდგინოს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს, თუ რა მდგომარეობაა ETIAS-ის ცენტრალური სისტემის

ჩამოყალიბების, ერთიანი ეროვნული ინტერფეისების (NUI) და ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასა და ერთიან ეროვნულ ინტერფეისებს (NUI) შორის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების კუთხით. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას გაწეულ ხარჯებზე და ასევე ნებისმიერ რისკზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სისტემის ერთიან ხარჯზე, რომელიც 85-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაფაროს კავშირმა გენერალური ბიუჯეტიდან.

2019 წლის 10 აპრილისთვის და ამის შემდეგ ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების ფაზის ყოველ ექვს თვეში ევროპოლმა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულმა სააგენტომ ანგარიში უნდა წარუდგინონ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს, თუ რა მდგომარეობაა ამ რეგულაციის დანერგვისათვის მზადების კუთხით. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას გაწეულ ხარჯებზე და ასევე ნებისმიერ რისკზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სისტემის ერთიან ხარჯზე, რომელიც 85-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაფაროს კავშირმა გენერალური ბიუჯეტიდან.

ჩამოყალიბების დასრულების შემდეგ, eu-LISA-მ ევროპალამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც დეტალურად განმარტავს, რამდენად მიღწეულია ამოცანები, კერძოდ, დაკავშირებული დაგეგმვასა და ხარჯებთან, ასევე, ასაბუთებს გადახვევებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, eu-LISA-ს უნდა ჰქონდეს წვდომა აუცილებელ ინფორმაციასთან, რაც უკავშირდება მონაცემთა დამუშავების ოპერაციებს ETIAS-ის საინფორმაციო სისტემაში.

4. ETIAS-ის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ და მომდევნო პერიოდში ორ წელიწადში ერთხელ, eu-LISA-მ უნდა წარუდგინოს ანგარიში ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის, უსაფრთხოებაზე, ETIAS-ის საკონტროლო სიასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე, 35-ე მუხლის (5) და (6) პუნქტებში აღნიშნული შემოწმების პროცედურის შესაბამისად.

5. ფუნქციონირების დაწყებიდან სამი წლის შემდეგ და მომდევნო პერიოდში ოთხ წელიწადში ერთხელ, კომისიამ უნდა შეაფასოს ETIAS-ი და ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წარუდგინოს ნებისმიერი აუცილებელი რეკომენდაცია. შეფასება უნდა მოიცავდეს:

- (a) ინტერპოლის SLTD და TDawn მონაცემთა ბაზების მოკვლევას ETIAS-ის მეშვეობით, მათ შორის, ცნობებს ინტერპოლის მონაცემთა ბაზებში საყურადღებო მონაცემების დამთხვევასთან დაკავშირებით, სამგზავრო ნებართვაზე უარების რაოდენობას ამგვარ დამთხვევათა შედეგად, ასევე ინფორმაციას ნებისმიერ გამოვლენილ პრობლემაზე, ამასთან, თუ საჭიროა, ამ რეგულაციაში სამართლებრივი ცვლილების საჭიროების შეფასებას;
- (b) ETIAS-ის მიღწეულ შედეგებს მის მიზნებთან, მანდატსა და ამოცანებთან მიმართებით;
- (c) ETIAS-ის საქმიანობის გავლენას, ეფექტიანობასა და ეფექტურობას, მის სამუშაო პრაქტიკას მის მიზნებთან, მანდატსა და ამოცანებთან მიმართებით;

- (d) ETIAS-ის უსაფრთხოების შეფასებას;
- (e) რისკების შეფასების მიზნით გამოყენებულ ETIAS-ის სკრინინგის წესებს;
- (f) ETIAS-ის საკონტროლო სიის გავლენას, მათ შორის, სამგზავრო ნებართვის მისაღებად წარდგენილ განაცხადთა რაოდენობას, რომელსაც უარი ეთქვა ETIAS-ის საკონტროლო სიასთან ინფორმაციის დამთხვევის გათვალისწინებით;
- (g) ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების მანდატის ცვლილების შესაძლო საჭიროებას და ნებისმიერი ასეთი ცვლილების ფინანსურ შედეგებს;
- (h) ფუნდამენტურ უფლებათა გავლენას;
- (i) კავშირსა და შესაბამის მესამე ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებზე გავლენას;
- (j) სამგზავრო ნებართვის საფასურიდან შემოსულ შემოსავლებს, ETIAS-ის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ETIAS-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, eu-LISA-ს, ევროპოლისა და საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს გაწეულ ხარჯებს ამ რეგულაციით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას, ასევე ნებისმიერ შემოსავალს 86-ე მუხლის შესაბამისად;
- (k) ETIAS-ის გამოყენებას სამართალდაცვის მიზნებისათვის ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე;
- (l) განმცხადებელთა რაოდენობას, რომლებიც გასაუბრებაზე მიიწვიეს, ამ რაოდენობის პროცენტულ შეფარდებას განმცხადებელთა საერთო რაოდენობასთან, გასაუბრების მოთხოვნის მიზეზებს, დისტანციურად ჩატარებული გასაუბრებების რაოდენობას, გაცემული სამგზავრო ნებართვათა რაოდენობას, მათ შორის, დროშის აღნიშვნით, ასევე სამგზავრო ნებართვაზე უარებს, გასაუბრებაზე დაბარებულთა რაოდენობას, რომლებიც არ მივიდნენ და, სადაც საჭიროა, ამ რეგულაციის საკანონმდებლო ცვლილების საჭიროების შეფასებას.

კომისიამ შეფასებითი ანგარიში უნდა გადასცეს ევროპის პარლამენტს, საბჭოს, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს და ევროპულ სააგენტოს ადამიანის უფლებებისათვის.

6. მე-4 და მე-5 პუნქტებში გათვალისწინებული ანგარიშების მომზადებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპოლმა საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ eu-LISA-ს, ETIAS-ის ცენტრალურ განყოფილებას და კომისიას. აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სამუშაო მეთოდებს ან მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც გამჟღავნებს ინფორმაციის წყაროებს, თანამშრომლების ვინაობას ან ცნობებს დანიშნული ორგანოების მიერ გამოძიებათა შესახებ.

7. eu-LISA-მ და ETIAS-ის ცენტრალურმა განყოფილებამ კომისიას უნდა მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების წარმოებისთვის.

8. სენსიტიური ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებათა დაცვით, წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპოლმა უნდა მოამზადონ წლიური ანგარიშები, რომლებიც ასახავს ETIAS-ის ცენტრალურ სისტემაში

დაცულ მონაცემებზე წვდომის ეფექტიანობას სამართალდაცვის მიზნებისათვის და მოიცავს ინფორმაციასა და სტატისტიკას შემდეგ საკითხებზე:

- (a) კონსულტაციის ზუსტი მიზანი, მათ შორის, ტერორისტული ან სისხლის სამართლის სხვა მძიმე დანაშაულის ტიპი;
- (b) გონივრული საფუძვლები დასაბუთებული ეჭვისთვის, რომ ეჭვიმტანილი, მოძალადე ან მსხვერპლი ექცევა ამ რეგულაციის მოქმედების ფარგლებში;
- (c) სამართალდაცვის მიზნებისათვის ETIAS-ის ცენტრალურ სისტემასთან წვდომის მოთხოვნათა რაოდენობა;
- (d) შემთხვევათა ტიპი და რაოდენობა, რამაც გამოიწვია ინფორმაციის დამთხვევა;
- (e) შემთხვევათა ტიპი და რაოდენობა, როცა გამოიყენეს 51(4) მუხლით გათვალისწინებული სასწრაფო პროცედურა, მათ შორის, ისეთი შემთხვევებიც, როცა პროცედურის გადაუდებლობა არ დადასტურდა წვდომის ცენტრალური პუნქტის მიერ *ex post* შემოწმებით.

წინამდებარე პუნქტში აღნიშნული სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო X თავში დადგენილი მონაცემების შეგროვების გასამარტივებლად, წევრი სახელმწიფოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური გადაწყვეტა. კომისიამ აღმასრულებელი აქტების მეშვეობით უნდა მიიღოს ტექნიკურ გადაწყვეტათა მახასიათებლები. ხსენებული აღმასრულებელი აქტი მიღებული უნდა იქნას 90(2) მუხლში აღნიშნული განხილვის პროცედურის შესაბამისად.

### მუხლი 93

#### პრაქტიკული გზამკვლევი

წევრ სახელმწიფოებსა და კავშირის სხვა შესაბამის სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომისიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პრაქტიკული გზამკვლევი სახელმძღვანელო პრინციპებით, რეკომენდაციებითა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით ამ რეგულაციის განსახორციელებლად. ეს პრაქტიკული გზამკვლევი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ გზამკვლევებს. კომისიამ პრაქტიკული გზამკვლევი უნდა მიიღოს რეკომენდაციის ფორმით.

### მუხლი 94

#### სეუტა და მელილია

ეს რეგულაცია გავლენას არ მოახდენს სპეციალურ წესებზე, რომლებიც ვრცელდება სეუტასა და მელილიას ქალაქებზე, როგორც განსაზღვრულია ესპანეთის სამეფოს დეკლარაციით სეუტასა და მელილიას ქალაქებთან დაკავშირებით, 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელ კონვენციაზე ესპანეთის სამეფოს მიერთების შესახებ შეთანხმების ბოლო აქტში.

მუხლი 95

შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან ასოცირებული ქვეყნების ფინანსური კონტრიბუცია

ასოცირების შესახებ შეთანხმებების შესაბამისი დებულებები უნდა ითვალისწინებდეს იმ ქვეყნების ფინანსური კონტრიბუციის საკითხებს, რომლებიც ასოცირებულნი არიან შენგენის კანონმდებლობის (Schengen *acquis*) დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესთან.

მუხლი 96

ძალაში შესვლა და გამოყენება

წინამდებარე რეგულაცია ძალაში უნდა შევიდეს *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

წინამდებარე რეგულაცია უნდა გამოიყენებოდეს კომისიის მიერ 88-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი თარიღიდან, გამონაკლისი უნდა იყოს მუხლები 6, 11, 12, 33, 34, 45, 59, 71, 72, 73, მუხლები 75-დან 79-მდე, მუხლები 82, 85, 87, 89, 90, 91, 92-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები, მუხლები 93 და 95, ასევე დებულებები, რომლებიც ეხება 88(1) მუხლის (d) ქვეპუნქტში აღნიშნული ზომები, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს 2018 წლის 9 ოქტომბრიდან.

დებულებები, რომლებიც შეეხება Eurodac-თან კონსულტაციას, უნდა ამოქმედდეს მაშინ, როცა ძალაში შევა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU)No 603/2013 რეგულაციის <sup>(45)</sup> ცვლილებები.

ეს რეგულაცია შესასრულებლად სავალდებულოა სრული მოცულობით და პირდაპირ გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიმართ, ხელშეკრულებების შესაბამისად.

შესრულებულია სტრასბურგში, 2018 წლის 12 სექტემბერს.

<i>ევროპის პარლამენტისთვის</i> <i>პრეზიდენტი</i> ა. ტაჯანი	<i>საბჭოსთვის</i> <i>პრეზიდენტი</i> კ. ედშტადლერი
--	---

(<sup>1</sup>) OJ C 246, 28.7.2017, p. 28.

(2) ევროპის პარლამენტის 2018 წლის 5 ივლისის პოზიცია (რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

Position of the European Parliament of 5 July 2018 (not yet published in the Official Journal) and decision of the Council of 5 September 2018.

(3) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/38/EC დირექტივა ევროკავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის უფლების შესახებ, რომელიც ცვლის (EEC) No 1612/68 რეგულაციას და აუქმებს 64/221/EEC, 68/360/EEC, 72/194/EEC, 73/148/EEC, 75/34/EEC, 75/35/EEC, 90/364/EEC, 90/365/EEC და 93/96/EEC დირექტივებს (OJ L 158, 30.4.2004, გვ. 77).

Directive 2004/38/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the right of citizens of the Union and their family members to move and reside freely within the territory of the Member States amending Regulation (EEC) No 1612/68 and repealing Directives 64/221/EEC, 68/360/EEC, 72/194/EEC, 73/148/EEC, 75/34/EEC, 75/35/EEC, 90/364/EEC, 90/365/EEC and 93/96/EEC (OJ L 158, 30.4.2004, p. 77).

(4) საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის (EC) No 1030/2002 რეგულაცია, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვების ერთიან ფორმატს (OJ L 157, 15.6.2002, გვ. 1)

Council Regulation (EC) No 1030/2002 of 13 June 2002 laying down a uniform format for residence permits for third-country nationals (OJ L 157, 15.6.2002, p. 1).

(5) მართლმსაჯულების სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, *Commission v Spain*, C-503/03, ECLI:EU:C:2006:74

(6) საბჭოს 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება 2007/533/JHA მეორე თაობის შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS II) შექმნის, ფუნქციონირებისა და გამოყენების შესახებ (OJ L 205, 7.8.2007, გვ. 63).

Council Decision 2007/533/JHA of 12 June 2007 on the establishment, operation and use of the second generation Schengen Information System (SIS II) (OJ L 205, 7.8.2007, p. 63).

(7) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის (EU) 2016/794 ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შესახებ (Europol), რომელიც ანაცვლებს და აუქმებს საბჭოს 2009/371/JHA, 2009/934/JHA, 2009/935/JHA, 2009/936/JHA და 2009/968/JHA გადაწყვეტილებებს (OJ L 135, 24.5.2016, გვ. 53).

Regulation (EU) 2016/794 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016 on the European Union Agency for Law Enforcement Cooperation (Europol) and replacing and repealing Council Decisions 2009/371/JHA, 2009/934/JHA, 2009/935/JHA, 2009/936/JHA and 2009/968/JHA (OJ L 135, 24.5.2016, p. 53).

(8) OJ L 239, 22.9.2000, გვ. 19.

(9) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის (EU) 2016/399 რეგულაცია ევროკავშირის კოდექსის მიღების თაობაზე, რომელიც შეეხება საზღვრებს შორის პირთა მოძრაობის მარეგულირებელ წესებს (შენგენის სასაზღვრო კოდექსი)(OJ L 77, 23.3.2016, გვ. 1).



Regulation (EU) 2016/399 of the European Parliament and of the Council of 9 March 2016 on a Union Code on the rules governing the movement of persons across borders (Schengen Borders Code) (OJ L 77, 23.3.2016, p. 1).

(10) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 15 მარტის (EU) 2017/541 დირექტივა ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას და ცვლის საბჭოს 2005/671/JHA გადაწყვეტილებას (OJ L 88, 31.3.2017, გვ. 6).

Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15 March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA (OJ L 88, 31.3.2017, p. 6).

(11) საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის 2002/584/JHA ჩარჩო გადაწყვეტილება დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის გადაცემის პროცედურების შესახებ (OJ L 190, 18.7.2002, გვ. 1).

Council Framework Decision 2002/584/JHA of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member State (OJ L 190, 18.7.2002, p. 1).

(12) მართლმსაჯულების სასამართლოს (დიდი პალატა) 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, Digital Rights Ireland Ltd, გაერთიანებული საქმეები C-293/12 და C-594/12, ECLI:EU:C:2014:238.

(13) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) (OJ L 119, 4.5.2016, გვ. 1).

Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (OJ L 119, 4.5.2016, p. 1).

(14) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის (EC) No 45/2001 რეგულაცია თანამეგობრობის დაწესებულებებისა და ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ (OJ L 8, 12.1.2001, გვ. 1).

Regulation (EC) No 45/2001 of the European Parliament and of the Council of 18 December 2000 on the protection of individuals with regard to the processing of personal data by the Community institutions and bodies and on the free movement of such data (OJ L 8, 12.1.2001, p. 1).

(15) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის (EU) 2016/680 დირექტივა სისხლის სამართლის დანაშაულების აღკვეთის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან სისხლისსამართლებრივი სასჯელების აღსრულების მიზნებისთვის კომპეტენტური ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკური პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას (OJ L 119, 4.5.2016, გვ. 89).

Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA (OJ L 119, 4.5.2016, p. 89).

(<sup>16</sup>) OJ L 123, 12.5.2016, გვ. 1.

(<sup>17</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის (EU) No 182/2011 რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს კომისიის მიერ საიმპლემენტაციო უფლებამოსილების გამოყენებისას წევრი სახელმწიფოების კონტროლის მექანიზმის წესებსა და ზოგად პრინციპებს. (OJ L 55, 28.2.2011, გვ. 13).

Regulation (EU) No 182/2011 of the European Parliament and of the Council of 16 February 2011 laying down the rules and general principles concerning mechanisms for control by the Member States of the Commission's exercise of implementing powers (OJ L 55, 28.2.2011, p. 13).

(<sup>18</sup>) საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის ზოგიერთ დებულებაში (OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43).

Council Decision 2000/365/EC of 29 May 2000 concerning the request of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland to take part in some of the provisions of the Schengen *acquis* (OJ L 131, 1.6.2000, p. 43).

(<sup>19</sup>) საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/192/EC გადაწყვეტილება ირლანდიის მოთხოვნის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს შენგენის *acquis*-ის ზოგიერთ დებულებაში (OJ L 64, 7.3.2002, p. 20).

Council Decision 2002/192/EC of 28 February 2002 concerning Ireland's request to take part in some of the provisions of the Schengen *acquis* (OJ L 64, 7.3.2002, p. 20).

(<sup>20</sup>) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.

(<sup>21</sup>) საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილება ევროპის კავშირის საბჭოს, ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, რომელიც შეეხება აღნიშნული ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31).

Council Decision 1999/437/EC of 17 May 1999 on certain arrangements for the application of the Agreement concluded by the Council of the European Union and the Republic of Iceland and the Kingdom of Norway concerning the association of those two States with the implementation, application and development of the Schengen *acquis* (OJ L 176, 10.7.1999, p. 31).

(<sup>22</sup>) OJ L 53, 27.2.2008, გვ. 52.

(<sup>23</sup>) საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის 2008/146/EC გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის სახელით ევროპის კავშირს, ევროპულ თანამეგობრობასა და შვეიცარიის კონფედერაციას

შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1).

Council Decision 2008/146/EC of 28 January 2008 on the conclusion, on behalf of the European Community, of the Agreement between the European Union, the European Community and the Swiss Confederation on the Swiss Confederation's association with the implementation, application and development of the Schengen *acquis* (OJ L 53, 27.2.2008, p. 1).

(<sup>24</sup>) საბჭოს 2008 წლის 28 იანვრის 2008/149/JHA გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის სახელით ევროპის კავშირს, ევროპულ თანამეგობრობასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შეეხება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების საკითხებში (OJ L 53, 27.2.2008, გვ. 50).

Council Decision 2008/149/JHA of 28 January 2008 on the conclusion on behalf of the European Union of the Agreement between the European Union, the European Community and the Swiss Confederation on the Swiss Confederation's association with the implementation, application and development of the Schengen *acquis* (OJ L 53, 27.2.2008, p. 50).

(<sup>25</sup>) OJ L 160, 18.6.2011, გვ. 21.

(<sup>26</sup>) საბჭოს 2011 წლის 7 მარტის 2011/350/EU გადაწყვეტილება ევროპის კავშირის სახელით ევროკავშირს, ევროპულ თანამეგობრობას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში, რომელიც შეეხება ლიხტენშტაინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის დანერგვის, გამოყენებისა და განვითარების პროცესში, რომელიც შეეხება შიდა საზღვრებზე შემოწმებების გაუქმებასა და ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას (OJ L 160, 18.6.2011, p. 19).

Council Decision 2011/350/EU of 7 March 2011 on the conclusion, on behalf of the European Union, of the Protocol between the European Union, the European Community, the Swiss Confederation and the Principality of Liechtenstein on the accession of the Principality of Liechtenstein to the Agreement between the European Union, the European Community and the Swiss Confederation on the Swiss Confederation's association with the implementation, application and development of the Schengen *acquis*, relating to the abolition of checks at internal borders and movement of persons (OJ L 160, 18.6.2011, p. 19).

(<sup>27</sup>) საბჭოს 2011 წლის 7 მარტის 2011/349/EU გადაწყვეტილება ევროპის კავშირის სახელით ევროკავშირს, ევროპულ თანამეგობრობას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროს შორის გაფორმებული ოქმის ფარგლებში, რომელიც შეეხება ლიხტენშტაინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებას შენგენის *acquis*-ის დანერგვის, გამოყენებისა და

განვითარების პროცესში, რომელიც კერძოდ შეეხება სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობასა და საპოლიციო თანამშრომლობას (OJ L 160, 18.6.2011, გვ.1).

Council Decision 2011/349/EU of 7 March 2011 on the conclusion on behalf of the European Union of the Protocol between the European Union, the European Community, the Swiss Confederation and the Principality of Liechtenstein to the Agreement between the European Union, the European Community and the Swiss Confederation on the Swiss Confederation's association with the implementation, application and development of the Schengen *acquis* relating in particular to judicial cooperation in criminal matters and police cooperation (OJ L 160, 18.6.2011, p. 1).

(<sup>28</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის რეგულაცია (EU) No 1077/2011 თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპული სააგენტოს შექმნის შესახებ (OJ L 286, 1.11.2011, გვ. 1).

Regulation (EU) No 1077/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 establishing a European Agency for the operational management of large-scale IT systems in the area of freedom, security and justice (OJ L 286, 1.11.2011, p. 1).

(<sup>29</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის (EU) No 515/2014 რეგულაცია, რომელიც, შიდა უშიშროების ფონდის ფარგლებში, აარსებს გარე საზღვრებისა და ვიზის მხარდაჭერ ფინანსურ ინსტრუმენტს და აუქმებს No 574/2007/EC გადაწყვეტილებას. (OJ L 150, 20.5.2014, p. 143).

Regulation (EU) No 515/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 establishing, as part of the Internal Security Fund, the instrument for financial support for external borders and visa and repealing Decision No 574/2007/EC (OJ L 150, 20.5.2014, p. 143).

(<sup>30</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის (EU) 2016/1624 რეგულაცია საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს შესახებ, რომელიც ცვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/399 რეგულაციას, აუქმებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 863/2007 რეგულაციას, საბჭოს (EC) No 2007/2004 რეგულაციასა და საბჭოს 2005/267/EC გადაწყვეტილებას (OJ L 251, 16.9.2016, გვ. 1).

Regulation (EU) 2016/1624 of the European Parliament and of the Council of 14 September 2016 on the European Border and Coast Guard and amending Regulation (EU) 2016/399 of the European Parliament and of the Council and repealing Regulation (EC) No 863/2007 of the European Parliament and of the Council, Council Regulation (EC) No 2007/2004 and Council Decision 2005/267/EC (OJ L 251, 16.9.2016, p. 1).

(<sup>31</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის (EU) 2017/2226 რეგულაცია შესვლა/გასვლის სისტემის (EES) შექმნის შესახებ, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების შესვლისა და გასვლის და შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ მონაცემთა აღსარიცხად, რომლებიც კვეთენ წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებს, ასევე, სამართალდაცვის მიზნებისთვის EES-ზე წვდომის პირობების დადგენის თაობაზე და შენგენის ხელშეკრულების დანერგვის შესახებ კონვენციასა და (EC) No 767/2008 და (EU) No 1077/2011 რეგულაციებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (OJ L 327, 9.12.2017, გვ. 20).

Regulation (EU) 2017/2226 of the European Parliament and of the Council of 30 November 2017 establishing an Entry/Exit System (EES) to register entry and exit data and refusal of entry data of third-country nationals crossing the external borders of the Member States and determining the conditions for access to the EES for law enforcement purposes, and amending the Convention implementing the Schengen Agreement and Regulations (EC) No 767/2008 and (EU) No 1077/2011 ([OJ L 327, 9.12.2017, p. 20](#)).

(<sup>32</sup>) [OJ C 162, 23.5.2017, გვ. 9](#).

(<sup>33</sup>) საბჭოს 2001 წლის 15 მარტის (EC) No 539/2001 რეგულაცია, რომელიც ჩამოთვლის იმ მესამე ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ვიზა გარე საზღვრის გადაკვეთისას და რომელთა მოქალაქეები გათავისუფლებულნი არიან ამ მოთხოვნისაგან ([OJ L 81, 21.3.2001, გვ. 1](#)).

Council Regulation (EC) No 539/2001 of 15 March 2001 listing the third countries whose nationals must be in possession of visas when crossing the external borders and those whose nationals are exempt from that requirement ([OJ L 81, 21.3.2001, p. 1](#)).

(<sup>34</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) No 1931/2006 რეგულაცია, რომელიც ადგენს წევრი სახელმწიფოების გარე სახმელეთო საზღვართან ადგილობრივი სასაზღვრო მოძრაობის წესებს და ცვლის შენგენის კონვენციის დებულებებს ([OJ L 405, 30.12.2006, გვ. 1](#)).

Regulation (EC) No 1931/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 laying down rules on local border traffic at the external land borders of the Member States and amending the provisions of the Schengen Convention ([OJ L 405, 30.12.2006, p. 1](#)).

(<sup>35</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის 2014/66/EU დირექტივა შიდაკორპორაციული ტრანსფერის ფარგლებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და ბინადრობის პირობების შესახებ ([OJ L 157, 27.5.2014, გვ. 1](#)).

Directive 2014/66/EU of the European Parliament and of the Council of 15 May 2014 on the conditions of entry and residence of third-country nationals in the framework of an intra-corporate transfer ([OJ L 157, 27.5.2014, p. 1](#)).

(<sup>36</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის (EU) 2016/801 დირექტივა კვლევის, სწავლის, ტრენინგის, მოხალისეობის, მოსწავლეთა გაცვლითი სქემების ან საგანმანათლებლო პროექტებისა და “Au Pair” მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლისა და ბინადრობის პირობების შესახებ ([OJ L 132, 21.5.2016, გვ. 21](#)).

Directive (EU) 2016/801 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016 on the conditions of entry and residence of third-country nationals for the purposes of research, studies, training, voluntary service, pupil exchange schemes or educational projects and au pairing ([OJ L 132, 21.5.2016, p. 21](#)).

(<sup>37</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/32/EU დირექტივა საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ ([OJ L 180, 29.6.2013, გვ. 60](#)).

Directive 2013/32/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on common procedures for granting and withdrawing international protection (OJ L 180, 29.6.2013, p. 60).

(<sup>38</sup>) საბჭოს 2004 წლის 19 თებერვლის (EC) No 377/2004 რეგულაცია საიმიგრაციო კავშირის ოფიცრების ქსელის შექმნის შესახებ (OJ L 64, 2.3.2004, p. 1).

Council Regulation (EC) No 377/2004 of 19 February 2004 on the creation of an immigration liaison officers network (OJ L 64, 2.3.2004, p. 1).

(<sup>39</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) No 1987/2006 რეგულაცია მეორე თაობის შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS II) შექმნის, ფუნქციონირებისა და გამოყენების შესახებ (OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4).

Regulation (EC) No 1987/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 on the establishment, operation and use of the second generation Schengen Information System (SIS II) (OJ L 381, 28.12.2006, p. 4).

(<sup>40</sup>) საბჭოს 2001 წლის 8 ივნისის 2001/51/EC დირექტივა, რომელიც ავსებს 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 26-ე მუხლს (OJ L 187, 10.7.2001, გვ. 45).

Council Directive 2001/51/EC of 28 June 2001 supplementing the provisions of Article 26 of the Convention implementing the Schengen Agreement of 14 June 1985 (OJ L 187, 10.7.2001, p. 45).

(<sup>41</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის 2008/115/EC დირექტივა წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნების საერთო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ (OJ L 348, 24.12.2008, გვ. 98).

Directive 2008/115/EC of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on common standards and procedures in Member States for returning illegally staying third-country nationals (OJ L 348, 24.12.2008, p. 98).

(<sup>42</sup>) საბჭოს 2013 წლის 7 ოქტომბრის (EU)No1053/2013 რეგულაცია, რომელიც აარსებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმს შენგენის კანონმდებლობის გამოყენების შესამოწმებლად და აუქმებს აღმასრულებელი კომიტეტის 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებას შენგენის შეფასებისა და დანერგვის მუდმივი კომიტეტის შექმნის შესახებ (OJ L 295, 6.11.2013, გვ. 27).

Council Regulation (EU) No 1053/2013 of 7 October 2013 establishing an evaluation and monitoring mechanism to verify the application of the Schengen *acquis* and repealing the Decision of the Executive Committee of 16 September 1998 setting up a Standing Committee on the evaluation and implementation of Schengen (OJ L 295, 6.11.2013, p. 27).

(<sup>43</sup>) OJ L 56, 4.3.1968, გვ. 1.

(<sup>44</sup>) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის (EU, Euratom) No 966/2012 რეგულაცია ფინანსური წესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ევროკავშირის გენერალური ბიუჯეტის მიმართ, და საბჭოს (EC, Euratom) No 1605/2002 რეგულაციის გაუქმების შესახებ (OJ L 298, 26.10.2012, გვ. 1).

Regulation (EU, Euratom) No 966/2012 of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on the financial rules applicable to the general budget of the Union and repealing Council Regulation (EC, Euratom) No 1605/2002 (OJ L 298, 26.10.2012, p. 1).

(45) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის რეგულაცია (EU) No 603/2013, რომელიც შეეხება ევროდაკის შექმნას თითო ანაბეჭდების შესადარებლად, (EU) No 604/2013 რეგულაციის ეფექტიანი გამოყენებისათვის, ეს უკანასკნელი კი აწესებს მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განაცხადთა განხილვაზე, ასევე სამართალდაცვის მიზნებისათვის წევრი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოებისა თუ ევროპოლის მიერ ევროდაკის მონაცემებთან შედარების მოთხოვნებზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მექანიზმებს; და რითაც შესწორდა (EU) No1077/2011 რეგულაცია, რომელიც ქმნის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში ფართოპროფილიანი საინფორმაციო სისტემების ევროპულ სააგენტოს (OJ L 180, 29.6.2013, გვ. 1).

Regulation (EU) No 603/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the establishment of ‘Eurodac’ for the comparison of fingerprints for the effective application of Regulation (EU) No 604/2013 establishing the criteria and mechanisms for determining the Member State responsible for examining an application for international protection lodged in one of the Member States by a third-country national or a stateless person and on requests for the comparison with Eurodac data by Member States’ law enforcement authorities and Europol

for law enforcement purposes, and amending Regulation (EU) No 1077/2011 establishing a European Agency for the operational management of large-scale IT systems in the area of freedom, security and justice (OJ L 180, 29.6.2013, p. 1).

---

#### დანართი

**17(4) მუხლის (ა) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩამონათვალი**

1. ტერორისტული დანაშაული
2. კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა
3. ტრეფიკინგი
4. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვის პორნოგრაფია
5. ნარკოტიკებითა და ფსიქოტროპული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა
6. ტყვია-წამლით, იარაღითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა

7. კორუფცია
8. თაღლითობა, მათ შორის, ევროკავშირის ფინანსური ინტერესის საწინააღმდეგოდ
9. უკანონოდ მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზაცია და ვალუტის გაყალბება, მათ შორის, ევროსი
10. კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაული/კიბერდანაშაული
11. ეკოლოგიური სამართალდარღვევა, მათ შორის, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა სახეობებითა და გადაშენების პირას მდგარ მცენარეთა სახეობებით უკანონო ვაჭრობა
12. უნებართვოდ შესვლისა და ცხოვრების ხელშეწყობა
13. მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება
14. ადამიანის ორგანოებითა და სხეულის ნაწილებით უკანონო ვაჭრობა
15. მოტაცება, უკანონო შეზღუდვა და მძევლად აყვანა
16. ორგანიზებული და შეიარაღებული ყაჩაღობა
17. კულტურული მემკვიდრეობით, მათ შორის, ანტიკვარებითა და ხელოვნების ნიმუშებით უკანონო ვაჭრობა
18. კონტრაფიქციური და პირატული პროდუქტების წარმოება
19. ადმინისტრაციული საბუთების გაყალბება და ტრეფიკინგი
20. ჰორმონალური ნივთიერებებითა და ზრდის სტიმულატორებით უკანონო ვაჭრობა
21. ბირთვული ან რადიოაქტიური ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა
22. გაუპატიურება
23. დანაშაული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში
24. საჰაერო ხომალდისა ან გემის უკანონო გატაცება
25. საბოტაჟი
26. მოპარული მანქანებით უკანონო ვაჭრობა
27. სამრეწველო შპიონაჟი
28. დაწვა
29. რასიზმი და ქსენოფობია